დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიის შესასწავლად

2017 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

მესამე კვარტალი

სახარება გალატელთა მიმართ წერილში
კარლ კოსარტი

სარჩევი

სარჩევი 1
1 გაკვეთილი 24 - 30 ივნისი პავლე: წარმართების მოციქული....5
2 გაკვეთილი 1 - 7 ივლისი პავლეს ავტორიტეტი და სახარება....15
3 გაკვეთილი 8 - 14 ივლისი სახარების ერთიანობა....24
4 გაკვეთილი 15 - 21 ივლისი გამართლება მხოლოდ რწმენით....35
5 გაკვეთილი 22 - 28 ივლისი რწმენა ძველ აღთქმაში 45
6 გაკვეთილი 29 ივლისი - 4 აგვისტო აღთქმის პრიორიტეტი 55
7 გაკვეთილი 5 - 11 აგვისტო გზა რწმენისკენ....65
8 გაკვეთილი 12 - 18 აგვისტო მონებიდან მემკვიდრეებში 75
9 გაკვეთილი 19 - 25 აგვისტო პავლეს პასტორული წერილი....85
10 გაკვეთილი 26 აგვისტო - 1 სექტემბერი ორი აღთქმა....95
11 გაკვეთილი 2 - 8 სექტემბერი ქრისტეში თავისუფლება 105
12 გაკვეთილი 9 - 15 სექტემბერი მოიქცე სულის მიხედვით....115
13 გაკვეთილი 16 - 22 სექტემბერი სახარება და ეკლესია 125
14 გაკვეთილი 23 - 29 სექტემბერი დაიქადნო ჯვრით 136

შესავალი

მარტინ ლუთერი და წერილი გალატელთა მიმართ
პროტესტანტული სამყარო ემზადება იზეიმოს რეფორმაციის ხუთასწლიანი იუბილე. მაშინ სულიწმიდის ხელმძღვანელობით მარტინ ლუთერმა მილიონობით ადამიანს გაუხსნა უმნიშვნელოვანესი ბიბლიური ჭეშმარიტებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იყო დამალული ცრურწმენებისა და ტრადიციების საფარველქვეშ. შეიძლება განვაცხადოთ, რომ პროტესტანტიზმი ხუთასი წლის წინ დაიბადა გალატელებისა და რომაელების მიმართ წერილების წყალობით! გალატელების მიმართ წერილის შესწავლისას მარტინ ლუთერი პირველად შეეხო დიდებულ კეთილ უწყებას რწმენით გამართლების შესახებ, დიად ჭეშმარიტებას, რომელმაც შობა რეფორმაცია და მილიონობით ადამიანი გაათავისუფლა ასობით წლების განმავლობაში გამეფებული ღვთისმეტყველური და ეკლესიური სიცრუისაგან. იმან, რაც ლუთერმა წაიკითხა ამ წიგნში, შეცვალა თავად ისიც და მის გარშემო არსებული სამყაროც.
მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტებმაც მრავალი საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეიმეცნეს გალატელთა მიმართ წერილიდან. მისი შესწავლის მეშვეობით ე. ი. ვაგონერი და ა. ტ. ჯოუნსი 1880-

1890 წლებში დიდად დაეხმარნენ ადვენტისტურ ეკლესიას, რომ თავისთვის კვლავ აღმოეჩინა ჭეშმარიტება რწმენით გამართლების შესახებ.
რამ შეუწყო ხელი გალატელების მიმართ წერილს, გამხდარიყო რეფორმაციის მამოძრავებელი ძალა? როგორ შეძლო მან, ჩასწვდომოდა მარტინ ლუთერისა და სხვა რეფორმატორების გულებს? გალატელთა მიმართ წერილი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით განიხილავს გარკვეულ თემებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ქრისტიანისთვის. პავლე სწორედ გალატელთა მიმართ წერილში განიხილავს ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: თავისუფლება, რჯულის როლი გადარჩენაში, ჩვენი მდგომარეობა ქრისტეში და სულიერი ცხოვრების ბუნება, ასევე საუკუნო საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია ცოდვილ ადამიანს, გამართლდეს წმიდა და სამართლიანი ღმერთის წინაშე. სწორედ ამ საკითხმა, და არა რომელიმე სხვამ, აიძულა მარტინ ლუთერი, დამდგარიყო იმ გზაზე, რომლიდანაც უკვე ვეღარ გადაუხვია.
ეჭვგარეშეა, ამ საკითხებს ახალი აღთქმის სხვა წიგნებიც ეხებიან, მაგალითად, წერილი რომაელთა მიმართ, მაგრამ გალატელთა მიმართ წერილი განსხვავებულია. გარდა იმისა, რომ იგი შემცველობით უფრო ტევადია, მას განასხვავებს ჩამოყალიბების მეტად ღრმა პირადი საპასტორო მანერა, რომელიც მკითხველს ღვთის სულისთვის დღესაც კი უხსნის გულს.
თუმცა პავლეს ეს წერილი პირდაპირკავშირშია თითოეულ ჩვენგანთან, უკეთ გავაცნობიერებთ მის აზრს, თუკი დავაკონკრეტებთ თავდაპირველ ისტორიულ გარემოებას, სადაც ავტორი თავის მკითხველს სულიწმიდის ხელმძღვანელობით მიმართავდა.
მრავალი ღვთისმეტყველი მიიჩნევს, რომ გალატელთა მიმართ წერილი არის ყველაზე ადრეული პავლეს სხვა წერილებს შორის. ის შეიძლება დაწერილიყო ჩვ. წ-ით 49 წელს, ცნობილი

იერუსალიმის კრების შემდეგ (იხ. საქმე. 15). წიგნს პრეტენზია აქვს, ჰქონდეს ჩვენთვის ცნობილ ქრისტიანულ საბუთებს შორის ყველაზე უძველესის წოდება. მოციქულთა საქმეების წიგნთან ერთად გალატელთა მიმართ წერილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ადრეული ეკლესია ირღვეოდა შიდა კამათების გამო წარმართების გადარჩენის საკითხთან დაკავშირებით. იმ მორწმუნე ებრაელების აზრით, რომლებიც იუდეველობდნენ, მხოლოდ იესოში რწმენა წარმართების გადარჩენისთვის არ იყო საკმარისი, არამედ წარმართები მოვალენი იყვნენ წინადაცვეთილიყვნენ და დაეცვათ მოსეს რჯულდებანი (იხ. საქმე. 15:1). არ არის გასაკვირი, რომ როცა პავლემ გალატიაში წარმართებისგან ჩამოაყალიბა ეკლესია, ზოგიერთი მათგან, ვინც იუდეველობდა, იქ გაემგზავრა, რათა "წესრიგი დაემყარებინათ". როდესაც პავლემ ეს შეიტყო, ძალიან მკაცრი ზომები მიიღო. მან გააცნობიერა, რომ ამ ცრუ სახარებამ, რწმენითა და საქმეებით გადარჩენის შესახებ, შეიძლება ზიანი მიაყენოს ქრისტეს საქმეს და გალატელებს წერილი მისწერა ჭეშმარიტი სახარების დაცვის მიზნით. ამ წერილში იგი ცრუ სწავლებას ახასიათებს როგორც აშკარა მეკანონეობას.

ამ კვარტალში ბიბლიის შესასწავლი სახელმძღვანელო გიწვევთ, რომ ვიმოგზაუროთ პავლე მოციქულთან ერთად, რომელიც ევედრება გალატელებს, შეინარჩუნონ იესოს ერთგულება. ამავდროულად, იგი საშუალებას გვაძლევს დავფიქრდეთ, თუ როგორ გვესმის ჭეშმარიტება, რომელმაც გარდაუვალი გახადა მარტინ ლუთერისა და რომის დაშორება და შემდგომი აღდგენა ბიბლიური სახარებისა.

კარლ კოსარტი, ფილოსოფიის დოქტორი, ბიბლიის კვლევის პროფესორი უოლა-უოლას უნივერსიტეტში, კოლეჯ ფლეისი, ვაშინგტონი, აშშ.

1 გაკვეთილი 24 - 30 ივნისი პავლე: წარმართების მოციქული

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: საქმე. 6:9-15; 9:1-9; 1მეფ. 16:7; მათ. 7:1; საქმე. 11:19-21; 15:1-5.
სამახსოვრო მუხლი: "ეს რომ მოისმინეს, დადუმდნენ. ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: "აჰა, წარმართებსაც მისცა ღმერთმა მონანიება სასიცოცხლოდ" (საქმე.11:18).
შეგვიძლია გავუგოთ სავლეს ტარსუსიდან (ასევე თავისი მოქცევის შემდეგ იგი ცნობილია, როგორც პავლე მოციქული) და მივხვდეთ მისი საქციელის მოტივაციას. მართლმორწმუნე იუდეველისთვის, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ესმოდა რჯულის მნიშვნელობა და ახლო მომავალში ისრაელის პოლიტიკურად განთავისუფლების შესახებ, აუტანელი იყო თავად ის აზრი, რომ დიდი ხნის ნანატრმა მესიამ თავისი სიცოცხლე ასე დამცირებულად დაასრულა და წილად ხვდა დამნაშავის ხვედრი. ბუნებრივია, იგი თვლიდა, რომ იესოს მიმდევრები თორის უგულებელყოფით ხელს უშლიან ისრაელისთვის განკუთვნილი ღვთის გეგმის განხორციელებას. მისი აზრით, განდგომილებას წარმოადგენდა მათი მტკიცებულებები ჯვარცმული იესოს შესახებ, რომ იგი არის მესია და მკვდრეთით აღდგა. საუბარი არც კი იყო მსგავსი ერესის ან მის მიმდევართა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების შესახებ. სავლე მოწოდებული იყო, დახმარებოდა ისრაელს, გათავისუფლებულიყო ამ სიცრუისაგან. ამიტომ წმიდა წერილის ფურცლებზე იგი ჩნდება როგორც აგრესიული მდევნელი თავისი თანამემამულეებისა, რომელთაც სწამდათ, რომ იესო არის მესია. მაგრამ სავლესთან დაკავშირებით ღმერთს გააჩნდა სულ სხვა გეგმები, რომლებსაც იგი წინასწარ ვერასოდეს განჭვრეტდა: ეს იუდეველი არა მხოლოდ იქადაგებს იესოს, როგორც მესიას, არამედ წარმართებსაც აუწყებს სახარებას!

კვირადღე
25 ივნისი

ქრისტიანთა მდევნელი
ტარსუსელი სავლე პირველად გვევლინება წმიდა მოციქულთა საქმეების წიგნში, როგორც სტეფანეს ქვებით ჩაქოლვის მონაწილე (იხ. საქმე. 7:58), შემდეგ იგი მონაწილეობს იერუსალიმში არსებულ ქრისტიანთა მასშტაბურ დევნაში (იხ. საქმე. 8:1-5). პეტრე, სტეფანე, ფილიპე და პავლე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქმეების წიგნში, ისინი არიან აქტიური მონაწილეები მოვლენებისა, რომლებმაც ხელი შეუწყეს ქრისტიანული რწმენის გავრცელებას იუდეის საზღვრებს მიღმა. განსაკუთრებით გამოიყოფა სტეფანეს ფიგურა; მისმა ქადაგებამ და მოწამებრივმა სიკვდილმა, როგორც ჩანს, ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ტარსუსელ პავლეზე.
თავად სტეფანე იყო ბერძნულად მოლაპარაკე იუდეველი, შვიდ პირველ დიაკვანთაგან ერთ-ერთი (იხ. საქმე. 6:3-6). წმიდა მოციქულთა საქმეების წიგნის თანახმად, ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთა ჯგუფს, რომლებიც იერუსალიმში დასხლდნენ (იხ. საქმე. 6:9), კამათი მოუვიდა სტეფანესთან იესოსთან დაკავშირებით მის მიერ წარმოთქმული ქადაგების გამო. შესაძლოა, ამ დისკუსიაში ტარსუსელი სავლე მონაწილეობდა.
წაიკითხეთ საქმე. 6:9-15. რა ბრალდებები წაუყენეს სტეფანეს? რას გახსენებენ ეს ბრალდებები? იხ. აგრეთვე მათ. 26:59-61.
სტეფანეს ქადაგების მიმართ გამძვინვარებული მტრული დამოკიდებულება ორი ფაქტორით იყო გამოწვეული. პირველ რიგში, სტეფანე სათანადო ყურადღებას არ მიაგებდა ებრაულ რჯულსა და ტაძარს, რომლებიც იუდაიზმის ცენტრს წარმოადგენდა და რელიგიური და ეროვნული იდენტიფიცირების სიმბოლო იყო. მეორე მხრივ, იგი მგზნებარედ აცხადებდა, რომ იესო, ჯვარცმული და აღმდგარი მესია, არის იუდეველთა რწმენის ჭეშმარიტი საფუძველი.
გასაკვირი არ არის, რომ მან განარისხა ფარისეველი სავლე (იხ. ფილიპ. 3:3-6), ვისი თავგამოდებაც ადრეულ ქრისტიანთა დევნაში

მიგვითითებს იმაზე, რომ იგი, სავარაუდოდ, მიეკუთვნებოდა ფარისეველთა მკაცრ მებრძოლ ფრთას. სავლე ხედავდა, რომ ღვთის სამეფოს დიდებული წინასწარმეტყველური აღთქმები ჯერ კიდევ არ იყო აღსრულებული (იხ. დან. 2; ზაქ. 8:23; ეს. 40-55) და იგი, სავარაუდოდ, თავის მოვალეობად მიიჩნევდა, რომ ღმერთს დახმარებოდა, მოეახლოებინა ის დღე. ამისთვის საჭირო იყო ისრაელი განეწმიდათ რელიგიური გახრწნილებისაგან, რომელიც მოიცავდა იდეას, რომ იესო მესია იყო.
თავის სიმართლეში დარწმუნებული სავლე მზად იყო, სასიკვდილოდ გაეწირა ისინი, ვისაც გზააბნეულებად მიიჩნევდა. თუმცა ჩვენი მისიის აღსასრულებლად საჭიროა თავგამოდება და გულმოდგინება, მაგრამ როგორ ვისწავლოთ ჩვენი მისწრაფების მოთოკვა, თუკი გავაცნობიერებთ, რომ ხანდახან ჩვენც შეიძლება ასევე ვცდებოდეთ?

ორშაბათი
26 ივნისი
სავლეს მოქცევა
"თქვა: "ვინ ხარ შენ, უფალო?" მან კი: "მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი" (საქმე. 9:5).
სავლე ადრეული ეკლესიის დევნას იწყებს უმნიშვნელო როლით (იგი უბრალოდ იცავს სტეფანეს ჩამქოლავთა ტანსაცმელს), მაგრამ მალე ის მთელ კამპანიას იწყებს (იხ. საქმე. 8:1-3; 9:1,2,13,14,21; 22:3-5). ლუკა რამდენიმე სიტყვით ახასიათებს სავლეს, როგორც ველურ, გამძვინვარებულ მხეცს ან მოთარეშე ჯარისკაცს, რომელიც განწყობილია მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ზმნა "არბევდა" (საქმე. 8:3) ასევე გვხვდება ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში (იხ. ფს. 79:14), სადაც აღწერს ველური ტახის არაკონტროლირებად და გამანადგურებელ ქცევას. სავლეს სასტიკი ბრძოლა ქრისტიანებთან სულაც არ იყო გამოწვეული სპონტანური ემოციებით; ეს ქრისტიანული რწმენის განადგურების წინასწარგანზრახული გეგმა იყო.

შეხედეთ სავლეს მოქცევის ამ სამ აღწერას (საქმე. 9:1-18; 22:6-21 და 26:12-19). რა როლი შეასრულა ღვთის მადლმა ამ გამოცდილებაში? სხვა სიტყვებით, იმსახურებდა თუ არა სავლე იმ მადლს, რომელიც უფალმა გამოიჩინა მასთან მიმართებაში? ადამიანური გადმოსახედიდან, სავლეს მოქცევა დაუჯერებელია. ამიტომ მრავალი, ვინც პირველად ისმენს მის შესახებ, სკეპტიკურად განეწყობა.
სავლე ნამდვილად იმსახურებდა სასჯელს, მაგრამ ამის ნაცვლად ღმერთმა ამ მოშურნე იუდეველის მიმართ წყალობა გამოიჩინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სავლეს მოქცევა, განპირობებული რიგი ფაქტორებით, ნებაყოფლობითი იყო.
სავლე არ იყო ათეისტი. იგი ღვთისმოშიში ადამიანი იყო, თუმცა სერიოზულად ცდებოდა ღმერთის თავისეულ გაგებაში. სიტყვები "გაგიძნელდება საგმირისათვის წიხლის ცემა" (საქმე. 26:14), რომლებიც იესომ სავლეს უთხრა, მოწმობენ იმის შესახებ, რომ სული ამხელდა სავლეს. ძველად საგმირავი ეწოდებოდა ბასრბოლოიან ჯოხს, რომლითაც ხვნის დროს ხარებს მიერეკებოდნენ. სავლე ეწინააღმდეგებოდა ღვთის ზეგავლენას, უფალი მას გარკვეული დროის განმავლობაში უბიძგებდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დამასკოს გზაზე აღმდგარ იესოსთან საოცარი შეხვედრის წყალობით სავლემ გადაწყვიტა, აღარ შეწინააღმდეგებოდა მას.
გაიხსენეთ ღმერთისკენ თქვენი მოქცევის გამოცდილება. შესაძლოა, იგი ნაკლებად დრამატული იყო, ვიდრე პავლესი, მაგრამ უფლის მადლი ანალოგიური სახით თქვენზეც გადმოვიდა. რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ არასდროს დაგვავიწყდეს, თუ რა მოგვეცა ქრისტეში?

სამშაბათი
27 ივნისი
სავლე დამასკოში
იესოსთან შეხვედრის დროს დაბრმავებულმა პავლემ მიიღო განკარგულება, წასულიყო იუდას სახლში და იქ დალოდებოდა

ანანიას. ეჭვგარეშეა, სავლეს ფიზიკური სიბრმავე ძლიერი შეხსენება იყო მისი სულიერი სიბრმავისა, რომელიც მასში ქრისტეს მოწაფეების დევნის სურვილს აღძრავდა.
დამასკოს გზაზე იესოსთან შეხვედრამ ყველაფერი შეცვალა. სავლე ფიქრობდა, რომ მართალი იყო, მაგრამ ძლიერ ცდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთისთვის ეშრომა, მას ეწინააღმდეგებოდა. სავლემ იერუსალიმი დატოვა, როგორც ამაყმა და მოშურნე ფარისეველმა, ხოლო დამასკოში სულ სხვა ადამიანად შევიდა. დამასკოში ყოფნის თავისი პირველი სამი დღე მან მარხვასა და ლოცვაში გაატარა, აანალიზებდა ყველაფერს, რაც მოხდა.
წაიკითხეთ საქმე. 9:10-14. წარმოიდგინეთ, როგორი შეშფოთებული იყო ანანია, როცა ერთსა და იმავე ადამიანში ხედავდა მდევნელ სავლესა და იესოს მორწმუნე პავლეს, ღვთის მოციქულს, რომელიც არჩეული იყო წარმართულ სამყაროში სახარების გასავრცელებლად (იხ. საქმე. 26:16-18). თუკი იერუსალიმის ეკლესიას ვერ გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა პავლე მისი მოქცევიდან სამი წლის შემდეგაც კი (იხ. საქმე. 9:26-10), მაშინ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ ამ მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ რა შიშით იქნებოდა შეპყრობილი დამასკოში მყოფი მორწმუნეების გულები.
ასევე ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ უფალმა ანანიას ხილვაში ამცნო საოცარი და მოულოდნელი ახალი ამბავი ტარსუსელი სავლეს შესახებ. რომ არა ეს ხილვა, მაშინ ვერც კი დაიჯერებდა ის, რომ მორწმუნე იუდეველების გაბოროტებული მტერი სავლე ახლა ერთ-ერთი მათგანია.
სავლე იერუსალიმიდან წავიდა იმიტომ, რომ მღვდელმთავრისგან მიიღო განკარგულება, აღმოეფხვრა ქრისტიანული სარწმუნოება (იხ. საქმე. 26:12). მაგრამ ღმერთს სულ სხვა დავალება ჰქონდა სავლესთვის: სახარება ეუწყებინა წარმართული სამყაროსთვის. ანანია და სხვა ებრაელი მორწმუნეები თავად ამ იდეამ უფრო მეტად გააოგნა, ვიდრე ღმერთისკენ სავლეს მოქცევამ.

თავის დროზე სავლე ყველანაირად ცდილობდა, შეეზღუდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება. ახლა კი ღმერთმა გამოიყენა იგი, რათა ქრისტიანობა გაავრცელოს იმ ტერიტორიის მიღმა, რომელზეც ოცნებობდნენ იუდეველი ქრისტიანები. წაიკითხეთ 1მეფ. 16:7; მათ. 7:1 და 1კორ. 4:5. რატომ უნდა ვიყოთ ფრთხილნი ჩვენს მისწრაფებაში, შევაფასოთ სხვა ადამიანთა სულიერი გამოცდილება? შემცდარხართ თუ არა სხვა ადამიანების შეფასებაში და რა ისწავლეთ ამ შეცდომიდან გამომდინარე?

ოთხშაბათი
28 ივნისი
სახარება წარმართებისკენ მიემართება
სად ჩამოყალიბდა ღმერთისკენ მოქცეული წარმართებისგან შემდგარი პირველი ეკლესია? რა მოვლენებმა აიძულა მორწმუნეები, წასულიყვნენ იქ? იხ. საქმე. 11:19-21,26. რომელ ძველაღთქმისეულ ისტორიას გაგონებთ ეს? იხ. დან. 2. იერუსალიმში დევნამ, რომელიც სტეფანეს სიკვდილის შემდეგ გამძვინვარდა, ბევრი მორწმუნე იუდეველი აიძულა, გაქცეულიყო ანტიოქიაში, მათ კი დაახლოებით 450 კილომეტრი უნდა გაევლოთ. ანტიოქია იყო რომის პროვინციის, სირიის დედაქალაქი და თავისი მნიშვნელობით იგი მხოლოდ რომსა და ალექსანდრიას ჩამორჩებოდა. მისი მოსახლეობა, რომელიც სპეციალისტთა შეფასებით ხუთასი ათას ადამიანს ითვლიდა, მეტისმეტად სხვადასხვაგვარი იყო, რის გამოც ქალაქი იდეალურ ადგილს წარმოადგენდა არა მხოლოდ ეკლესიისთვის, რომელიც შედგებოდა როგორც იუდევლების, ასევე წარმართების დიდი რაოდენობისაგან, არამედ ადრეული ეკლესიის მისიონერული საქმიანობის ამოსავალი პუნქტისთვისაც.
ანტიოქიაში მომხდარმა რომელმა მოვლენამ აღძრა ბარნაბა, მოენახულებინა ქალაქი და პავლესთვის შეეთავაზებინა, იქ შეერთებოდა მას? როგორ არის აღწერილი ანტიოქიის ეკლესია? იხ. საქმე. 11:20-26.

თუმცა ძნელია, რომ ქრონოლოგიურად დავალაგოთ პავლე მოციქულის ცხოვრება, მაგრამ როგორც ჩანს, დაახლოებით ხუთი წელი იყო გასული მისი მოქცევიდან (იხ. საქმე. 9:26-30) იმ დრომდე, სანამ ბარნაბა შესთავაზებდა, რომ შეუერთდეს მას ანტიოქიაში. ზუსტად არ ვიცით, თუ რას აკეთებდა პავლე ამ წლების განმავლობაში. თუკი დავეყრდნობით გალ. 1:21-ს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი სახარებას ქადაგებდა სირიასა და კილიკიაში. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ზუსტად ამ პერიოდში ნათესავებმა მას მემკვიდრეობა ჩამოართვეს (იხ. ფილიპ. 3:8) და მან გადაიტანა განსაცდელები, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი 2კორ. 11:23-28-ში. ანტიოქიის ეკლესია აყვავდა სულიწმიდის ხელმძღვანელობით. საქმე. 13:1-ში მოცემული აღწერა მიგვითითებს იმაზე, რომ ქალაქის კოსმოპოლიტური ხასიათი მალევე აისახა თავად ეკლესიის ეთნიკურ და კულტურულ შემადგენლობაზე. (ბარნაბა წარმოშობით კვიპროსიდან იყო, ლუკიოსი - კვირინედან, პავლე - კილიკიიდან, სიმონი - სავარაუდოდ, აფრიკიდან და ა. შ.) სულიწმიდა სულ უფრო მეტი რაოდენობის წარმართებს აღძრავდა, რომ მიეღოთ სახარება და ანტიოქიის ეკლესიას იყენებდა, როგორც მისიონერული საქმიანობის მამოძრავებელს სირიისა და იუდეის საზღვრებს მიღმა.
კიდევ ერთხელ წაიკითხეთ საქმე. 11:19-26. რა შეგვიძლია ვისწავლოთ ანტიოქიის ეკლესიისგან, რომელიც მეტად მრავალფეროვანი იყო კულტურულ და ეთნიკურ ურთიერთობებში? როგორ შეგვიძლია დღეს გავითავისოთ ადრეული ეკლესიის დადებითი გამოცდილება?

ხუთშაბათი
29 ივნისი
ეკლესიის შიგნით არსებული კონფლიქტი
რა თქმა უნდა, ადამიანები არ არიან სრულყოფილნი და სულ ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიაში წარმოიშვა პრობლემები. ჯერ ერთი, ყველა არ იყო კმაყოფილი იმით, რომ წარმართები

უერთდებოდნენ ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიას. უთანხმოება შეიქმნა არა იმის გამო, რომ სახარება უნდა გავრცელებულიყო წარმართებში, არამედ იმ მოთხოვნების გამო, რომლებსაც უყენებდნენ ეკლესიასთან შეერთების მსურველ წარმართებს. ზოგიერთი თვლიდა, რომ მხოლოდ იესოში რწმენა ადამიანს არ აძლევს უფლებას, ეწოდოს ქრისტიანი; მათი აზრით, რწმენა უნდა შევსებულიყო წინადაცვეთით და მოსეს რჯულისადმი მორჩილებით (საქმე. 10:1-11:18-ში შეგვიძლია დავინახოთ უთანხმოების დონე ებრაელებსა და არაებრაელებს შორის, რომელთაც სხვადასხვანაირი რეაქცია ჰქონდათ კორნილიოსთან დაკავშირებით არსებულ პეტრეს გამოცდილებაზე.) ოფიციალური ვიზიტები, რომლებიც ხორციელდებოდა იერუსალიმიდან ჩამოსული უფლებამოსილი პირების მიერ, ისინი კი ამოწმებდნენ ფილიპეს საქმიანობას სამარიაში (იხ. საქმე. 8:14) და ანტიოქიაში წარმართებთან მუშაობას (იხ. საქმე. 11:22), მიგვითითებს მოციქულების მხრიდან ინტერესის არსებობაზე ქრისტიანულ საკრებულოში არაებრაელთა მიღების გამო. თუმცა პეტრეს მიერ კორნელიოსის, წინადაუცვეთელი რომაელი ჯარისკაცის მონათვლაზე არსებული რეაქცია საუკეთესოდ გვიჩვენებს ადრეული ეკლესიის მორწმუნეთა შორის არსებულ უთანხმოებას წარმართების ქრისტიანობაში მიღების საკითხთან დაკავშირებით. თუკი ცალკეული წარმართების, ისეთების, როგორიც იყო კორნელიოსი, ეკლესიაში მიღება ზოგიერთ მორწმუნეში იწვევდა გარკვეულ დისკომფორტს, მითუმეტეს პავლეს ძალისხმევამ, რომ ეკლესიას შეუერთოს წარმართთა დიდი რიცხვი მხოლოდ იესოში რწმენის საფუძველზე, გამოიწვია წინასწარ განზრახული მცდელობები მოციქულის მსახურების ჩაშლის მიზნით.

როგორ ცდილობდა ზოგიერთი მორწმუნე იუდეადან წინ აღდგომოდა პავლეს საქმიანობას ანტიოქიაში არსებულ წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებთან დაკავშირებით? იხ. საქმე. 15:1-5.

თუმცა იერუსალიმის კრებამ საბოლოოდ მიიღო პავლეს პოზიცია წინადაცვეთასთან დაკავშირებით (იხ. საქმე. 15), მაგრამ პავლეს საქმიანობის მიმართ დაპირისპირება გრძელდებოდა. შვიდი წლის შემდეგ, იერუსალიმში პავლეს ბოლო ჩამოსვლის დროს, ბევრი მორწმუნე ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა მის მსახურებას. ტაძარში ყოფნისას პავლე კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა, როცა აზიელმა ებრაელებმა შესძახეს: "კაცნო ისრაელიანნო! ეს ის კაცია, რომელიც ყველას და ყველგან უქადაგებს ხალხის, რჯულისა და ამ ადგილის წინააღმდეგ. ახლა ბერძნებიც კი შეიყვანა ტაძარში და შებღალა ეს წმიდა ადგილი" (საქმე. 21:28. იხ., აგრეთვე, 21:20,21).
თქვენი თავი წარმოიდგინეთ მორწმუნე ებრაელების ადგილას. ისინი შეშფოთებული იყვნენ პავლეს სწავლების გამო. რა იყო მათი შფოთისა და წინააღმდეგობის საფუძველი? რა შეგვიძლია ვისწავლოთ საკუთარ წინასწარშექმნილ არასწორ იდეებთან დაკავშირებით, როცა ისინი ეხება კულტურასა და რელიგიას? როგორ ავარიდოთ თავი შეცდომებს, რომლებიც შესაძლოა კეთილი მიზნების არსებობის შემთხვევაშიც კი დავუშვათ?

პარასკევი
30 ივნისი
შემდგომი გამოკვლევისათვის
იმის შესახებ, თუ რა თანაფარდობაა ღმერთისკენ პირად მოქცევასა და ეკლესიის წევრობას შორის, წაიკითხეთ ელენ უაითის წიგნში "მოწმობანი ეკლესიისთვის" თავი "პირადი დამოუკიდებლობა", ტ. 3, გვ. 430-434. პავლეს ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ იხილეთ მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 226-234.
"პავლე ცნობილი იყო როგორც იუდეველი რელიგიის მოშურნე დამცველი და იესოს მიმდევრების დაუღალავი მდევნელი. ნიჭი და განათლება, სიმამაცე, დამოუკიდებელი აზროვნება და სიმტკიცე საშუალებას აძლევდა, რომ პრაქტიკულად, ნებისმიერ ასპარეზზე ეშრომა. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად ნათელი

აზროვნებითა და ლოგიკით, ხოლო თავისი გამანადგურებელი სარკაზმით შეეძლო, ნებისმიერი მოწინააღმდეგე შეეცბუნებინა. ახლა იუდეველები ხედავდნენ, რომ ეს დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა შეუერთდა მათ, ვისაც ადრე თავად სდევნიდა და უშიშრად ქადაგებს იესოს სახელით.
ბრძოლაში მოკლულები ჯარისთვის დანაკარგია, მაგრამ მათი სიკვდილი არ აძლიერებს მოწინააღმდეგეს. როცა ცნობილი ადამიანი გადადის საპირისპირო მხარეზე, ეს დანაკარგია ყოფილი მეკავშირეებისთვის და გადამწყვეტი უპირატესობაა ახალი მეგობრებისთვის. უფლისთვის ადვილი იყო ტარსუსელი სავლეს მოკვდინება, როცა იგი დამასკოს უახლოვდებოდა და მოწინააღმდეგე მხარე დაკარგავდა მთავარ გადამწყვეტ ძალას. მაგრამ უფლის განგებას სურდა სავლესთვის არა მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნება, არამედ მისი უფლისკენ მოქცევაც, რათა იგი მტრის ბანაკიდან ქრისტეს ბანაკში გადმოსულიყო. პავლე მჭევრმეტყველი ორატორი და მკაცრი მამხილებელი, თავისი მტკიცე მიზანდასახულობითა და უდრეკი სიმამაცით იყო ის ადამიანი, ვინც ასე ძლიერ აკლდა პირველსამოციქულო ეკლესიას" (ელენ უაითი. მოციქულთა საქმეები, გვ.124).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. რა შეგვიძლია ვისწავლოთ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პავლეს ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგეები იყვნენ მისი თანამემამულეები, რომელთაც სწამდათ იესო?
2. როგორ შეგვიძლია დავიცვათ რელიგიური საკითხები, მაგრამ, იმავდროულად, საკუთარ მოშურნეობაში არ დავუპირისპირდეთ ღმერთს?
დასკვნა: დამასკოს გზაზე სავლეს შეხვედრა მკვდრეთით აღმდგარ იესოსთან გარდამტეხი მომენტი იყო მის ცხოვრებაში და ადრეული ეკლესიის ისტორიაში. ღმერთმა ეკლესიის მდევნელი გარდაქმნა თავის რჩეულ მოციქულად, რათა წარმართული სამყაროსთვის სახარება ეუწყებინებინა. მაგრამ ეკლესიაში წარმართების მიღების საკითხი მხოლოდ რწმენის საფუძველზე

დაბრკოლების ლოდად იქცა ეკლესიის ცალკეული წევრებისათვის. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია წინასწარშექმნილ აზრებსა და ცრურწმენებს, ხელი შეუშალოს ჩვენი მისიის აღსრულებას.

2 გაკვეთილი 1 - 7 ივლისი პავლეს ავტორიტეტი და სახარება

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: 2პეტრ. 3:15,16; გალ. 1; ფილიპ. 1:1; გალ. 5:12.

სამახსოვრო მუხლი: "ახლა ადამიანებს ვარწმუნებ თუ ღმერთს? ან იქნებ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? აქამდე ისევ ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მონა აღარ ვიქნებოდი" (გალ. 1:10).

უნივერსიტეტის სტუდენტებმა სტუდენტური ქალაქის ტერიტორიაზე აღჭურვეს ცენტრი, სადაც თითოეულს, მიუხედავად რასისა, სქესისა, სოციალური სტატუსისა ან რელიგიური კუთვნილებისა, შეეძლო თავი კომფორტულად ეგრძნო. წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა: წლების შემდეგ ეს სტუდენტები დაბრუნდნენ საუნივერსიტეტო ქალაქში და აღმოაჩინეს, რომ სხვა სტუდენტებმა გადააკეთეს ცენტრი. დიდი ოთახის ნაცვლად, სადაც საკმარისი სივრცე იყო ურთიერთობისთვის და იქმნებოდა ერთიანობის შეგრძნება, მათ დაინახეს მრავალი მომცრო ოთახი, სადაც დაიშვებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ რასის, სქესისა თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. გადაკეთებაზე პასუხისმგებელ სტუდენტებს შეეძლოთ ემტკიცებინათ, რომ ხელმძღვანელობდნენ მრავალსაუკუნოვანი დადგენილი პრაქტიკით.

ეს რაღაცით გვახსენებს იმ შემთხვევას, რომელსაც პავლე წააწყდა, როცა წერდა თავის წერილს გალატელთა მიმართ. მის გეგმაზე, რომლის მიხედვითაც წარმართებს უფლება ჰქონდათ ეკლესიას შეერთებოდნენ მხოლოდ რწმენის საფუძველზე, კამათობდნენ ცრუმასწავლებლები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ

წარმართებმა უნდა წინადაიცვითონ მანამ, სანამ ეკლესიის წევრები გახდებიან.
პავლეს ესმოდა, რომ ასეთი პოციზია ამახინჯებდა თავად სახარების არსს და ვერ გაჩუმდებოდა. მისი პასუხი ჩამოყალიბებულია წერილში გალატელთა მიმართ.

კვირადღე
2 ივლისი
პავლე, წერილის ავტორი
წაიკითხეთ 2პეტრ. 3:15,16. რას გვამცნობს ეს მუხლები იმის შესახებ, თუ როგორ განიხილავდა ადრეული ეკლესია პავლეს წერილებს? როგორ ახასიათებს ეს ღვთიური შთაგონების პროცესს?
როცა პავლე წერილს სწერდა გალატელებს, მის მიზანს არ წარმოადგენდა ლიტერატურული შედევრის შექმნა. პირიქით, სულიწმიდის ხელმძღვანელობით პავლე მიმართავდა კონკრეტულ შემთხვევებს, რომელიც ეხებოდა მას და გალატიაში მყოფ მორწმუნეებს.
გალატელთა მიმართ წერილის მსგავსი წერილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პავლეს სამოციქულო მსახურებაში. როგორც წარმართთა მოციქულმა, პავლემ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ეკლესიებისა, რომლებიც გაფანტული იყო ხმელთაშუა ზღვის მთელ სანაპიროზე. და თუმცა ყველა შესაძლო შემთხვევებში იგი სტუმრობდა ამ ეკლესიებს, მაგრამ ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. და თავისი დაუსწრებლობის გამო იგი კომპენსირების მიზნით წერდა დარიგებებით აღსავსე წერილებს. საბოლოოდ, პავლეს წერილების ასლები იგზავნებოდა სხვა ეკლესიებში (იხ. კოლ. 4:16). თუმცა ზოგიერთი ამ წერილებიდან დაიკარგა, მაგრამ ახალ აღთქმაში ცამეტი წიგნი მაინც მის სახელს ატარებს. როგორც პეტრე მოციქულის ზემოთ მოყვანილი სიტყვები გვიჩვენებს, პავლეს წერილები განიხილებოდა როგორც წმიდა წერილი. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად ავტორიტეტული იყო მისი მსახურება ადრეული ეკლესიის ისტორიაში.

გარკვეულ დროში ზოგიერთი ქრისტიანი მიიჩნევდა, რომ პავლეს წერილებს აქვთ უნიკალური ფორმა, რომელიც შექმნა სულმა და რომელიც ღვთის შთამაგონებელი სიტყვის გადაცემის საშუალებას იძლეოდა. ეს თვალსაზრისი შეიცვალა, როცა ოქსფორდის ორმა ახალგაზრდა მეცნიერმა, ბერნარდ გრენდჰელმა და არტურ ჰანტმა, ეგვიპტეში აღმოაჩინეს ხუთასი ათასამდე უძველესი დოკუმენტის ფრაგმენტები, რომლებიც პაპირუსზე იყო დაწერილი. ახალი აღთქმის ყველაზე ადრეული ხელნაწერების გარდა მათ აღმოაჩინეს ანგარიშ-ფაქტურები, საგადასახადო დეკლარაციები, ქვითრები და პირადი წერილები.
ყველას და გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ პავლეს წერილები თავისი ფორმით არაფრით განსხვავდებოდა იმ დროში გავრცელებული საბუთებისაგან. მათში იგულისხმებოდა: (1) შესავალი, სადაც ნახსენები იყო გამომგზავნელის და მიმღების სახელები, ასევე მისალმება; (2) სამადლობელი სიტყვა; (3) წერილის ძირითადი ნაწილი და (4) დასკვნა.
სხვა სიტყვებით, პავლე თავის თანამედროვეებს მიმართავდა მათთვის ცნობილ ფორმასა და სტილში.
ბიბლია დღეს რომ დაწერილიყო, თქვენი აზრით, რა სტილსა და ფორმას გამოიყენებდა უფალი თავისი უწყების გადმოსაცემად?

ორშაბათი
3 ივლისი
პავლეს მოწოდება
თუმცა პავლეს წერილები, როგორც წესი, მოიცავს ძირითად ფორმატს, რომელიც ძველად გამოიყენებოდა წერილების წერისას, მაგრამ გალატელთა მიმართ წერილი შეიცავს რიგ უნიკალურ თავისებურებებს, რომლებიც პავლეს სხვა წერილებში არ მოიპოვება. მათი გაცნობიერებისას, უკეთ გავიგებთ იმ სიტუაციას, რომელსაც პავლე მიმართავს.
შეადარეთ მისალმებები, რომლებითაც პავლე იწყებს თავის ყველა წერილს. იხ. გალ. 1:1,2; ეფეს. 1:1; ფილიპ. 1:1 და 2თეს. 1:1. რა არის მათში საერთო და განსხვავებული?

გალატელთა მიმართ წერილში მისალმება შედარებით უფრო ვრცელია, ვიდრე სხვა წერილებში, რადგან მასში პავლე ამყარებს თავის სამოციქულო ავტორიტეტს. ძველი ბერძნული სიტყვა "აპოსტოლოს" სიტყვასიტყვით ნიშნავს "წარგზავნილს" ან "მაცნეს". ახალ აღთქმაში, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ეს ტერმინი მიეკუთვნება მხოლოდ იესოს პირველ თორმეტ მიმდევარს და მათ, ვისაც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე გამოეცხადა და დაავალა, მისი მოწმეები ყოფილიყვნენ (იხ. გალ. 1:19; 1კორ. 15:7). პავლე აცხადებს, რომ ამ რჩეულ ჯგუფს ეკუთვნის. იგი კატეგორიულად უარყოფს, რომ მის სამოციქულო მოწოდებას აქვს ადამიანური ბუნება. ეს იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ გალატიაში ზოგიერთი მორწმუნე შეეცადა სადაო საკითხად ექცია მისი სამოციქულო ავტორიტეტი. რატომ? როგორც უკვე დავინახეთ, ეკლესიის ცალკეული წევრები უკმაყოფილონი იყვნენ პავლეს უწყებით, რომ ხსნა ენიჭება ადამიანს მხოლოდ ქრისტეში რწმენით და არა რჯულის საქმეებით. ისინი თვლიდნენ, რომ სახარების საფუძვლების ჩამოყალიბებისას პავლე სათანადოდ არ აფასებდა მორჩილებას. სიმშვიდის ეს დამრღვეველნი ოსტატურად მოქმედებდნენ. მათ იცოდნენ, რომ პავლეს მახარობლური ქადაგების საფუძველი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი სამოციქულო ძალაუფლების წყაროსთან (იხ. იოან. 3:34) და გადაწყვიტეს, ძლიერი შეტევა განეხორციელებინათ მის ავტორიტეტზე. ამავდროულად, ღიად არ უარყოფდნენ პავლეს მოციქულობას; ისინი უბრალოდ აცხადებდნენ, რომ სინამდვილეში ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ რაკი პავლე არ იყო იესოს ერთ-ერთი პირველი მიმდევარი, მისი ავტორიტეტი მომდინარეობს არა ღვთისგან, არამედ ადამიანებისგან, შესაძლოა, ანტიოქიის ეკლესიის ხელმძღვანელებისაგან, რომლებმაც გაგზავნეს პავლე და ბარნაბა მისიონერულ მსახურებაზე (იხ. საქმე. 13:1-3). ან, იქნებ, ანანიამ, რომელმაც პავლე მონათლა, მიანიჭა მას შესაბამისი

უფლებამოსილება (იხ. საქმე. 9:10-18). მათი აზრით, პავლე იყო ჩვეულებრივი მახარებელი ანტიოქიიდან ან დამასკოდან და მეტი არაფერი! აქედან გამომდინარე, ისინი ამბობდნენ, რომ პავლეს წერილი შეიცავს მხოლოდ მის პირად აზრს და არა ღვთის სიტყვას.
პავლე ხედავს ასეთი განცხადებების მთელ საშიშროებას და იცავს ღვთისგან ბოძებულ თავის სამოციქულო მოწოდებას.
როგორ შეიძლება დღეს ჩვენს ეკლესიაში იკამათონ წმიდა წერილის ავტორიტეტის შესახებ, თუნდაც შენიღბულად? როგორ ამოვიცნოთ ეს საფრთხეები? როგორი გავლენა მოახდინეს მათ ბიბლიის ავტორიტეტის თქვენეულ პირად აღქმაზე?

სამშაბათი
4 ივლისი
პავლეს სახარება
გარდა თავისი მოციქულობის დასაცავად გამოყენებული არგუმენტებისა, კიდევ რას აღნიშნავს პავლე გალატელთა მიმართ თავის მისალმებაში? შეად. გალ. 1:3-5 და ეფეს. 1:2; ფილიპ. 1:2 და კოლ. 1:2.
პავლეს წერილების ერთ-ერთი უნიკალური განსაკუთრებულობაა ის ხერხი, რომლითაც მისალმებაში იგი აკავშირებს სიტყვებს "მადლი" და "მშვიდობა". ამ ორი სიტყვის შეხამება შედეგია იმ ცვლილებისა, რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებდათ ბერძნულისა და ებრაული კულტურის მისალმებებს. იქ, სადაც ბერძენი ავტორი დაწერდა "მოგესალმებით" (ბერძ. “ჰარეინ”), პავლე იყენებს მსგავსი ჟღერადობის სიტყვას "მადლი" (ბერძ. “ჰარის”). ამას უმატებს ტიპიურ ებრაულ მისალმებას "მშვიდობა" (ებრ. “შალომ”).
მოციქული ამ ორი სიტყვის შეხამებას უბრალოდ სილამაზისთვის არ იყენებს. ეს სიტყვები გადმოსცემენ სახარების უწყებას (სინამდვილეში, პავლე ამ ორ სიტყვას იყენებს ყველაზე ხშირად, ვიდრე სხვა რომელიმე ახალაღთქმისეული ავტორი). "მადლი და

მშვიდობა" მომდინარეობს არა პავლესგან, არამედ მამა ღმერთისა და უფალ იესო ქრისტესაგან.
სახარების რომელ ასპექტებს ეხება პავლე გალ. 1:1-6?
თუმცა თავის მისალმებაში პავლე არ არის ენაწყლიანი, მაგრამ ზოგიერთ მოკლე მუხლში იგი ზუსტად გადმოსცემს სახარების არსს. მოციქულის სიტყვების მიხედვით, სახარება არ ემყარება რჯულის მიმართ ჩვენს მორჩილებას, პავლეს მოწინააღმდეგეების მტკიცებულების საწინააღმდეგოდ. პირიქით, სახარება მთლიანად ემყარება იმას, თუ რა მოიმოქმედა ქრისტემ ჩვენი გულისთვის ჯვარზე თავისი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მეშვეობით. ქრისტემ სიკვდილითა და აღდგომით გააკეთა ის, რასაც ვერასდროს გავაკეთებდით საკუთარი თავისთვის. ამით კი დაამხო ბოროტების, ცოდვისა და სიკვდილის ძალაუფლება, რაც ბევრ ადამიანს შიშსა და მონობაში ამყოფებს.
როცა პავლე მსჯელობს მადლსა და მშვიდობაზე, რაც ღმერთმა მოგვანიჭა ქრისტეში, იგი განადიდებს უფალს (იხ. მუხლი 5). გამოიყენეთ დაახლოებით იმდენივე სიტყვა, რამდენსაც პავლე იყენებს გალ. 1:1-5-ში და დაწერეთ, თუ როგორ გესმით პირადად თქვენ სახარება. შაბათს გაუზიარეთ ჯგუფს თქვენი პირადი აზრი.

ოთხშაბათი
5 ივლისი
არა სხვა სახარება
პავლეს წერილებში, ძირითადად, რა მოჰყვება მისალმებას? რით განსხვავდება გალატელთა მიმართ წერილი? შეად. გალ. 1:6 და რომ. 1:8; 1კორ. 1:4; ფილიპ. 1:3; 1თეს. 1:2.
თუმცა ეკლესიების მიმართ პავლე თავის წერილებში განიხილავს ადგილობრივი ეკლესიების ყველა პრობლემას, მაგრამ მას აქვს ჩვევა, რომ მისალმების შემდეგ მიმართოს ღმერთს ლოცვით ან მადლიერებით იმ ადამიანთა რწმენისთვის, ვინც ამ სიტყვებს კითხულობს. ასე იქცევა იგი კორინთელთა წერილებშიც, რომლებსაც თავიანთ საკრებულოში ჰქონდათ ამორალური პრობლემები (შეად. 1კორ. 1:4 და 5:1). მაგრამ გალატიის

შემთხვევა იმდენად სავალალოა, რომ პავლე იძულებულია, უარი განაცხადოს სამადლობელ სიტყვაზე, რათა პირდაპირ გადავიდეს საკითხის არსზე.
პავლეს რომელი სიტყვები მიგვითითებს, რომ იგი განიცდის იმას, რაც ხდება გალატიაში? წაიკითხეთ გალ. 1:6-9; 5:12.
პავლეს არ ეშინია მკაცრი სიტყვების, რითაც ბრალს სდებს გალატელ მორწმუნეებს. იგი პირდაპირ ამბობს, რომ მათ უღალატეს თავიანთ ქრისტიანულ მოწოდებას. ბერძნული ზმნა "გადასვლა", რომელიც გამოიყენება მე-6 მუხლში, ხშირად გამოიყენება სამშობლოს მოღალატე დეზერტირი ჯარისკაცების აღსაწერად. პავლე ამბობს, რომ გალატელი მორწმუნეები, სულიერი გაგებით, იქცნენ დეზერტირებად და ზურგი აქციეს ღმერთს.
რა სახით უღალატეს გალატელებმა ღმერთს? მათ მიმართეს სხვა სახარებას. პავლე არ ამბობს, რომ არსებობს სხვა სახარება, მაგრამ ამტკიცებს, რომ ეკლესიის ზოგიერთი წევრი, რომელიც ასწავლის, რომ ქრისტეში რწმენა არ არის საკმარისი (იხ. საქმე. 15:1-5), იქცევა ისე, თითქოს სხვა სახარება არსებობდეს. მოციქული იმდენად შეწუხებული იყო სახარების დამახინჯებით, რომ ღმერთის სახელით წყევლას აცხადებს მათზე, ვინც ქადაგებს სხვა სახარებას (იხ. გალ. 1:8)! პავლე ორჯერ იმეორებს ამ აზრს (იხ. გალ. 1:9).
ამჟამად ჩვენს ეკლესიაშიც არიან ადამიანები, რომლებიც გამოცდილებას დოქტრინაზე მაღლა აყენებენ. ისინი აცხადებენ, რომ მთავარია ჩვენი განცდები, ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან. რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს გამოცდილება, რას გვამცნობს პავლეს წერილები სწორი სწავლების მნიშვნელობის შესახებ?

ხუთშაბათი
6 ივლისი
პავლეს სახარების ბუნება
გალატიაში მშვიდობის დამრღვევნი ამტკიცებდნენ, რომ პავლე ქადაგებს თავის სახარებას, რადგან სურს, მიიღოს სხვების

კეთილგანწყობა. რას დაწერდა პავლე თავის წერილში სხვანაირად, მხოლოდ ადამიანებისგან რომ ეძებნა აღიარება? წაიკითხეთ გალ. 1:6-9,11-24.
რატომ არ სთხოვს პავლე ღვთისკენ მოქცეულ წარმართებს წინადაცვეთას? პავლეს მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ: ეს იმიტომ ხდება, რომ პავლე ნებისმიერ ფასად ცდილობს, ადამიანები მოიყვანოს ეკლესიაში. მათი აზრით, მან იცის, რომ წარმართებს აცბუნებთ თავიანთი ჩუჩის დაცვეთა, ამიტომ არც სთხოვს ამას. იგი ცდილობს, აამოს ადამიანებს! ამ ბრალდების საპასუხოდ პავლე თავის ოპონენტებს მიუთითებს სიტყვებზე, რომლებიც ჩაწერილია მე-8 და მე-9 მუხლებში.
მას რომ ნდომოდა ეამებინა ადამიანებისთვის, ეჭვგარეშეა, სხვანაირად უპასუხებდა.
რატომ თქვა პავლემ, რომ შეუძლებელია, იყო ქრისტეს მიმდევარი, თუკი ცდილობ, აამო ადამიანებს?
მას შემდეგ, რაც პავლემ მე-11 და მე-12 მუხლებში განაცხადა, რომ თავისი სახარება და ძალაუფლება მიიღო უშუალოდ ღმერთისგან, როგორ ადასტურებს მის სიტყვებს 13-24 მუხლები?
13-24 მუხლებში პავლე ყვება თავისი ცხოვრების შესახებ მოქცევამდე (იხ. მუხ. 13,14), უფალთან მოქცევის დროს (იხ. მუხ. 15,16) და მას შემდეგ (იხ. მუხ. 16-24). პავლე ამტკიცებს, რომ ის გარემოებები, რომლებიც თან ახლდა ყველა ამ მოვლენას, არ ტოვებს ეჭვს, რომ თავისი სახარება მან მიიღო ღვთისგან. პავლე არ აპირებს მდუმარედ უსმინოს იმას, თუ როგორ აუგად იხსენიებენ მის მიერ ნაქადაგებ უწყებას, ხოლო მისი მოწოდება ეჭვქვეშაა დაყენებული. მოციქულმა იცის, თუ რა გადახდა მას, რის სასწავლებლად არის იგი მოწოდებული და გადაწყვეტილი აქვს გააგრძელოს მახარებლობის საქმე, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს.
დარწმუნებული ხართ თუ არა ქრისტეს მიერ თქვენს მოწოდებაში? როგორ შეგიძლიათ იყოთ დარწმუნებული საქმეში, რომლისკენაც ღმერთმა მოგიწოდათ? ამავდროულად,

დარწმუნებულებიც რომ იყოთ თქვენს მოწოდებაში, რატომ უნდა შეგვეძლოს, ყური ვუგდოთ სხვა ადამიანთა რჩევებს?

პარასკევი
7 ივლისი
შემდგომი გამოკვლევისათვის
"ფაქტობრივად, ყველა ეკლესიაში იყო რამდენიმე წევრი, რომლებიც წარმოშობით იუდეველები იყვნენ. იუდეველმა მასწავლებლებმა ადვილად მონახეს მიდგომა ამ ახლადმოქცეულებთან და მათი წყალობით ეკლესიებში მიიღეს მხარდაჭერა. წმიდა წერილიდან მოყვანილი არგუმენტებით შეუძლებელი იყო უარყოფა იმ დოქტრინალური დადგენილებებისა, რომელთაც პავლე ასწავლიდა. ამიტომ ისინი მიმართავდნენ საძაგელ მეთოდებს, რათა წინ აღდგომოდნენ მის ზეგავლენას და დაესუსტებინათ მისი ავტორიტეტი. ისინი აცხადებდნენ, რომ იგი არ იყო იესოს მოწაფე და არ მიუღია მისგან დავალება; იგი ბედავდა ესწავლებინა დოქტრინები, რომლებიც სრულად ეწინააღმდეგებოდა მათ, რომლებსაც იცავდნენ პეტრე, იაკობი და სხვა მოციქულები…
პავლეს სული აუფორიაქდა, როცა დაინახა მთელი ის ბოროტება, რომელიც საშიშროებას უქმნიდა ამ ეკლესიების არსებობას. მან სასწრაფოდ დაწერა გალატელთა მიმართ წერილი, ფარდა ახადა მათ ცრუ თეორიებს და მკაცრად გაკიცხა რწმენიდან განდგომილები" (ე. უაითი. პავლე მოციქულის ცხოვრების ნარკვევები, გვ. 188,189).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. წაიკითხეთ ჯგუფში თქვენი მსჯელობანი სახარების არსთან დაკავშირებით. რა შეგვიძლია ვისწავლოთ ერთმანეთისგან?
2. გალატელთა მიმართ წერილის მისალმებაში პავლე აცხადებს, რომ იესო მოკვდა გარკვეული მიზნით. რა იყო ეს მიზანი? რას ნიშნავს ეს დღეს ჩვენთვის?
3. გალ. 1:14-ში პავლე ამბობს, რომ იყო "მამების გადმოცემის მოშურნე". სიტყვაში "გადმოცემის", სავარაუდოდ, იგი

გულისხმობს ფარისეველთა როგორც ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, ასევე ძველაღთქმისეულ დადგენილებებს. რა ადგილი შეიძლება ეკავოს გადმოცემებსა და ტრადიციებს ჩვენს რწმენაში? რას გვასწავლის პავლეს გამოცდილება ტრადიციებთან დაკავშირებით?
4. რატომ არ არის პავლე "მომთმენი" მათ მიმართ, ვისაც არ სწამდა ისე, როგორც მას? კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მისი ზოგიერთი გამონათქვამი მათ შესახებ, ვისაც განსახვავებული აზრი გააჩნდა სახარებასთან დაკავშირებით. დღეს რა რეაქცია გვაქვს ეკლესიის წევრზე, რომელსაც მტკიცე და უკომპრომისო პოზიცია უკავია?
დასკვნა: გალატიაში ცრუმასწავლებლები ცდილობდნენ შეებღალათ პავლეს მსახურება და ამტკიცებდნენ, რომ მისი მოციქულობა და სახარების უწყება არ მომდინარეობს ღვთისგან. გალატელთა მიმართ წერილის პირველივე მუხლებიდან პავლე უპირისპირდება ამ ბრალდებებს. იგი მტკიცედ აცხადებს, რომ არსებობს გადარჩენის მხოლოდ ერთი გზა და აღწერს, ღვთისკენ მის მოქცევასთან დაკავშირებული მოვლენები როგორ მოწმობს მისი მოწოდებისა და მახარობლობის ღვთაებრივ ხასიათზე.

3 გაკვეთილი 8 - 14 ივლისი სახარების ერთიანობა

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 2:1-14; 1კორ. 1:10-13; დაბ. 17:1-21; იოან. 8:31-36; კოლ. 3:11.
სამახსოვრო მუხლი: "შეავსეთ ჩემი სიხარული, რათა ერთსა და იმავეს ფიქრობდეთ, გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყოთ ერთსულოვანნი, და ერთაზროვანნი" (ფილ. 2:2).
პროტესტანტი რეფორმატორი ჟან კალვინი თვლიდა, რომ განცალკევებულობა და გაყოფა ეშმაკის უმთავრესი იარაღია ეკლესიასთან საბრძოლველად და აფრთხილებდა, რომ ქრისტიანები ისევე უნდა ერიდონ განხეთქილებას, როგორც ჭირს. მაგრამ შეიძლება თუ არა, ერთიანობის გამო დათმო ჭეშმარიტება? წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მარტინ ლუთერს, რეფორმაციის

მამას, სეიმზე ვორმსში ერთიანობის გამო რომ უარეყო თავისი შეხედულებები და მრწამსი, რომ ხსნა მხოლოდ რწმენის საფუძველზე გვეძლევა.
"ლუთერს ერთ პუნქტშიც რომ დაეთმო, სატანა და მთელი მისი მხედრობა გამარჯვებას იზეიმებდნენ, მაგრამ ამ ბერის ურყევი სიმტკიცე საფუძვლად დაედო ეკლესიის თავისუფლებას და დასაბამი მისცა ახალ, უკეთეს ხანას" (ელენ უაითი. დიადი ბრძოლა, გვ. 166).
გალ. 2:1-14-ში ვხედავთ, თუ როგორ აკეთებს პავლე ყველაფერს, რათა შეინარჩუნოს ერთიანობა მოციქულებში მაშინ, როცა ზოგიერთი მორწმუნე ცდილობს, გაანადგუროს იგი. თუმცა, პავლე აღიარებდა ერთიანობის მნიშვნელობას, მაგრამ ამ ერთიანობის მისაღწევად უარყოფდა, დაეთმო ჭეშმარიტება. თუმცა ჭეშმარიტი ერთიანობა გულისხმობს მრავალგვარობას, მაგრამ სახარების ერთიანობა ვერ იქნება ხურდა ფული.

კვირადღე
9 ივლისი
ერთიანობის მნიშვნელობა
წაიკითხეთ 1კორ. 1:10-13. რას გვამცნობს ეს ნაწყვეტი ეკლესიაში ერთიანობის არსებობის მნიშვნელობაზე, როგორ ესმოდა ის პავლეს?
ცილისწამების უარყოფის შემდეგ, რომ მისი სახარება ღმერთისგან არ მომდინარეობს, პავლე გალ. 2:1,2-ში პასუხობს მისი მისამართით არსებულ სხვა ბრალდებას. გალატელი ცრუმასწავლებლები ამტკიცებდნენ, რომ პავლეს სახარება ეწინააღმდეგება იმას, რასაც ასწავლიან პეტრე და სხვა მოციქულები. ისინი ამბობდნენ, რომ პავლე რწმენისგან განდგომილია.
ამ ბრალდების საპასუხოდ პავლე გვიამბობს იერუსალიმში თავისი მოგზაურობის შესახებ, რომელიც მისი მოქცევიდან მინიმუმ თოთხმეტი წლის შემდეგ განხორციელდა. თუმცა ჩვენთვის უცნობია ქალაქის მონახულების ზუსტი თარიღი,

მაგრამ კარგად ვიცით, რომ ძველად ნებისმიერი სახის მოგზაურობა არ წარმოადგენდა ადვილ საქმეს. თუკი მოციქული ანტიოქიიდან იერუსალიმისკენ მოგზაურობდა ხმელეთზე, მაშინ 450 კილომეტრს ის დაფარავდა სამ კვირაში და გზაზე აუცილებლად გადააწყდებოდა მრავალ სირთულესა და საფრთხეს. მიუხედავად ყველა უბედურებისა, პავლემ ეს მოგზაურობა გადაწყვიტა და არა იმიტომ, რომ მოციქულებმა გამოიძახეს იგი, არამედ იმიტომ, რომ სულიწმიდამ აღძრა ამისთვის. იერუსალიმში ყოფნის პერიოდში მან მოციქულებს გადასცა თავისი სახარება.
რატომ გააკეთა მან ეს? რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ გარკვეული ეჭვი გააჩნდა იმ მოძღვრების მიმართ, რომელსაც სხვებს ასწავლიდა. ეჭვგარეშეა, მას არ სჭირდებოდა გარკვეული დასტური მათგან. ბოლოს და ბოლოს, იგი ამ სახარებას თოთხმეტი წლის განმავლობაში ამცნობდა. და თუმცა მას არ სჭირდებოდა მათგან ნებართვის ან მათი თანხმობის მიღება, მაინც დიდად აფასებდა თანადგომასა და წახალისებას სხვა მოციქულების მხრიდან.
ამგვარად, ბრალდება, რომ მისი უწყება არ ეთანხმებოდა მოციქულთა სწავლებას, დარტყმას წარმოადგენდა არა მხოლოდ პავლეზე, არამედ თავდასხმა იყო მოციქულთა ერთიანობასა და თავად ეკლესიაზე. მოციქულებს შორის ერთიანობის შენარჩუნებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნდა, რადგან წარმართებზე ორიენტირებულ პავლეს მისიასა და იერუსალიმში არსებულ დედა ეკლესიას შორის გაყოფას კატასტროფული შედეგი მოჰყვებოდა. რომ არ ყოფილიყო ურთიერთობა წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებსა და იუდეველობიდან მოქცეულ ქრისტიანებს შორის, მაშინ "ქრისტე გაიყოფოდა და მთელი ენერგია, რომელიც პავლემ უკვე დახარჯა და აპირებდა მიემართა წარმართული სამყაროსთვის მახარობლობაზე, აღარ იქნებოდა მოთხოვნადი" (F. F. Bრუცე, თჰე Eპისტლე ტო ტჰე Gალატიანს, პ. 111).

რა სახის საფრთხეები ემუქრება დღეს ეკლესიის ერთიანობას? რას ვაკეთებთ მათ აღსაკვეთათ? რა არის ერთიანობაზე უფრო მნიშვნელოვანი?

ორშაბათი
10 ივლისი
წინადაცვეთა და ცრუძმები
რატომ იქცა წინადაცვეთა საკვანძო საკითხად პავლესა და იუდეველ ქრისტიანთა კამათში? იხ. დაბ. 17:1-22; გალ. 2:3-5; 5:2,6. საქმე. 15:1,5. რატომ არ არის რაიმე გასაკვირი იმ შეხედულებაში, რომ წარმართებიც უნდა იყვნენ წინადაცვეთილები?
წინადაცვეთა იყო ნიშანი იმ აღთქმისა, რომელიც ღმერთმა დაუდო აბრაამს, ებრაელი ერის მამას. მიუხედავად იმისა, რომ წინადაცვეთა განკუთვნილი იყო მხოლოდ აბრაამის მამრობითი სქესის შთამომავლობისთვის, მაგრამ ყველა იყო მოწვეული, აღთქმა დაედო ღმერთთან. წინადაცვეთის განკარგულება აბრაამს მიეცა დაბ. 17-ში. ეს მოხდა აბრაამის სავალალო მცდელობის შემდეგ, რომ შესძენოდა შვილი თავისი ცოლის ეგვიპტელი მსახურისგან. იგი ფიქრობდა, რომ ამით ეხმარება ღმერთს თავისი აღთქმის აღსრულებაში.
წინადაცვეთა იყო აღთქმის შესაბამისი ნიშანი. იგი იყო შეხსენება იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც ანხორციელებენ ყველაზე დახვეწილ ჩანაფიქრებსაც კი, ვერასდროს აღასრულებენ ღვთის დანაპირებს. გარეგნული წინადაცვეთა იყო გულის წინადაცვეთის სიმბოლო (იხ. რჯლ. 10:16; 30:6; იერ. 4:4; რომ. 2:29). იგი საშუალებას იძლეოდა, გათავისუფლებულიყვნენ თავდაჯერებულობისაგან და თავიანთი "მე" დაემორჩილებინათ ღვთისთვის.
მაგრამ პავლეს დროს წინადაცვეთა იქცა ეროვნულობისა და რელიგიური იდენტიფიცირების მნიშვნელოვან ნიშნად და ეს მაშინ, როცა თავდაპირველად მასში არ იდო მსგავსი აზრი. იესოს შობამდე ერთნახევარი საუკუნით ადრე ზოგიერთმა ზედმეტად თავგამოდებულმა პატრიოტმა პალესტინაში ყველა

წინადაუცვეთელი ებრაელი აიძულა არა მხოლოდ წინადაეცვითა, არამედ კიდეც მოსთხოვეს, რომ ეს წეს-ჩვეულება ჩატარებულიყო მეზობელი ქვეყნების მაცხოვრებლებს შორის, რომლებიც მათ იურისდიქციაში ხვდებოდნენ. ზოგიერთი წინადაცვეთას ხსნის საწინდრადაც კი მიიჩნევდა. ამის დანახვა შეიძლება უძველეს ეპიგრამებში, სადაც ნათქვამია, რომ "წინადაცვეთილი მამაკაცები არ ჩავლენ გეენაში [ჯოჯოხეთში]" (ჩ. E. B. ჩრანფიელდ, A ჩრიტიცალ ანდ Eხეგეტიცალ ჩომმენტარყ ონ ტჰე Eპისტლე ტო ტჰე ღომანს, პ. 172).
შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, თითქოს პავლე წინადაცვეთის წეს-ჩვეულების წინააღმდეგ გამოდიოდა. პავლე წინააღმდეგი იყო, რომ წარმართებისთვის ეს ეიძულებინათ. ცრუმასწავლებლები აცხადებდნენ: "თუკი წინადაცვეთას არ მიიღებთ მოსეს წესით, ვერ გადარჩებითო" (საქმე. 15:1). სინამდვილეში, საკითხი იმდენად არ ეხებოდა თავად წინადაცვეთას, რამდენადაც - ხსნას. ან ხსნა მხოლოდ ქრისტეში რწმენით გვეძლევა, ან დავიმსახურებთ მორჩილების შედეგად. შესაძლოა, წინადაცვეთის საკითხი დღეს არ დგას ასე მწვავედ. მაგრამ რომელ მსგავს პრობლემებს ვებრძვით, როგორც ეკლესია?

სამშაბათი
11 ივლისი
ერთიანობა მრავალფეროვნებაში
წაიკითხეთ გალ. 2:1-10. პავლე ამბობს, რომ ცრუ ძმები ფარულად "შემოიპარნენ, რომ ეთვალთვალათ ჩვენი თავისუფლებისათვის, რომელიც გვაქვს იესო ქრისტეში, რათა დავემონებინეთ" (გალ. 2:4). რისგან არიან თავისუფლები ქრისტიანები? წაიკითხეთ იოან. 8:31-36; რომ. 6:6,7; 8:2,3; გალ. 3:23-25; 4:7,8; ებრ. 2:14,15. როგორ შევიგრძნობთ ამ თავისუფლების რეალობას?
თავისუფლება, რომელიც ახასიათებს ქრისტიანულ გამოცდილებას, პავლესთვის მნიშვნელოვანი ცნებაა. იგი ამ სიტყვას ახალი აღთქმის ყველა სხვა ავტორზე უფრო ხშირად გამოიყენებდა, ხოლო გალატელთა მიმართ წერილში სიტყვა

"თავისუფალი" და "თავისუფლება" მრავალგზის გვხვდება. მაგრამ ქრისტიანის თავისუფლება ნიშნავს ქრისტეში თავისუფლებას. ეს არის შესაძლებლობა, იცხოვრო ღმერთისადმი უსაზღვრო ერთგულების ცხოვრებით. იგი გულისხმობს თავისუფლებას ჩვენი ცოდვილი ბუნების სურვილებისგან (იხ. რომ 6), თავისუფლებას რჯულის განკითხვისგან (იხ. რომ. 8:1,2), ასევე თავისუფლებას სიკვდილის ძალაუფლებისგან (იხ. 1კორ. 15:55).
მოციქულები აღიარებდნენ, რომ პავლეს მიენდო "ხარება წინადაუცველთათვის, ისევე, როგორც პეტრეს - წინადაცვეთილთათვის" (გალ. 2:7). რას გვეუბნება ეს ეკლესიაში ერთიანობისა და მრავალფეროვნების შესახებ?
მოციქულები აღიარებდნენ, რომ ღმერთმა პავლეს მოუწოდა სახარება მიეტანა წარმართებისთვის ისევე, როგორც პეტრეს მოუწოდა, ექადაგა ებრაელებისთვის. ორივე შემთხვევაში სახარება ერთი და იგივე იყო, მაგრამ მიტანის საშუალება დამოკიდებული იყო ერზე, რომელსაც ახარებდნენ მოციქულები. მოცემულ მუხლში იგულისხმება, რომ "ერთი და იგივე დოქტრინა სხვადასხვანაირად უნდა გაიგონ და განსხვავებული ძალა უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. და ეს აუცილებელია, რომ ვაღიაროთ… ეს არის მრავალფეროვნებაში არსებული ის ერთიანობა, რომელიც ქრისტიანული ერთიანობის საფუძველია" (ჟამეს D. G. Dუნნ, თჰე Eპისტლე ტო ტჰე Gალატიანს, პ. 106).
რამდენად გახსნილნი უნდა ვიყოთ მახარებლობის ახალი მეთოდებისთვის, რომლებიც აღგვძრავენ გამოვიდეთ "კომფორტის ზონიდან"? რომელი მეთოდები და რატომ იწვევენ ჩვენში შფოთს? რა არის აუცილებელი, რომ ამ საკითხში უფრო გახსნილნი ვიყოთ?

ოთხშაბათი
12 ივლისი
დაპირისპირება ანტიოქიაში

(გალ. 2:11-13)
იერუსალიმში პავლესთან საუბრის შემდეგ განვლო გარკვეულმა დრომ და პეტრემ მოინახულა სირიის ანტიოქია, სადაც ღვთისკენ იყო მოქცეული წარმართებიდან შემდგარი პირველი ეკლესია და სადაც პავლე ასრულებდა თავის მისიონერულ საქმიანობას; ეს უკანასკნელი კი აღწერილია წმიდა მოციქულთა საქმეების წიგნში. ამ შეხვედრის დროს პეტრე თავისუფლად ჭამდა ქრისტესკენ მოქცეულ წარმართებთან ერთად. მაგრამ როცა მოვიდა იაკობისგან გამოგზავნილი გაქრისტიანებული იუდეველების ჯგუფი, პეტრემ მათი მხრიდან მცდარი მსჯელობის შიშით უცებ შეცვალა თავისი ქცევა, იწყო წარმართობიდან მოქცეული თავისი თანამოძმეებისთვის თავის არიდება.
რატომ მოიქცა პეტრე ასე არათანმიმდევრულად? შეადარეთ გალ. 2:11-13 და საქმე. 10:28. რას გვამცნობს მისი ქცევები იმის შესახებ, თუ რამდენად ღრმად შეიძლება გაიდგას ფესვი კულტურამ და ტრადიციამ ჩვენს ცხოვრებაში და ზეგავლენა იქონიოს ჩვენს ქცევებზე?
ზოგიერთი მცდარად ვარაუდობს, რომ მოცემულ შემთხვევაში პეტრემ და სხვა იუდეველებმა უარი განაცხადეს, გაჰყოლოდნენ ძველაღთქმისეულ კანონებს წმიდა და უწმიდურ საკვებთან დაკავშირებით. მაგრამ აქ საუბარი სულ სხვა რამეზე მიდის. პეტრეს და გაქრისტიანებულ იუდეველებს რომ უარეყოთ საკვებთან დაკავშირებული კანონები, ეს აღშფოთებას გამოიწვევდა ეკლესიის წევრთა შორის. ამის შესახებ იქნებოდა რაიმე ჩანაწერი, მაგრამ ეს უკანასკნელი არ არსებობს. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ პეტრე წარმართებთან ერთად ერთ სუფრასთან იჯდა. რაკი მრავალი იუდეველი წარმართებს უწმიდურად მიიჩნევდა, ზოგიერთი მათგანი, შეძლებისდაგვარად, თავს არიდებდა მათთან რაიმე სახის კონტაქტს.
ოდესღაც თავად პეტრესაც გააჩნდა მსგავსი შეხედულება, მაგრამ ღმერთისგან მიღებულმა ხილვამ ხელი შეუწყო, სწორი პოზიცია

დაეკავებინა ამ საკითხში. როცა პეტრე შევიდა რომაელი ასისთავის, კორნელიოსის სახლში, თქვა: "თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და დაახლოება უცხოტომელთან. მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არც ერთი ადამიანისთვის არ მეწოდებინა შებილწული ან უწმიდური" (საქმე. 10:28). და თუმცა კორნელიოსთან შეხვედრის შემდეგ პეტრეს სწორად ესმოდა ეს საკითხი, მაინც იმდენად ცდილობდა, არ გაენაწყენებინა თავისი თანამემამულენი, რომ დაუბრუნდა უწინდელ ქცევას. ეს კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძლიერ ზეგავლენას ახდენდა კულტურა და ტრადიციები მის ცხოვრებაზე.
პავლემ პეტრეს ქმედებას უწოდა ის, რაც იყო: გალ. 2:13-ში გამოიყენება ბერძნული სიტყვა "ჰიუპოკრისის" - პირფერობა. იგი ამბობს, რომ ბარნაბაც კი "ჩაითრია მათმა პირფერობამ". ძლიერი პირდაპირი სიტყვები, რომლებიც უთხრა ღვთის ერთმა ადამიანმა მეორეს.
რატომ არის ასეთი ადვილი, დავუშვათ პირფერობა? შესაძლოა, იმიტომ რომ ბუნებაში გვაქვს, თვალი დავხუჭოთ საკუთარ შეცდომებზე, მაგრამ სხვის შეცდომებს ყოველთვის ვხედავთ. რა სახის პირფერობა შეგიძლიათ დაინახოთ საკუთარ ცხოვრებაში? და, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, როგორ შეგვიძლია ამოვიცნოთ იგი და გავთავისუფლდეთ მისგან?

ხუთშაბათი
13 ივლისი
პავლეს განცდა
(გალ. 2:14)
ანტიოქიაში სიტუაცია დაძაბული იყო: ქრისტეს ორი მოციქულის, პავლესა და პეტრეს აზრები და ხედვები გაიყო. პავლე პეტრეს მოუწოდებს, რომ განმარტოს საკუთარი საქციელი.
რა მიზეზებმა აიძულა პავლე, საჯაროდ ემხილებინა პეტრე? იხ. გალ. 2:11-14.

პავლეს ესმოდა, რომ პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ პეტრემ გადაწყვიტა იერუსალიმიდან მოსულებთან ერთად სუფრასთან დამჯდარიყო. სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციები, ეჭვგარეშეა, მოითხოვდა ამას.
საქმე მდგომარეობდა "სახარების ჭეშმარიტებაში" და არა უბრალოდ ურთიერთობასა და სუფრასთან ჯდომაში. სინამდვილეში, პეტრეს ქმედებები ჩრდილს აყენებდა კეთილ უწყებას.
წაიკითხეთ გალ. 3:28 და კოლ. 3:11. როგორ გვეხმარება ეს მუხლები პავლეს რეაქციის გაგებაში?
იერუსალიმში შეხვედრის დროს ყველა მოციქული მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმართებს წინადაცვეთის გარეშეც შეუძლიათ მიიღონ ქრისტეში ყველა კურთხევა. ახლა კი პეტრეს ქმედებები ამ გადაწყვეტილებას ეჭვქვეშ აყენებდა. იქ, სადაც გაქრისტიანებული იუდეველები და წარმართები ოდესღაც ერთიანდებოდნენ ძმობაში, ახლა სამწყსო გაიყო და მომავალში ამას შეეძლო მთელი ეკლესიაც გაყოფამდე მიეყვანა.
პავლეს აზრით, პეტრეს ქცევა გამოხატავდა, რომ გაქრისტიანებული წარმართები, საუკეთესო შემთხვევაში, მეორე ხარისხის მორწმუნეები იყვნენ. მსგავს ქმედებებს შეიძლება ძლიერი ზეწოლა მოეხდინა ყოფილ წარმართებზე და აღეძრა ისინი, რომ დაეკმაყოფილებინათ ყველა მოთხოვნა, რათა რეალურად გამხდარიყვნენ ქრისტიანული საძმოს წევრები. ამიტომ პავლე ამბობს: "თუ შენ, იუდეველი, წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, აბა, წარმართებს რაღად აიძულებ-მეთქი, რომ გაიუდეველდნენ?" (გალ. 2:14). ფრაზა "გაიუდეველდნენ" სიტყვასიტყვით შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც "იუდაიზმისკენ მოქცევა". ეს გამონათქვამი ხშირად გამოიყენებოდა და აღნიშნავდა "იუდეველთა ცხოვრების სტილის მიღებას". ასე ამბობდნენ წარმართებზე, რომლებიც დადიოდნენ სინაგოგაში და იღებდნენ იუდეველთა წეს-ჩვეულებებს. ამავე

მიზეზით გალატიაში არსებულ პავლეს ოპონენტებზე, რომელთაც იგი უწოდებს ცრუ ძმებს, ხშირად ამბობდნენ "იუდეველობენო". პეტრეს მაგალითი იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ მას მიბაძა ბარნაბამაც, რომელიც ასევე კარგად ერკვეოდა ამ საკითხში. ადამიანის გარემოცვის ზეგავლენის რა ნათელი მაგალითია მის ქცევაზე! როგორ ვისწავლოთ, რომ წინ აღვუდგეთ დამღუპველ ზეგავლენას, რათა გარშემომყოფებმა ვერ აგვაცდინონ ჭეშმარიტი გზიდან?

პარასკევი
14 ივლისი
შემდგომი გამოკვლევისათვის
ერთიანობისა და ეკლესიაში მრავალფეროვნების საკითხთან დაკავშირებით წაიკითხეთ: ე. უაითი "რჩევები ავტორებსა და რედაქტორებს", ნაწილი "ახალი ნათელის გამოკვლევა", გვ. 45,47; "რჩეული უწყებანი", ტ. 1, ნაწილი "განმარტებები ადრეულ გამონათქვამებთან დაკავშირებით", გვ. 75; "სახარების მსახურები", თავი "ტაქტიკურობა", გვ. 117-119; "1888 წლის მასალები", ტ. 3, "გამოცემული ხელნაწერები 898", გვ. 1092,1093.
"ყველაზე კარგმა ადამიანებმაც კი, რომლებიც საკუთარი თავის ბატონ-პატრონი არიან, შეიძლება დაუშვან სერიოზული შეცდომები. რაც უფრო მეტი პასუხისმგებლობაა დაკისრებული ადამიანზე, რაც უფრო დიდია მისი თანამდებობა, რომელიც უფლებას აძლევს გასცეს განკარგულება და აკონტროლოს, მით უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლია მას, შეუძლია გახრწნას ადამიანთა გონება და გული, თუკი მკაცრად არ მიჰყვება უფალს. ანტიოქიაში პეტრემ დათმო პატიოსნების პრინციპები. პავლე წინ უნდა აღდგომოდა მას, როგორც სახეების შემყურე. მოცემული შემთხვევა იმიტომ ჩაიწერა, რომ სხვებს სიკეთე მოუტანოს და რომ ეს გაკვეთილი ხმამაღალი გაფრთხილება იყოს ადამიანებისთვის, რომლებიც მაღალ თანამდებობაზე მყოფი არიან, რათა არ დათმონ პატიოსნება, არამედ ჩაეჭიდონ გარკვეულ

პრინციპებს" (ე. უაითი. მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1108).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. ადამიანთა უმრავლესობას არ სიამოვნებს კონფლიქტები, მაგრამ ხანდახან მათთვის თავის არიდება უბრალოდ შეუძლებელია. როგორ ვიპოვოთ საკუთარ თავში სიმტკიცე, რომ, პავლეს მსგავსად, სიყვარულისა და თავმდაბლობის სულში ვამხილოთ მოყვასის არასწორი ქცევები, რომლებიც ეკლესიას არცხვენენ?
2. მეშვიდე დღის ადვენტისტთა ეკლესია რაც უფრო მეტად მრავალრიცხოვანი ხდება, მით უფრო მეტად აერთიანებს ერების, კულტურებისა და ენათა მრავალფეროვნებას. რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ეკლესიას, რათა ამ მრავალფეროვნებაში არ დაკარგოს ერთიანობა? როგორ ვისწავლოთ მივიღოთ კულტურათა და ტრადიციათა მრავალფეროვნება და გვიხაროდეს კიდეც ეს, მაგრამ, ამავდროულად, შევინარჩუნოთ ერთიანობა?
3. როცა კეთილ უწყებას ვუზიარებთ სხვა კულტურათა წარმომადგენლებს, რა ელემენტების შეცვლა შეგვიძლია და რომლები არ უნდა შევცვალოთ? როგორ ვისწავლოთ, განვასხვავოთ ის, თუ რა უნდა შევინარჩუნოთ აუცილებლად და ის, თუ საჭიროების შემთხვევაში, რა შეგვიძლია უარვყოთ?

დასკვნა: ზოგიერთი იუდეველი მოითხოვდა წარმართების აუცილებელ წინადაცვეთას, რათა ისინი გამხდარიყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები. ამით კი გაიუდეველებულნი საშიშროების წინაშე აყენებდნენ ადრეული ეკლესიის ერთიანობას. მოციქულებმა ნება არ დართეს, რომ ამ პრობლემას ქრისტეს სხეული სხვადასხვა მიმდინარეობებად გაეყო. მიუხედავად კონფლიქტებისა და აზრთა სხვადასხვაობისა, სახარების მახარებლები ერთად მუშაობდნენ, რათა ღვთის ეკლესია ერთიანი და ჭეშმარიტი უწყების ერთგული დარჩენილიყო.

4 გაკვეთილი 15 - 21 ივლისი გამართლება მხოლოდ რწმენით

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 2:15-21. ეფეს. 2:12; ფილიპ. 3:9; რომ. 3:10-20; დაბ. 15:5,6; რომ. 3:8.
სამახსოვრო მუხლი: "მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული. მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი გადასცა ჩემთვის" (გალ. 2:19,20).
როგორც უკვე წინა გაკვეთილში აღინიშნა, პავლემ ანტიოქიაში საჯაროდ ამხილა პეტრე, რადგან ამ უკანასკნელის ქმედება ეწინააღმდეგებოდა მათ მიერ ნაქადაგებ რწმენას. პეტრეს გადაწყვეტილება, რომ აღარ ეჭამა თავის თანამოძმეებთან, ყოფილ წარმართებთან ერთად, მათ უნერგავდა აზრს, რომ მეორე ხარისხის ქრისტიანები იყვნენ. მისი ქმედებები თითქოს ამბობდა: თუკი მათ სურდათ ყოფილიყვნენ ღვთის ოჯახის ნაწილი და დაუბრკოლებლივ მიეღოთ ძმური ურთიერთობის სრულყოფილი კურთხევები, მათ უნდა გაევლოთ წინადაცვეთის რიტუალი.
რა უთხრა პავლემ პეტრეს იმ დაძაბულ მომენტში? მოცემულ გაკვეთილში განვიხილავთ გალატელთა მიმართ წერილის გარკვეულ მუხლებს (იხ. გალ. 2:15-21), რომელშიც აღწერილი ჰგავს ამ ინციდენტის შემდგომ მოკლე მიმოხილვას. ეს ნაწყვეტი მთელს ახალ აღთქმაში ყველაზე შეკუმშული თხრობაა. იგი მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რადგან შეიცავს სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც წარმოადგენს საძირკველს გალატელთა მიმართ წერილისა და სახარების გასაგებად. ეს ისეთი საკვანძო საკითხებია, როგორიცაა: გამართლება, სიმართლე, რჯულის საქმეები, იესოში რწმენა.
რა აზრს დებდა პავლე ამ ტერმინებში და რას გვიხსნიან ისინი გადარჩენის გეგმის შესახებ?

კვირადღე
16 ივლისი
გამართლების საკითხი (გალ. 2:15,16)

გალ. 2:15-ში პავლე წერს: "ჩვენ ბუნებით იუდეველნი ვართ და არა ცოდვილნი წარმართთაგან". თქვენი აზრით, რას გულისხმობდა იგი?
პავლეს სიტყვები უნდა გავიგოთ კონტექსტში. იმისთვის, რომ თავის მხარეს გადმოიბიროს ისეთივე ქრისტიანი-ებრაელები, როგორიც თვითონ არის, პავლე მსჯელობას იწყებს იმით, რაშიც დაეთანხმებიან, ტრადიციული გაყოფით იუდეველებსა და წარმართებს შორის. იუდეველები იყვნენ რჩეული ერი, რომელსაც მიენდო ღვთის რჯული და რომელიც უფალთან აღთქმაში იმყოფებოდა. წარმართები კი იყვნენ ცოდვილები, მათ არ იცოდნენ ღვთის რჯული და არ იყვნენ აღთქმაში (იხ. ეფეს. 2:12; რომ. 2:14). თუმცა წარმართები აშკარად "ცოდვილები" იყვნენ, მაგრამ მე-16 მუხლში პავლე აფრთხილებს ქრისტიან-იუდეველებს, რომ მათი სულიერი პრივილეგიები ღმერთის წინაშე არ ანიჭებთ უპირატესობას, რადგან არავინ გამართლდება "რჯულის საქმეებით".
გალ. 2:16,17-ში პავლე ოთხჯერ გამოიყენებს სიტყვას გავმართლდეთ/გამართლება. რას გულისხმობდა იგი გამართლებაში? იხ. გამ. 23:7 და რჯლ. 25:1.
ზმნა "გამართლება" საკვანძო ტერმინია პავლესთვის. ახალ აღთქმაში ეს სიტყვა გამოიყენება 39-ჯერ და მათგან 27-ჯერ - პავლეს წერილებში. გალატელთა მიმართ წერილში იგი ამ სიტყვას რვაჯერ იყენებს, მათ შორის ოთხჯერ ჩვენ მიერ აღნიშნულ გალ. 2:16,17-ში. გამართლება – ეს არის იურიდიული ტერმინი. იგი დაკავშირებულია მოსამართლის განაჩენთან, როცა ადამიანს აღიარებენ უდანაშაულოდ იმ დანაშაულში, რომელშიც ბრალს სდებდნენ. გამართლება განკითხვის საპირისპიროა. ამავდროულად იგი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პატიება. ეს არის ადამიანის აღიარება, როგორც მართლის.
მაგრამ ზოგიერთი მორწმუნე იუდეველისთვის გამართლება უკავშირდებოდა მათ ურთიერთობებს ღმერთთან და მის აღთქმასთან. გამართლება ასევე ნიშნავდა, რომ ადამიანი

მიიჩნეოდა ღვთის აღთქმის საზოგადოების ერთგულ წევრად, აბრაამის ჭეშმარიტ შთამომავლად.
წაიკითხეთ გალ. 2:15-17. რაზე საუბრობს აქ პავლე და როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ მისი სიტყვები თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში?

ორშაბათი
17 ივლისი
რჯულის საქმეები
გალ. 2:16-ში პავლე სამჯერ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანი არ მართლდება "რჯულის საქმეებით". რა აზრს დებდა იგი ამ ფრაზაში? როგორ გვეხმარება ეს მუხლები, რომ გავიგოთ მისი მნიშვნელობა? გალ. 2:16,17; 3:2,5,10; რომ. 3:20,28.
რომ ჩავწვდეთ ფრაზას "რჯულის საქმეები", უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ, თუ რას გულისხმობდა პავლე სიტყვაში "რჯული". პავლეს წერილებში სიტყვა "რჯული" (ბერძ. ნომოს) გვხვდება 121-ჯერ. მას შეიძლება ბევრი განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს, მათ შორის ღვთის ნება თავისი ერისთვის, მოსეს პირველი ხუთი წიგნი, მთელი ძველი აღთქმა, ასევე მისი მხოლოდ მნიშვნელოვანი პრინციპები. მაგრამ, პირველ რიგში, ამ სიტყვაში პავლე გულისხმობს ღვთის მცნებების მთელ კრებულს, რომელიც ისრაელ ერს მიეცა მოსეს მეშვეობით.
ამიტომ სიტყვები "რჯულის საქმეები" გულისხმობს ყველა მოთხოვნას როგორც ზნეობრივს, ასევე სარიტუალო მცნებებსაც, რომლებიც ღმერთმა მოსეს მეშვეობით მისცა. პავლე აცხადებს: არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძლიერად ვცდილობთ დავიცვათ ღვთის რჯული, მაინც ჩვენი მორჩილება არ იქნება საკმარისი, რათა ღმერთმა გაგვამართლოს და მის თვალში მართლები ვიყოთ, იმიტომ, რომ უფლის კანონი ითხოვს სიწმიდეს აზრებში, შთაგონებებში, სიტყვებსა და ქმედებებშიც კი. აუცილებელია მისი მცნებების დაცვა არა ხანდახან, არამედ მუდმივად და არა რომელიმე მათგანის, არამედ ყველასი. ამ ყველაფერს კი ცოდვილი ადამიანი თავისი ძალებით ვერ მიაღწევს!

თუმცა ფრაზა "რჯულის საქმეები" არ გამოიყენება ძველ აღთქმაში, ხოლო ახალ აღთქმაში მას მხოლოდ პავლე გამოიყენებს, მისი აზრის საოცარი დადასტურება გაჩნდა 1947 წელს. მაშინ აღმოაჩინეს მკვდარი ზღვის გრაგნილები, ხელნაწერთა კრებული, რომელიც გადაწერა იუდეველთა ჯგუფმა, სახელად ესეებმა, ისინი კი ცხოვრობდნენ დაახლოებით იესოს დროს. თუმცა გრაგნილები დაწერილია ებრაულ ენაზე, ერთ-ერთი მათგანი შეიცავს ზუსტად ამ ფრაზას. გრაგნილი დასათაურებულია "მიკსატ მა'ას ჰა-თორაჰ", რაც შეიძლება ითარგმნოს როგორც "რჯულის მნიშვნელოვანი საქმეები". რჩევები, რომლებიც ამ გრაგნილშია, მიმართულია სიწმიდის წაბილწვის აღმოსაფხვრელად და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იუდეველების გამოყოფას წარმართებისგან. ბოლოს ავტორი ხაზს უსვამს: ეს "რჯულის საქმეები" თუკი იქნება დაცული, "ღმერთის წინაშე მართლად ჩაითვლებით". პავლესგან განსხვავებით, გრაგნილის ავტორი მკითხველს სიმართლეს სთავაზობს არა რწმენის, არამედ საქმეების საფუძველზე. რამდენად კარგად იცავთ ღვთის რჯულს თქვენს ცხოვრებაში? გრძნობთ თუ არა, რომ იმდენად კარგად იცავთ მას, რომ ღმერთის წინაშე გამართლდებით თქვენი რჯულის მორჩილების წყალობით? იხ. რომ. 3:10-20. თუკი არა, მაშინ რატომ? როგორ გეხმარებათ თქვენი პასუხი პავლეს სიტყვების გაგებაში?

სამშაბათი
18 ივლისი
ჩვენი გამართლების საფუძველი
"და აღვმოჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, რაც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენა, ღვთიური სიმართლე, რწმენის მიხედვით" (ფილიპ. 3:9).
არ უნდა ვიფიქროთ, რომ იუდეველი ქრისტიანები თვლიდნენ, თითქოს ქრისტეში რწმენა არ არის აუცილებელი; ბოლოს და ბოლოს, ყოველ მათგანს სწამდა მისი. მაგრამ მათი ქცევა გვიჩვენებს, რომ ისინი თვლიდნენ: გამართლებისთვის რწმენა არ

არის საკმარისი, იგი უნდა შეივსოს მორჩილებით, თითქოს ჩვენი მორჩილება რამეს შემატებდა გამართლების აქტს. თავიანთი აზრის დასამტკიცებლად მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ გამართლება არის რწმენითა და საქმეებით. პავლეს ყურადღების გამახვილება ქრისტეში რწმენასა და რჯულის საქმეების სხვაობაზე მიუთითებს ასეთი მიდგომის კატეგორიულ მიუღებლობას მის მიერ. რწმენა და მხოლოდ რწმენა არის ღმერთის წინაშე გამართლების საფუძველი, რადგან პატიების დამსახურება საქმეების მეშვეობით შეუძლებელია.
პავლესთვის რწმენა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია. იგი განუწყვეტლივ არის დაკავშირებული იესოსთან. ფრაზა, რომელიც გალ. 2:16-ში ორჯერ ითარგმნა როგორც "ქრისტეში რწმენა", ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე შეიძლება ნებისმიერმა თარგმანმა გადმოსცეს. ბერძნულ ენაში ეს სიტყვები სიტყვასიტყვით აღნიშნავენ იესოს "რწმენას" ანუ "ერთგულებას". ასეთი ზუსტი მნიშვნელობა გვიჩვენებს პავლეს მიერ აღნიშნულ აშკარა განსხვავებას რჯულის საქმეებსა, რომლებსაც ჩვენ მოვიმოქმედებთ, და ჩვენი გულისთვის ქრისტეს საქმეებს შორის, ესენია საქმეები, რომლებიც მან უკვე აღასრულა ჩვენი გულისთვის თავისი ერთგულების მეშვეობით (აქედანაა "იესოს ერთგულება").
მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ რწმენა არ ნიშნავს გამართლებას, თითქოს იგი თავისთავად არის დამსახურება. რწმენა ეს არის საშუალება, რისი დახმარებითაც ვიღებთ ქრისტეს და ჩვენი გულისთვის გაღებულ მის მსხვერპლს. გავმართლდებით არა ჩვენი რწმენის საფუძველზე, არამედ ჩვენ მიმართ ქრისტეს ერთგულების საფუძველზე, ქრისტესი, რომელსაც ვიღებთ რწმენის მეშვეობით.
ქრისტემ მოიმოქმედა ის, რასაც ვერ გააკეთებდა ვერც ერთი ადამიანი: მხოლოდ ის იყო ღვთის ერთგული ყველაფერში, რასაც აკეთებდა. ჩვენი იმედი ქრისტეს სიმართლეშია და არა ჩვენსაში. ეს დიადი და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაა, რომელმაც სხვა

ჭეშმარიტებებთან ერთად აანთო პროტესტანტული რეფორმაციის ცეცხლი. იგი დღესაც ასეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ, როცა მარტინ ლუთერმა დაიწყო მისი ქადაგება მრავალი საუკუნის წინ.
გალ. 2:16-ის ადრეული სირიული თარგმანი კარგად გადმოსცემს მუხლის აზრს: "გვწამს, რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო-მესიაში რწმენით; ვერწმუნეთ მას, იესო-მესიას, რომ მისი რწმენით, მესიის რწმენით, შეგვიძლია გავმართლდეთ, მაგრამ არა რჯულის საქმეებით".
წაიკითხეთ რომ. 3:22,26; გალ. 3:22; ეფეს. 3:12; ფილიპ. 3:9. როგორ გვეხმარება ეს მუხლები, ასევე ზემოთ ჩამოყალიბებული აზრები, გავაცნობიეროთ საოცარი ჭეშმარიტება, რომ ჩვენთან ურთიერთობაში ქრისტეს ერთგულება, ჩვენი ხსნისთვის ღმერთის წინაშე მისი სრულყოფილი მორჩილება წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს?

ოთხშაბათი
19 ივლისი
რწმენის მორჩილება
პავლე გასაგებად ამბობს, რომ რწმენა წარმოადგენს ქრისტიანული ცხოვრების საფუძველს. ეს არის საშუალება, რომლის დახმარებითაც ვიღებთ ქრისტეში მოცემულ ყველა აღთქმას. მაგრამ რა არის რწმენა? რა იგულისხმება მასში?
რას გვამცნობს შემდეგი მუხლები რწმენის წარმოშობის შესახებ? იხ. დაბ. 15:5,6; იოან. 3:14-16; 2კორ. 5:14,15; გალ. 5:6.
ბიბლიური ჭეშმარიტი რწმენა იბადება ჩვენ მიმართ ღმერთის დამოკიდებულების საპასუხოდ. რწმენა არ არის გრძნობა, რომლის განცდასაც ადამიანები გადაწყვეტენ, იმიტომ რომ ღმერთი ითხოვს ამას. ჭეშმარიტი რწმენა ეს არის მადლიერი გამოძახილი ღვთის სიყვარულსა და სიკეთეზე. ამიტომ, ბიბლიის თანახმად, რწმენა ყოველთვის მოჰყვება უფლის ქმედებებს. მაგალითად, აბრაამის შემთხვევაში, რწმენა გამოვლინდა საოცარი აღთქმების საპასუხოდ, აღთქმებისა, რომელიც ღმერთმა დაუდო

მას (იხ. დაბ. 15:5,6). ახალ აღთქმაში პავლე ამბობს, რომ რწმენა გამომდინარეობს იმის გაცნობიერებიდან, თუ რა მოიმოქმედა ქრისტემ ჩვენთვის ჯვარზე.
თუკი რწმენა ღმერთის წინაშე პასუხია, მაშინ რას უნდა გულისხმობდეს ეს გამოძახილი? რას გვამცნობენ შემდეგი მუხლები რწმენის ბუნების შესახებ? იხ. იოან. 8:32,36; საქმე. 10:43; რომ. 1:5; 6:17; ებრ. 11:6; იაკ. 2:19.
მრავალი ადამიანი რწმენას განსაზღვრავს როგორც "მრწამსს". ეს განსაზღვრება პრობლემებს ბადებს, რადგან ბერძნულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, არსებითი სახელი "რწმენა" მომდინარეობს ზმნისგან "გწამდეს". სხვა სიტყვებით, რწმენა ყოველთვის ქმედითი ხასიათისაა.
წმიდა წერილის ყურადღებით შესწავლისას ვხედავთ, რომ რწმენა გულისხმობს არა მხოლოდ ცოდნას ღმერთის შესახებ, არამედ ამ ცოდნაზე დათანხმებას და მის მიღებას. აი, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი გქონდეს სწორი ცოდნა ღმერთის შესახებ. უფლის ხასიათის დამახინჯებულად წარმოდგენამ შეიძლება შეარყიოს რწმენა. მაგრამ უბრალოდ ეთანხმებოდე სახარებას, არც ესაა საკმარისი, რადგან "ეშმაკებსაც სწამთ". ჭეშმარიტი რწმენა უნდა ზემოქმედებდეს ადამიანის ცხოვრების სტილზე. პავლე საუბრობს რწმენიდან გამომდინარე მორჩილებაზე (რომ. 1:5). იგი არ ამბობს, რომ მორჩილება იგივეა, რაც რწმენა. მას მხედველობაში აქვს, რომ ჭეშმარიტი რწმენა მოქმედებს ადამიანის მთელ ცხოვრებაზე და არა მხოლოდ მის გონებაზე. იგი გულისხმობს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მიმართ ნდობას და მის ერთგულებასაც გარკვეულის წესების ჩამონათვალის ფორმალური დაცვის საპირისპიროდ. ჩვენს რწმენას განსაზღვრავს არა მხოლოდ ის, რაც გვწამს, არამედ ისიც, თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვცხოვრობთ.

ხუთშაბათი
20 ივლისი
უბიძგებს თუ არა რწმენა ცოდვისკენ?

პავლეს ბრალმდებლების მთავარი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ მოციქულის ხარება მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ ადამიანებს უბიძგებს ცოდვისკენ (იხ. რომ. 3:8; 6:1). მართლაც, თუკი ღმერთი ამართლებს ადამიანებს მიუხედავად მათი საქმეებისა, მაშინ რატომ იდარდონ მათ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ? მსგავს ბრალდებებს ლუთერიც წააწყდა. როგორ პასუხობს პავლე ბრალდებებს, რომ მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ სწავლება უბიძგებს ცოდვილი საქციელისკენ? იხ. გალ. 2:17,18.
პავლე კატეგორიულად პასუხობს თავისი ოპონენტების ბრალდებებს: "არამც და არამც!" (გალ. 2:17). თუმცა ქრისტეს მიღების შემდეგ ადამიანი შეიძლება კვლავ ჩავარდეს ცოდვაში, მაგრამ ამაზე პასუხისმგებელი უკვე თავად იქნება. როცა ვარღვევთ რჯულს, თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავეები. როგორ აღწერს პავლე თავის ერთიანობას იესო ქრისტესთან? როგორ უარყოფს ეს პასუხი იმ სადაო საკითხებს, რომლებიც მისმა მოწინააღმდეგეებმა წამოჭრეს? იხ. გალ. 2:19-21.
პავლე თავისი მოწინააღმდეგეების მსჯელობას უბრალოდ უგუნურად მიიჩნევს. რწმენით ქრისტეს მიღება სულაც არ არის რაღაც თავისთავადი; ეს არ არის წარმოსახვის თამაში, რომელშიც ღმერთი ადამიანს მიიჩნევს მართლად, თუმცა ამ უკანასკნელის ცხოვრება სულაც არ შეცვლილა. პირიქით, რწმენით ქრისტეს მიღება ეს არის რადიკალური ნაბიჯი. იგი გულისხმობს მხსნელთან სრულ ერთიანობას, ერთიანობას მის სიკვდილსა და აღდგომაში. პავლე ამბობს, რომ სულიერად ჯვარცმულნი ვართ ქრისტესთან ერთად, ამიტომ აღარ ვართ ჩვენი ძველი ცოდვილი ჩვევების ძალაუფლების ქვეშ, იმ ჩვევებისა, რომლებიც მომდინარეობს ეგოიზმიდან (იხ. რომ. 6:5-14). ჩვენ მთლიანად მივატოვეთ წარსული და ვართ ახალი ქმნილებები (იხ. 2კორ. 5:17). აღვდექით ქრისტეში ახალი ცხოვრებისთვის და აღმდგარი მხსნელი ცხოვრობს ჩვენში, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო მეტად გვამსგავსებს საკუთარ თავს.

ამიტომ ღვთის ძეში რწმენა არ უწყობს ხელს ცოდვას. იგი მოუწოდებს ქრისტეში უფრო ღრმა და მდიდარი ურთიერთობებისკენ, ვიდრე ეს მეკანონეობრივ რელიგიაშია. თქვენ რას ფიქრობთ მხოლოდ რწმენით გადარჩენის იმ კონცეფციის შესახებ, რომელიც რჯულის საქმეებისაგან თავისუფალია? ხომ არ გრთგუნავთ ასეთი მოდგომა, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ეს შეიძლება ცოდვის გამართლებად იქცეს? თუ, პირიქით, ასეთი თვალსაზრისი სიხარულს განიჭებთ? რას გამცნობთ თქვენი პასუხი ხსნის თქვენეული გაგების შესახებ?

პარასკევი
21 ივლისი
შემდგომი გამოკვლევისათვის

"კვლავ და კვლავ მეჩვენა, რომ როგორც ერი, საშიშროების წინაშე ვდგავართ, მივიღოთ ცრუ იდეები რწმენით გამართლების შესახებ. გარკვეული წლების განმავლობაში არაერთხელ მეჩვენა, რომ სატანა განსაკუთრებულად დაიწყებს შრომას, რათა არეულობა გამოიწვიოს ადამიანთა გონებაში ამ საკითხის გამო. აქცენტი კეთდებოდა რჯულზე, მას ქადაგებდნენ კრებებზე და იგი თითქმის ისევე იყო მოკლებული იესო ქრისტეს შემეცნებას და მის კავშირს რჯულთან, როგორც კაენის მსხვერპლი. მეჩვენა, რომ მრავალს არ სწამს, რადგან ხსნის შესახებ იქადაგება ჩახლართული, უწესრიგო იდეები, ხოლო მსახურები შრომობენ არა ისე, როგორც საჭიროა და თან ცდილობენ ჩასწვდნენ ადამიანთა გულებს. საკითხი, რომელიც წლობით აწუხებდა ჩემს გონებას, ეს არის ქრისტეს სიმართლე, რომელიც ჩვენ გვეთვლება… არ არსებობს თემა, რომელზეც შეგიძლია ისაუბრო მუდმივად და უფრო სერიოზულად, რათა უფრო ძლიერ გაიდგას ფესვები ადამიანთა გონებაში, ვიდრე ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ცოდვით დაცემულ ადამიანს არაფრის დამსახურება არ შეუძლია თავისი ყველაზე კეთილი საქმეებითაც კი. ხსნა ეძლევა

ადამიანს მხოლოდ იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით" (ე. უაითი. რწმენა და საქმეები, გვ. 18,19).
"კანონი ითხოვს სიმართლეს და ამიტომ ცოდვილი მოვალეა მის წინაშე; მაგრამ ადამიანს არ შეუძლია ამ ვალის გადახდა. სიმართლის მოპოვების ერთადერთი გზა მას გააჩნია რწმენის მეშვეობით. რწმენით მას შეუძლია ღმერთს წარუდგინოს ქრისტეს დამსახურებები და უფალი შერაცხავს ცოდვილს თავისი ძის მორჩილების გამო. ქრისტეს სიმართლეს ღმერთი იღებს ცოდვილი ადამიანის ნაცვლად და ღმერთი პატიებს და ამართლებს მონანიე ცოდვილს, ექცევა მას, როგორც მართალს და უყვარს იგი ისევე, როგორც უყვარს თავისი ძე" (ე. უაითი. რჩეული უწყებები, ტ. 1. გვ. 367).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. ზემოთ მოყვანილ პირველ ციტატაში ელენ უაითი ამბობს, რომ სხვა არანაირ თემას არ სჭირდება ამხელა ყურადღების დათმობა, როგორც ჭეშმარიტებას რწმენით გამართლების შესახებ. იმსჯელეთ ჯგუფში, დღესაც აქტუალურია თუ არა ეს კომენტარი ისევე, როგორც ასი წლის წინათ, როცა დაიწერა იგი? რატომ?
2. დაფიქრდით პროტესტანტული რეფორმაციისა და ლუთერის შესახებ. თუმცა დრო, ადგილი და გარემოება სხვაგვარი იყო, მოცემულ შემთხვევაში, რატომ იქცა ჭეშმარიტება, რომელსაც პავლე ქადაგებდა, მნიშვნელოვან ფაქტორად მილიონობით ადამიანის გათავისუფლებისა რომის სულიერი ბატონობისაგან? დასკვნა: პეტრეს ქცევას ანტიოქიაში იმ დასკვნამდე მიჰყავდა ადამიანი, რომ ყოფილი წარმართები ვერ იქნებიან ჭეშმარიტი ქრისტიანები, თუკი არ მიიღებენ წინადაცვეთას. პავლემ მიუთითა ასეთი ხედვის მცდარობაზე. ღმერთი ვერავის უწოდებს მართალს მისი ქცევის საფუძველზე, რადგან ადამიანებს შორის, საუკეთესონიც კი, არ არიან იდეალურები. ცოდვილები მის თვალში გამართლდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებენ იმას, რაც ღმერთმა აღასრულა ჩვენთვის იესოში.

5 გაკვეთილი 22 - 28 ივლისი რწმენა ძველ აღთქმაში

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 3:1-14; რომ. 1:2; 4:3; დაბ. 15:6; 12:1-3; ლევ. 17:11; 2კორ. 5:21.

სამახსოვრო მუხლი: "ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისაგან და გახდა წყეული ჩვენს ნაცვლად (ვინაიდან დაწერილია: "წყეულია ყოველი დაკიდული ძელზე")" (გალ. 3:13).

"პატარა ბიჭმა გააკეთა გემი, ლამაზად შეღება და აღჭურვა. გარკვეული დროის შემდეგ ვიღაცამ მოიპარა გემი, რამაც ძლიერ დაამწუხრა იგი. ერთხელ, როცა ლომბარდს გვერდით ჩაუარა, თავისი გემი დაინახა. ბედნიერმა მიირბინა გამყიდველთან და უთხრა:

- ეს ჩემი გემია!
- არა, ჩემია, რადგან მე ვიყიდე, - უპასუხა გამყიდველმა.
- იგი ჩემია, - თქვა ბიჭმა, - იმიტომ, რომ მე ავაგე.
- შეგიძლია წაიღო, შესთავაზა გამყიდველმა, - თუკი მომცემ ორ დოლარს.

ეს დიდ თანხას წარმოადგენდა ბიჭისთვის. მას ცენტიც კი არ გააჩნდა. მაგრამ ბიჭმა გადაწყვიტა გამოემუშავებინა და გამოესყიდა თავისი გემი. ის ყველაფერს აკეთებდა, რასაც ავალებდნენ და საჭირო თანხა მალე შეაგროვა.

ბიჭმა მიირბინა ლომბარდში, გადაიხადა თანხა და წამოიღო თავისი გემი. თავის ხელნაკეთს მაღლა წევდა, ეხუტებოდა და კოცნიდა, თან უჩურჩულებდა: "ჩემო ძვირფასო გემო, მიყვარხარ! ჩემი ხარ, ორმაგად ხარ ჩემი. მე შეგქმენი, ახლა კი გამოგისყიდე კიდეც".

რაღაც მსგავსი ხდება ჩვენთან მიმართებაშიც. ორმაგად ვეკუთვნით უფალს. მან შეგვქმნა, მაგრამ მოვხვდით ეშმაკის "ლომბარდში". შემდეგ მოვიდა იესო და გადაიხადა საშინელი ფასი: არა ვერცხლით ან ოქროთი, არამედ თავისი ძვირფასი სისხლით. უფალს ვეკუთვნით შექმნის და გამოსყიდვის უფლებით" (ჭილლიამ Mოსეს თიდწელლ, Pოინტედ Iლლუსტრატიონს, პ. 97).

კვირადღე
23 ივლისი
"უგუნურო გალატელებო"
წაიკითხეთ გალ. 3:1-5. განაზოგადეთ ამ მუხლების შინაარსი. არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ჩვენც მოვხვდეთ ასეთივე სულიერ ხაფანგში, როცა კარგად ვიწყებთ, მაგრამ შემდეგ მეკანონეობაში ვცვივდებით?
ბიბლიის ბევრი თანამედროვე მთარგმნელი ცდილობს გადმოსცეს პავლეს სიტყვების აზრი: "უგუნურო გალატელებო" (მუხ. 1). ბერძნული სიტყვა, რომელსაც პავლე იყენებს, ძალიან ძლიერია. ეს სიტყვა არის "ანოეტოი", რომელიც ნაწარმოებია სიტყვისგან "ნოუს" (გონება). სიტყვასიტყვით, იგი აღნიშნავს "უგუნურს". გალატელები არ ფიქრობდნენ. მაგრამ პავლე ამაზე არ ჩერდება. იგი აცხადებს: რაკი ისინი ასე უგუნურად იქცევიან, მაშინ უნდა დაისვას შეკითხვა: ვინ იმოქმედა მათზე ასე ძლიერ, რომ მათი გონება აღმოჩნდა ასეთი დაბინდული? "ვინ მოგაჯადოვათ თქვენ?" მოციქულის მიერ ამ ნაწყვეტში გამოყენებული სიტყვები გვავარაუდებინებს, რომ იგი თვლიდა: მათი მდგომარეობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ეშმაკი (იხ. 2კორ. 4:4). გალატელებმა იცოდნენ, რომ ხსნა მხოლოდ ქრისტესგანაა. თუმცა გალატელ მორწმუნეებს ურჩევნიათ განუდგნენ. და ამ ფაქტმა პავლეს ძლიერ დასწყვიტა გული. სიტყვა, რომელიც გალ. 3:1-ში ნათარგმნია როგორც "აღიწერა", სიტყვასიტყვით აღნიშნავს "თვალსაჩინოდ წარმოდგენილს" ან "ცხადად გამოხატულს". მას გამოიყენებდნენ, როცა საუბარი მიდიოდა საჯარო პროკლამაციების შესახებ. პავლე ხაზს უსვამს: ქრისტეს ჯვარი წარმოადგენდა მისი ქადაგების ცენტრს და გალატელებს შეეძლოთ, ჯვარცმული ქრისტე წარმოედგინათ (იხ. 1კორ. 1:23; 2:2). მოციქული ამტკიცებს, რომ თავიანთი ქცევებით გალატელები ზურგს აქცევენ გოლგოთის ჯვარს.
შემდეგ პავლე გალატელთა ამჟამინდელ ქცევას უპირისპირებს მათ რეაქციას, როცა პირველად მოისმინეს ქრისტეს შესახებ და

ირწმუნეს იგი. ამას ის რიტორიკული შეკითხვების დახმარებით აკეთებს. როგორ მიიღეს სული, ანუ როგორ გახდნენ ქრისტიანები? რატომ უბოძა უფალმა მათ სულიწმიდა? იმიტომ, რომ დაიმსახურეს? რა თქმა უნდა, არა! ეს მოხდა მათი რწმენის გამო, რომ იწამეს კეთილი უწყება, თუ რა მოიმოქმედა ქრისტემ თითოეული მათგანისთვის. მაგრამ როცა იწამეს და რწმენაში გაიზარდნენ, მაშინ ახლა რატომ დაიწყეს ფიქრი, რომ უნდა ეყრდნობოდნენ თავიანთ საქმეებს და უნდა ეცადონ, დაიმსახურონ გადარჩენა?
გქონიათ თუ არა ასეთი აზრები: "სწორად ვიქცევი. რწმენაში მტკიცე ქრისტიანი ვარ, არ ვაკეთებ ამას და იმას… საკმარისად კარგი ვარ გადარჩენისთვის"? რატომ არის საშიში, ვაზროვნებდეთ ამგვარად?

ორშაბათი
24 ივლისი
წმიდა წერილში ფესვგადგმულები
აქამდე გალატელთა მიმართ წერილში პავლე იცავს თავის უწყებას რწმენით გამართლების შესახებ და ეყრდნობა იერუსალიმში ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას (იხ. გალ. 2:1-10), ასევე თავად გალატელთა პირად გამოცდილებას (იხ. გალ. 3:1-5). მოყოლებული გალ. 3:6-დან, პავლე გადადის წმიდა წერილის დამოწმებაზე, რათა საბოლოოდ დაადასტუროს თავისი უწყება. გალ. 3:6-4:31 ნაწყვეტი შეიცავს არგუმენტებს, რომლებიც ემყარება წმიდა წერილს.
რა აქვს პავლეს მხედველობაში, როცა გალ. 3:6-8-ში ახსენებს სიტყვას "წერილი"? იხ. ასევე რომ. 1:2; 4:3; 9:17.
მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გალატელთა მიმართ წერილის დაწერისას ახალი აღთქმა ჯერ არ არსებობდა. პავლე იყო ყველაზე ადრეული ახალაღთქმისეული ავტორთაგანი. სავარაუდოდ, მარკოზის სახარება ყველაზე ადრეული იყო ოთხ სახარებას შორის. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი დაიწერა არც თუ ისე დიდი ხნით ადრე პავლეს სიკვდილამდე (ჩვ. წ. 65 წ.) ანუ, დაახლოებით,

15 წლით გვიან, ვიდრე გალატელთა მიმართ წერილი. ამიტომ, როცა იგი საუბრობს წმიდა წერილზე, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ძველი აღთქმა.
ძველაღთქმისეული წერილი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს პავლეს სწავლებაში. იგი მას არ მიიჩნევს რაიმე უმნიშვნელოდ, მკვდრად, გაუქმებულად. პავლესთვის ძველი აღთქმა ღვთის ავტორიტეტული ცოცხალი სიტყვაა. 2ტიმ. 3:16 მუხლში იგი წერს: "მთელი წერილი ღვთივსულიერია". სიტყვა, რომელიც ნათარგმნია როგორც "ღვთივსულიერი" (თეოპნეუსტოს), შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი - თეო, ნიშნავს "ღმერთს", ხოლო მეორე ნაწილი - "სუნთქვას". წმიდა წერილი ღვთივსულიერია. პავლე წერილს იყენებს იმ მიზნით, რომ აჩვენოს: იესო დაპირებული მესიაა (იხ. რომ. 1:2), განამტკიცოს მორწმუნეები ქრისტიანულ ცხოვრებაში (იხ. რომ. 13:8-10), დაამტკიცოს თავისი ქადაგების მნიშვნელობა და კანონიერება (იხ. გალ. 3:8,9).
პავლე მუდმივად ციტირებს ძველ აღთქმას; ყველა მის წერილში (გარდა ყველაზე მოკლე წერილებისა ტიტესა და ფილიმონის მიმართ) შეგვიძლია ვიპოვოთ ასობით ციტატა.
ყურადღებით წაიკითხეთ გალ. 3:6-14. იპოვეთ ამ მუხლებში ციტატები ძველი აღთქმიდან. რას გვიჩვენებს ეს იმის შესახებ, თუ რაოდენ ავტორიტეტული იყო ძველი აღთქმა პავლესთვის და გალატელებისთვის?
გქონიათ თუ არა ოდესმე მსგავსი აზრი, რომ ბიბლიის ერთი ნაწილი უფრო "ღვთივსულიერია", ვიდრე მეორე? 2ტიმ. 3:16-ის თანახმად, რაშია ასეთი მიდგომის საშიშროება?

სამშაბათი
25 ივლისი
აღიარებული, როგორც მართალი
რატომ მიმართავდა პავლე პირველ რიგში აბრაამის გამოცდილებას, როცა ცდილობდა, რომ წმიდა წერილის

დახმარებით დაემტკიცებინა სახარების უწყების ჭეშმარიტება? იხ. გალ. 3:6.
აბრაამი ცენტრალური ფიგურაა იუდაიზმში. იგი არ იყო უბრალოდ ებრაელთა მამა. ებრაელები მას მიიჩნევდნენ ჭეშმარიტი იუდეველის მაგალითად. ბევრს არა მხოლოდ სწამდა, რომ მისი ხასიათის განმსაზღვრელი თვისება იყო მორჩილება, არამედ სწორედ ამ მორჩილების წყალობით დაარქვა ღმერთმა აბრაამს მართალი. მან ხომ მიატოვა თავისი სამშობლო და ახლობლები, მიიღო წინადაცვეთა და მზად იყო, უფლის მითითებისამებრ მსხვერპლადაც კი შეეწირა თავისი ძე. აი, ეს არის მორჩილება! როცა პავლეს მოწინააღმდეგეები დაჟინებით ითხოვდნენ წინადაცვეთას, როგორც ჩანს, ეს არგუმენტები მოჰყავდათ.
დიახ, აბრაამის მორჩილება აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ პავლე გალატელთა მიმართ წერილში ცხრაჯერ ახსენებს აბრაამს მის რწმენასთან დაკავშირებით და არა რჯულის დაცვის გამო. დაფიქრდით იმის შესახებ, თუ როგორ ციტირებს პავლე დაბ. 15:6. რა აქვს მას მხედველობაში, როცა ამბობს, რომ აბრაამს რწმენა "სიმართლედ ჩაეთვალა"? იხ. ასევე რომ. 4:3-6,8-11,22-24.
თუკი სიტყვა "გამართლება" აღებულია იურიდიული ტერმინოლოგიიდან, მაშინ სიტყვას "ჩაეთვალა" იყენებენ საქმიან ლექსიკაში. ეს ტერმინი შეიძლება ნიშნავდეს "განვადებას" ან "ვინმესთვის ფულის გადარიცხვას". იგი გამოყენებულია არა მხოლოდ გალ. 3:6-ში აბრაამთან მიმართებაში, არამედ კიდევ 11-ჯერ გვხვდება პატრიარქების მიმართ. იგი შეიძლება ვთარგმნოთ როგორც "ჩათვლა" და "ჩანაცვლება".
პავლეს მეტაფორის თანახმად, ჩვენს ანგარიშზე დარიცხულია სიმართლე. იგი არ არის ჩვენი, არამედ გვიბოძა ღმერთმა. მაგრამ ჩნდება შეკითხვა: რის საფუძველზე გვთვლის უფალი მართლებად? ჩვენი მორჩილების საფუძველზე, როგორც პავლეს მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ? არა. რაც არ უნდა თქვან თავად აბრაამის მორჩილების შესახებ, წმიდა წერილში ნათქვამია,

რომ ღმერთი მას მიიჩნევდა მართლად მისი რწმენის გამო, რწმენისა, რომელიც გამოძახილი იყო ღვთის ქმედებებზე. ბიბლია გასაგებად და არაორაზროვნად გვამცნობს: აბრაამის მორჩილება იყო არა გამართლების საფუძველი, არამედ მისი შედეგი. პატრიარქი ამ ყველაფერს იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ გამართლებულიყო ღმერთის წინაშე და დაემსახურებინა მისი კეთილგანწყობა, არამედ იმიტომ, რომ უკვე იყო გამართლებული. გამართლებას მივყავართ მორჩილებამდე და არა პირიქით.
რას ნიშნავს ფრაზა: "ვმართლდებით არა საკუთარი საქმეებით, არამედ იმის წყალობით, რაც ქრისტემ თქვენთვის გააკეთა"? რატომ არის ეს უწყება კეთილი? როგორ შეგვიძლია მივიღოთ ეს ჭეშმარიტება და ვირწმუნოთ, რომ იგი პირადად ყოველ ჩვენგანს ეხება?

ოთხშაბათი
26 ივლისი
სახარება ძველ აღთქმაში
"წერილმა, როცა წინასწარ განჭვრიტა, რომ ღმერთი რწმენით გაამართლებს წარმართებს, წინასწარ ახარა აბრაამს: "და იკურთხება შენში ყველა ერი" (გალ. 3:8). პავლე წერს, რომ კეთილი უწყება უბრალოდ კი არ გადაეცა აბრაამს, არამედ იგი ახარა მას ღმერთმა. ამიტომ უწყება ჭეშმარიტია. მაგრამ როდის ახარა ღმერთმა აბრაამს სახარება? პავლე ციტირებს დაბ. 12:3-ს და მიუთითებს აღთქმაზე, რომელიც ღმერთმა დაუდო აბრაამს დაბ. 12:1-3-ში.
წაიკითხეთ დაბ. 12:1-3. რა არის აქ ნათქვამი აღთქმის ბუნების შესახებ, რომელიც ღმერთმა დაუდო აბრაამს?
ღმერთის აღთქმა აბრაამთან ემყარებოდა იმას, რასაც უფალი დაპირდა მას. ღმერთი აბრაამს ოთხჯერ უდებს აღთქმას. ისინი საოცარია იმით, რომ გააჩნიათ ცალმხრივი ხასიათი. ამ აღთქმაში პირობას დებს მხოლოდ ღმერთი, აბრაამი არაფერს პირდება. ეს უპირისპირდება იმას, თუ როგორ ცდილობენ დღეს ადამიანები ააწყონ ღმერთთან ურთიერთობა. როგორც წესი, ჩვენ ვპირდებით

ვემსახუროთ მას იმ პირობით, თუ იგი რაიმეს გააკეთებს ჩვენთვის. მაგრამ ეს მეკანონეობაა. ღმერთი არ სთხოვდა აბრაამს რაიმე სახის დაპირებებს. აბრაამს რწმენით უნდა მიეღო უფლის აღთქმები. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ადვილი, რადგან მას უნდა ესწავლა სრული ნდობა უფლის, და არა საკუთარი თავის მიმართ (იხ. დაბ. 22). ამგვარად, აბრაამის მოწოდება ასახავს სახარების არსს - ხსნა გვეძლევა რწმენით.
ზოგიერთი მცდარად ვარაუდობს, რომ ბიბლია გადარჩენის ორ გზას გვამცნობს. ისინი აცხადებენ, რომ ძველ აღთქმაში ადამიანი გადარჩებოდა მცნებების დაცვით, მაგრამ რაკი ეს სისტემა ცუდად მუშაობდა, ღმერთმა გააუქმა რჯული და გადარჩენა შესაძლო გახადა რწმენის მეშვეობით. მაგრამ ასეთი გაგება ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისგან. გალ. 1:7-ში პავლე წერს, რომ არის მხოლოდ ერთი სახარება, გადარჩენის მხოლოდ ერთი გზა. რომელი სხვა მაგალითები შეგვიძლია ვიპოვოთ ძველ აღთქმაში, რომლებიც დაადასტურებენ, რომ გადარჩენას შეგვიძლია მივაღწიოთ მხოლოდ რწმენის მეშვეობით? იხ., მაგალითად, ლევ. 17:11; ფს. 31:1-5; 2მეფ. 12:1-13; ზაქ. 3:1-4.
ხშირად გვესმის ფრაზა "იაფი მადლი". ეს არასწორია, რადგან მადლს არ გააჩნია ფასი და უსასრულოდ გვეძლევა. მიუხედავად ამისა, უარვყოფთ და ვანადგურებთ ღვთის მადლს, როცა ვთვლით, რომ შეგვიძლია მისი ფასი საკუთარი საქმეებით გავზარდოთ ან მისით გავამართლოთ ჩვენი ცოდვები. ამ ორი არასწორი აზრიდან, რომელია თქვენთვის უფრო საშიში? როგორ შეგიძლიათ დაიცვათ თავი განსაცდელისგან, რომ არ მიიღოთ მცდარი აზრი?

ხუთშაბათი
27 ივლისი
წყევლისგან გამოსყიდვა
(გალ. 3:9-14)
ეჭვგარეშეა, პავლეს მოწინააღმდეგეები გააკვირვა გალ. 3:10-ში მისმა თამამმა გამონათქვამმა. ბუნებრივია, ისინი არ ფიქრობდნენ,

რომ წყველის ქვეშ იმყოფებიან, არამედ პირიქით, თავიანთი მორჩილებისთვის ჯილდოს და კურთხევებს ელოდნენ. პავლემ კი გასაგებად თქვა: "ვინაიდან ყველანი, ვინც რჯულის საქმეთაგან არიან, წყევლის ქვეშ იმყოფებიან, ვინაიდან დაწერილია: "წყეულია ყოველი, ვინც არ შეასრულებს ყოველივეს, რაც რჯულის წიგნშია დაწერილი, რათა ყველაფერი შეასრულოს". პავლეს მოჰყავს გამართლების ორი სრულიად ურთიერთსაპირისპირო იდეა: გამართლება რწმენით და გამართლება საქმეებით. კურთხევა და აღთქმის წყევლა, რომლებიც ჩამოყალიბებულია რჯლ. 27-სა და 28-ში, მეტისმეტად ნათელია. ისინი, ვინც ემორჩილებიან, კურთხეულნი არიან, ვინც არა - წყეულნი. ანუ თუკი ადამიანს სურს, ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ რჯულის მორჩილებას, რათა ღმერთმა იგი მიიღოს, მისთვის აუცილებელია, მუდმივად მთელი რჯულის დაცვა აზრებში, განზრახვებში, სიტყვებსა და ქცევებში. არ გვაქვს არჩევის საშუალება, რა შევასრულოთ რჯულში და რა შეიძლება უგულებელვყოთ. და არ შეგვიძლია გვქონდეს იმის იმედი, რომ ღმერთი თვალს დახუჭავს ჩვენს შემთხვევით შეცდომებზე. ან ყველაფერი, ან არაფერი, მესამე არ გვაქვს მოცემული!
რა თქმა უნდა, ეს ცუდი უწყებაა არა მხოლოდ წარმართებისთვის, არამედ პავლეს მოწინააღმდეგეებისთვისაც, ვინც რჯულს ეყრდნობა, "ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას" (რომ. 3:23). როგორ ძლიერადაც არ უნდა ვცდილობდეთ, რომ რჯული საკუთარი ძალებით დავიცვათ, მას შეუძლია განგვიკითხოს, როგორც დამნაშავეები.
როგორ გაგვათავისუფლა ქრისტემ რჯულის წყევლისაგან? იხ. გალ. 3:13; 2კორ. 5:21.
პავლეს კიდევ ერთი მეტაფორა შემოაქვს იმის ახსნის მიზნით, თუ რა მოიმოქმედა ღმერთმა ჩვენთვის ქრისტეში. სიტყვა "დახსნა" შეიცავს გამოსყიდვის იდეას. მას იყენებდნენ მაშინ, როცა ფულის მეშვეობით ათავისუფლებდნენ მძევლებსა და მონებს. რაკი ცოდვის საზღაური სიკვდილია, რჯულის დარღვევის სასჯელს

წარმოადგენს სასიკვდილო განაჩენი. ჩვენი ხსნისთვის გაღებული გამოსასყიდი ღმერთს დაუჯდა თავისი ძის სიცოცხლედ (იხ. იოან. 3:16). იესომ გაგვათავისუფლა წყევლისაგან და საკუთარ თავზე აიღო ჩვენი ცოდვები (იხ. 1კორ. 6:20; 7:23). მან ნებაყოფლობით აიღო საკუთარ თავზე ჩვენი წყევლა და ცოდვის სასჯელი (იხ. 2კორ. 5:21).
პავლე ბიბლიიდან ციტირებს რჯლ. 21:23-ს, როგორც თავისი სიტყვების ბიბლიურ დადასტურებას. იუდეველთა ტრადიციის მიხედვით, ადამიანი ღვთისგან წყეულად ითვლებოდა, თუკი ჯვარცმით დაისჯებოდა. იესოს ჯვარზე სიკვდილი იყო ასეთი წყევლის თვალსაჩინო მაგალითი (იხ. საქმე. 5:30; 1პეტრ. 2:24). არ არის გასაკვირი, რომ ჯვარი დაბრკოლების ქვად იქცა ზოგიერთი ებრაელისთვის, რომლებმაც ვერ გაიაზრეს იდეა, რომ ღმერთმა დაწყევლა მესია. მაგრამ ზუსტად ამაში მდგომარეობდა ღვთის გეგმა. დიახ, მესიამ აიღო საკუთარ თავზე წყევლა, მაგრამ არა თავისი, არამედ ჩვენი!

პარასკევი
28 ივლისი
შემდგომი გამოკვლევისათვის
"ქრისტემ, ჩვენმა შუამდგომელმა და გამომსყიდველმა, იტვირთა ყველა ჩვენთაგანის ცოდვა. იგი "ავაზაკთა შორის შეირაცხა", რათა რჯულის განკითხვისაგან გავეთავისუფლებინეთ. ადამის მთელი მოდგმის დანაშაული ამძიმებდა მას. ცოდვისადმი უფლის სიძულვილი, ღვთის საშინელი რისხვა ყოველგვარი უწმიდურების მიმართ მწუხარებით ავსებდა უფლის ძის სულს. მთელი თავისი სიცოცხლე ქრისტე უქადაგებდა ამ დაცემულ წუთისოფელს სახარებას მამის გულმოწყალებისა და ყოვლისმიმტევებელი სიყვარულის შესახებ. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ შესაძლებელია ყველაზე დიდი ცოდვილის ხსნაც კი, მაგრამ ახლა, როდესაც თავად იტვირთა მთელი ქვეყნიერების ცოდვათა ეს საშინელი სიმძიმე, ვეღარ იხილა ზეციური მამის თანამგრძნობი სახე. ტანჯვის წუთებში არ იყო მასთან მამის ხელი

და ამის გამო ისეთი გულისტკივილი იგრძნო, როგორსაც ვერასოდეს შეიცნობს ადამიანი. ეს ტანჯვა იმდენად ძნელი იყო, რომ ფიზიკურ ტკივილს იესო თითქმის ველარც კი გრძნობდა" (ე. უაითი. ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 593).
"მაშინ ლუთერმა გაბედულად დაიწყო სიმართლისათვის ბრძოლა. იგი კათედრიდან სერიოზულად და საჯაროდ აფრთხილებდა ხალხს, უხსნიდა ცოდვის საშინელებას და ასწავლიდა, რომ საკუთარი საქმეებით ადამიანს არ შეუძლია ცოდვების წაშლა ან სასჯელის თავიდან აცილება. მხოლოდ ქრისტეს რწმენით, ღვთის წინაშე მონანიებით შეუძლია ცოდვილს, მოიპოვოს ხსნა. ქრისტეს მადლის შეძენა ფულით შეუძლებელია. მადლი - ეს უფლის უანგარო ძღვენია. ლუთერი ურჩევდა ხალხს, ინდულგენციების შეძენის ნაცვლად, რწმენით მიეპყროთ მზერა ჯვარცმული მაცხოვრისათვის" (ე. უაითი. დიადი ბრძოლა, გვ. 94-95).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. დღესაც კი ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი წევრი ძნელად იღებს ჭეშმარიტებას რწმენით გადარჩენის შესახებ, უწყებას, რომ მიუხედავად ჩვენი საქმეებისა, ღვთის მადლი ქრისტეს მეშვეობით გვიხსნის. რა უშლის ხელს ზოგიერთ ადამიანს, რომ მიიღოს ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება?
2. პავლე თავდაუზოგავად გამოდიოდა არასწორი იდეების წინააღმდეგ, რომ ადამიანი გადარჩება საქმეებით. რას გვებნება ეს იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სწორად გვესმოდეს საღვთისმეტყველო საკითხები? რატომ უნდა ვიბრძოდეთ ჩვენ, როგორც ეკლესია, იმ არასწორი იდეების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს გარემოში წამოიჭრება?
დასკვნა: აბრაამი მართლად ითვლებოდა ღმერთის აღთქმებში თავისი რწმენის გამო და სიმართლის იგივე ძღვენი ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც იზიარებს აბრაამის რწმენას. ერთადერთი მიზეზი, რომლის მიხედვითაც არ განვიკითხებით,

იმაში მდგომარეობს, რომ იესომ გადაიხადა ჩვენი ცოდვებისთვის, რადგან მოკვდა ჩვენს ნაცვლად.

6 გაკვეთილი 29 ივლისი - 4 აგვისტო აღთქმის პრიორიტეტი

გამოსაკვევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 3:15-20; დაბ. 9:11-17; მათ. 5:17-20; გამ. 16:22-26; დაბ. 15:1-6.

სამახსოვრო მუხლი: "ვინაიდან, თუკი რჯულითაა მემკვიდრეობა, მაშინ აღარაა აღთქმით. აბრაამს ღმერთმა აღთქმით მიჰმადლა" (გალ. 3:18).

ერთხელ ერთ-ერთ პოლიტიკოსს ჰკითხეს: "შეასრულეთ თუ არა ყველა დანაპირები, რომლებსაც წინასაარჩევნო პერიოდში იძლეოდით?" მან უპასუხა: "დიახ… ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომლის შესრულებასაც ვაპირებდი".

რომელი ჩვენგანისთვის არ უღალატიათ ადამიანებს ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში და არ აღუსრულებიათ თავიანთი დანაპირები? ხშირად მომხდარა, რომ ადამიანს, რომელმაც გატეხა თავისი სიტყვა, არც კი შეუმჩნევია ეს.

ხანდახან ადამიანები დებენ პირობებს, გულწრფელად სურთ მათი შესრულება, მაგრამ ამას არ აკეთებენ; სხვები კი, ოქროს კოშკებს ჰპირდებიან, მაგრამ ზუსტად იციან, რომ თითსაც კი არ გაანძრევენ.

ჩვენდა საბედნიეროდ, ღვთის აღთქმები სხვა ხასიათისაა. ღვთის სიტყვა ერთგული და უცვლელია. "მე ვთქვი და მოვაწევ კიდეც ამას, დავსახე და აღვასრულებ კიდეც" (ეს. 46:11).

მოცემულ გაკვეთილში ვისაუბრებთ აბრაამისთვის მიცემულ ღვთის აღთქმებსა და რჯულის ურთიერთკავშირზე, რჯულისა, რომელიც უფალმა ისრაელს მისცა 430 წლის შემდეგ. როგორ გავიგოთ ეს ურთიერთკავშირი და როგორ მოქმედებს იგი სახარების ქადაგებაზე?

კვირადღე
30 ივლისი

რჯული და რწმენა
(გალ. 3:15-18)
პავლეს მოწინააღმდეგეებს რომ ეღიარებინათ: აბრაამის ცხოვრება, პირველ რიგში, იყო რწმენითი ცხოვრება, პავლემ იცოდა, რომ მათ მაინც დარჩებოდათ შეკითხვები. და ამათგან უმთავრესი იქნებოდა შემდეგი: აბრაამიდან მოყოლებული 430 წლის შემდეგ რატომ მისცა ღმერთმა ისრაელს რჯული? განა ამ რჯულმა არ გააბათილა ყველა წინანდელი შეთანხმება?
რა აზრს ატარებს პავლეს მიერ მოყვანილი ანალოგია ანდერძში ადამიანის უკანასკნელი ნების გამოხატვასა და იმ აღთქმას შორის, რომელიც ღმერთმა დაუდო აბრაამს? იხ. გალ. 3:15-18.
აღთქმა და ანდერძი, როგორც წესი, განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღთქმა წარმოადგენს ორი ან მეტი ადამიანის ურთიერთშეთანხმებას და ხშირად მას უწოდებენ ხელშეკრულებას ან კონტრაქტს. ანდერძი კი, პირიქით, ერთი ადამიანის ნების გამოხატულებაა. სეპტუაგინტაში, ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში, აბრაამთან ღმერთის მიერ დადებული აღთქმის გამოსახატავად არ გამოიყენება ბერძნული სიტყვა "სუნტეკე", რომელიც გამოიყენება ურთიერთშეთანხმებებისა და კონტრაქტების აღსანიშნავად. ამის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა "დიატეკე", რომელიც აღნიშნავს ანდერძს ანუ ნების გამოხატვას. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მთარგმნელებს ესმოდათ: ღმერთის მიერ აბრაამთან დადებული აღთქმა არ ყოფილა მოლაპარაკება ორ ადამიანს შორის, რომელშიც ჩაწერილია ორმხრივი დაპირებები. ღვთის აღთქმა ემყარებოდა მხოლოდ უფლის ნებას. არანაირი დამატებითი პირობები. აბრაამი უბრალოდ ღმერთის სიტყვას უნდა მინდობოდა.
იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას აბრაამთან დადებული ღვთის აღთქმის დამახასიათებელ თვისებებს პავლე ყურადღებას აქცევს სიტყვების "ანდერძი" და "აღთქმა" აზრობრივ სიახლოვეს. როგორც ადამიანის ანდერძის შემთხვევაში, ღვთის აღთქმაც ეხება

კონკრეტულ მიმღებს, აბრაამსა და მის შთამომავლობას (იხ. დაბ. 12:1-5; გალ. 3:16); იგი ასევე გულისხმობს მემკვიდრეობას (იხ. დაბ. 13:15; 17:8; რომ. 4:13; გალ. 3:29). პავლესთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ღვთის დაპირების უცვლელი ხასიათი. მსგავსად იმისა, როგორც ძალაში შესულ ანდერძს ვერ შეცვლი, ასევე მოსეს მიერ გადმოცემული რჯული ვერ გააბათილებს ღმერთის მხრიდან აბრაამთან დადებულ უწინდელ აღთქმას. ღვთის ანდერძი ეს არის აღთქმა (იხ. გალ. 3:16), ღმერთი კი არასდროს არღვევს თავის დანაპირებს (იხ. ეს. 46:11; ებრ. 6:18). ჩაანაცვლეთ სიტყვა "აღთქმა" სიტყვით "დაპირება" წმიდა წერილის შემდეგ ნაწყვეტებში. როგორია "აღთქმის" ბუნება თითოეულ ნაწყვეტში? როგორ გვეხმარება აღთქმის, როგორც ღვთის დანაპირების გაგება, ნაწყვეტიდან აზრის გამოტანაში და როგორ გვეხმარება ეს, უკეთ შევითვისოთ აღთქმის იდეა? იხ. დაბ. 9:11-17; 15:18; 17:1-21. რას გვეუბნება ეს ღმერთის ხასიათისა და მის მიმართ ჩვენი ნდობის შესახებ?

ორშაბათი
31 ივლისი
რწმენა და რჯული
(რომ. 3:31)
პავლე მტკიცედ გამოდის ადამიანისა და ღმერთს შორის ურთიერთობაში რწმენის უპირატესობის დასაცავად. მას არაერთხელ გამოუცხადებია, რომ არც წინადაცვეთა, არც რაიმე სხვა "რჯულის საქმეები" არ წარმოადგენენ ხსნისთვის აუცილებელ პირობას, "ვინაიდან რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება" (გალ. 2:16). გარდა ამისა, არა რჯულის საქმეები, არამედ რწმენაა მორწმუნის დამახასიათებელი თვისება (იხ. გალ. 3:7). რჯულის საქმეების ამ არაერთ უარყოფას მივყავართ შეკითხვამდე: "ნუთუ რჯულს აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს? უარყო თუ არა ღმერთმა რჯული?"

აქვს თუ არა პავლეს მხედველობაში ის, რომ რწმენა აბათილებს რჯულს მაშინ, როცა ამბობს, რომ გამართლება გვეძლევა რწმენით და არა რჯულის საქმეებით? რას გვამცნობენ ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მუხლები? რომ. 3:31 შეადარეთ რომ. 7:7,12; 8:3 და მათ. 5:17-20.
რომაელთა მიმართ წერილის მესამე თავში აღწერილი პავლეს დასკვნები ეხმიანება გალატელთა მიმართ წერილში მოყვანილ მის სიტყვებს რწმენისა და რჯულის შესახებ. მას ესმის, რომ მისმა სიტყვებმა ზოგიერთი შეიძლება მიიყვანოს იმ აზრამდე, თითქოს იგი რწმენას ამაღლებს რჯულის დასამცირებლად, ამიტომ იგი სვამს რიტორიკულ კითხვას: "მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს?" სიტყვა, რომელიც რომ. 3:31-ში ითარგმნა, როგორც "ვაბათილებთ", ბერძნულ ენაში ჟღერს, როგორც "კატარღეო". პავლე ხშირად იყენებს ამ სიტყვას. იგი შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც "განადგურება" (რომ. 3:3), "გაუქმება" (ეფეს. 2:15; რომ. 6:6). თუკი პავლეს ექნებოდა სურვილი მხარი აება იდეისთვის, რომ რჯული გაუქმდა ჯვარზე, დღეს კი ზოგიერთი ადამიანი მცდარად მიაწერს მოციქულს ამ იდეას, მაშინ ეს იყო საამისოდ ყველაზე შესაფერისი მომენტი. მაგრამ პავლე არა მხოლოდ ხაზგასმით უარყოფს ამ ვარაუდს, არამედ ამბობს, რომ რწმენა "განამტკიცებს" რჯულს!
"რწმენით გამართლების გეგმა გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემს ღმერთი თავის რჯულს, თუკი მისი მოთხოვნების აღსასრულებლად მან გამომსყიდველი მსხვერპლი შესწირა. წმენით გამართლება რომ აუქმებდეს რჯულს, მაშინ არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა ქრისტეს გამომსყიდველი სიკვდილი. საჭირო არ იქნებოდა ცოდვილთა გათავისუფლება ცოდვებისაგან და ღმერთთან მათი შერიგება.
უფრო მეტიც, ჭეშმარიტი რწმენა გულისხმობს სრულ მზადყოფნას, რომ ცხოვრებაში აღასრულო ღვთის ნება რჯულის მორჩილების მეშვეობით… ჭეშმარიტ რწმენას, რომელიც ემყარება მხსნელის მიმართ გულწრფელ სიყვარულს, შეუძლია

მიგვიყვანოს მხოლოდ მორჩილებამდე" (მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 510). დაფიქრდით, რა მოხდებოდა, თუკი პავლე მართლაც გამოაცხადებდა, რომ რწმენა აბათილებს რჯულს. მაგალითად, მაშინ მრუშობა აღარ ჩაითვლებოდა ცოდვად? ან ქურდობა? ან მკვლელობაც კი? შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ? დაფიქრდით განცდებზე, ტკივილსა და ტანჯვაზე, რომლისგანაც გათავისუფლდით, როცა დაემორჩილეთ ღვთის რჯულს. შეგხვედრიათ თუ არა პრობლემები და სირთულეები, როცა არ გსურდათ ღვთის რჯულის მიღება?

სამშაბათი
1 აგვისტო
რჯულის მიზანი
გალ. 3:19-29 მუხლებში პავლე რამდენჯერმე ახსენებს სიტყვას "რჯული". რომელ რჯულზე საუბრობს პავლე გალატელთა მიმართ წერილის ამ ნაწილში?
ზოგიერთი თვლის, რომ მე-19 მუხლში გამოყენებული სიტყვა "ვიდრე" მიუთითებს ამ რჯულის დროებითობაზე. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს ნაწყვეტი ეკუთვნოდა სარიტუალო რჯულს, რადგან ამ რჯულის მიზანი აღესრულა გოლგოთაზე. თუმცა ეს აზრი თავისთავად სწორია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ პავლე გალატელთა მიმართ წერილში სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდეს. თუმცა სარიტუალო და ზნეობრივი რჯული "შემდეგ" მიეცათ, სინაის მთაზე "დანაშაულთა გამო", შემდეგი საკითხის განხილვისას დავინახავთ, რომ, პირველ რიგში, პავლე საუბრობს ზნეობრივ რჯულზე.
როცა პავლე ამბობს, რომ რჯული "შემდეგ" მიეცათ, რა აქვს მხედველობაში? რის შემდეგ მიეცათ რჯული? რატომ გაჩნდა მისი საჭიროება? გალ. 3:19 შეადარეთ რომ. 5:13,20-ს.
პავლე არ ამბობს, რომ რჯული დაემატა აბრაამთან დადებულ ღვთის აღთქმას (ანდერძს), როგორც შევსება, რომელიც შეცვლიდა თავდაპირველ პირობებს. რჯული სინაიმდე დიდი ხნით ადრე

არსებობდა. მაგრამ პავლეს მხედველობაში აქვს, რომ რჯული ისრაელს მიეცა სულ სხვა მიზნით. რჯული გვიჩვენებს ჩვენს ცოდვილ მდგომარეობას და ღვთის მადლის საჭიროებას. იგი არ უნდა ქცეულიყო ერთგვარ პროგრამად, რომელიც დაეხმარებოდა ხსნის დამსახურებაში. პირიქით, პავლე ამბობს, რომ იგი მიეცათ, "რომ ემრავლა დანაშაულს" (იხ. რომ. 5:20) ანუ ჩვენს ცხოვრებაში უფრო აშკარად დასანახი გახდა ცოდვა (რომ. 7:13).
სარიტუალო კანონი მიუთითებს მოსეზე, ყურადღებას ამახვილებს სიწმიდესა და მხსნელში საჭიროებაზე. ზნეობრივი რჯული კი თავისი "არ…" გვიხსნის ცოდვას, გვიჩვენებს, რომ ცოდვა ჩვენი ბუნების არა მხოლოდ შემადგენელი ნაწილია, არამედ ღვთის განკარგულების პირდაპირი დარღვევაა (იხ. რომ. 3:20; 5:13,20; 7:7,8,13). ამიტომ პავლე ამბობს: "სადაც რჯული არ არის, იქ არც დანაშაულია" (რომ. 4:15).
"რჯული მოქმედებს როგორც გამადიდებელი შუშა. იგი არ ამრავლებს ტანსაცმელზე არსებული ჭუჭყიანი ლაქების რაოდენობას, არამედ უფრო შესამჩნევს ხდის და გვიჩვენებს უფრო მეტ ლაქას, ვიდრე ადამიანს შეუიარაღებელი თვალით შეუძლია დაინახოს" (ჭილლიამ Hენდრიკსენ, Nეწ თესტამენტ ჩომმენტარყ, Eხპოსიტიონ ონ Gალატიანს, პ. 141).

ოთხშაბათი
2 აგვისტო
ღვთის რჯულის მოქმედების ვადა
პავლე ამბობს, რომ რჯული "შემდეგ" მიეცათ, სინაის მთაზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ დრომდე მათ რჯული არ გააჩნდათ? ხოლო თუ იყო, მაშინ რა შეიცვალა სინაის მოვლენების შემდეგ? იხ. დაბ. 9:5,6; 18:19; 26:5; 39:7-10; გამ. 16:22-26.
ღმერთს არ ესაჭიროებოდა აბრაამისთვის რჯულის გახსნა ელვით, ქუხილითა და სიკვდილის შიშით (იხ. გამ. 19:10-23). მაშინ რატომ მისცა ღმერთმა ებრაელებს რჯული ზუსტად ასეთი სახით? ეს იმიტომ მოხდა, რომ ეგვიპტეში მონობის დროს ებრაელებმა თვალთახედვის არედან დაკარგეს ღვთის

დიდებულება და მისი მაღალი ზნეობრივი ნორმები. ამის შედეგად მათ უნდა სცოდნოდათ თავიანთი ცოდვილი მდგომარეობის ხარისხისა და ღვთის რჯულის სიწმიდის შესახებ. ეჭვგარეშეა, გამოცხადება სინაიზე სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.
რა აქვს პავლეს მხედველობაში, როცა წერს, რომ "დანაშაულთა გამო მიეცა რჯული, ვიდრე მოვიდოდა თესლი, რომლისადმიცაა აღთქმა"? იხ. გალ. 3:16-19.
ბევრს ეს მუხლი ესმის შემდეგნაირად: სინაის მთაზე მიცემული რჯული დროებითი იყო. იგი აბრაამიდან მოყოლებული 430 წლის შემდეგ გაჩნდა, შემდეგ კი ქრისტეს მოსვლასთან ერთად მისი მოქმედება დასრულდა. მაგრამ ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება რჯულის შესახებ პავლეს სიტყვებს, რომლებიც ჩაწერილია რომაელთა მიმართ წერილში, ასევე ბიბლიის სხვა მუხლებსაც, როგორიცაა, მაგალითად, მათ. 5:17-19.
ხშირად მკითხველები მცდარად ვარაუდობენ, რომ სიტყვა "ვიდრე" ყოველთვის აღნიშნავს დროის გარკვეულ პერიოდს. მაგრამ ეს ასე არ არის. გამოცხ. 2:25-ში იესო ამბობს: "რაც გაქვთ, მხოლოდ ის გეჭიროთ, ვიდრე მოვიდოდე". ამბობს თუ არა იესო იმის შესახებ, რომ როდესაც ის მოვა, ჩვენ უკვე აღარ უნდა ვიყოთ ერთგულები?
რჯულის როლი არ დასრულებულა ქრისტეს მოსვლასთან ერთად. რჯული კვლავ მიუთითებს ცოდვაზე. პავლე ამბობს, რომ ქრისტეს მოსვლა იქნება გადამწყვეტი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში. ქრისტემ შეძლო გაეკეთებინა ის, რასაც რჯული ვერასოდეს მოიმოქმედებდა: ჭეშმარიტად გაათავისუფლოს ცოდვისგან, გაამართლოს ცოდვილები და სულიწმიდის მეშვეობით მათში აღასრულოს ღვთის რჯული (იხ. რომ. 8:3,4).
მოგსვლიათ თუ არა თავში ოდესმე ასეთი აზრი: "ღმერთს ჩემთვის რომ გაეკეთებინა ესა თუ ის, აღარასოდეს შემეპარებოდა მასში ეჭვი"? მაგრამ დაფიქრდით იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინაის მთაზე. ისრაელიანებმა იხილეს ღვთის ძალის

შთამბეჭდავი გამომჟღავნება, მცირე დროის შემდეგ კი უკვე თაყვანს სცემდნენ ოქროს ხბოს. როგორ გვიჩვენებს ეს გამოცდილება, თუ რა არის ჭეშმარიტი რწმენა და როგორ შევინარჩუნოთ იგი? იხ. კოლ. 2:6.

ხუთშაბათი
3 აგვისტო
აღთქმის უპირატესობა
"ეს არის, ვინც იყო კრებულში უდაბნოდ ანგელოზთან ერთად, რომელიც მას ელაპარაკებოდა სინაის მთაზე, და ჩვენს მამებთან ერთად; ვინც მიიღო ცოცხალი სიტყვები, რომ ჩვენთვის გადმოეცა" (საქმე. 7:38).
გალ. 3:19,20-ში პავლე ავითარებს აზრს, რომ კანონი არ აბათილებს მადლის აღთქმას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პავლეს ოპონენტები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. მაშინ როგორი იქნებოდა ჩვენი, ცოდვილების მდგომარეობა, გადარჩენისთვის საჭირო რომ გამხდარიყო დავყრდნობოდით რჯულის ჩვენმიერ მორჩილებას და არა ღვთის მადლს? არ გვექნებოდა იმედი. თუმცა არ არის ადვილი, გავაცნობიეროთ გალ. 3:19,20-ში მოცემული პავლეს კომენტარის ყოველი დეტალი, რომელიც ეხება სინაის მთაზე მომხდარ მოვლენებს, მაგრამ ძირითადი აზრი ნათელია: რჯული გადმოგვეცა ანგელოზებისა და მოსეს მიერ. რჯულის გადმოცემაში ანგელოზების მონაწილეობა არ არის ნახსენები გამოსვლის წიგნში, მაგრამ ნახსენებია წმიდა წერილის რამდენიმე სხვა ადგილას (იხ. რჯლ. 33:2; საქმე. 7:38,53; ებრ. 2:2). 1ტიმ. 2:5-ში ქრისტესთან მიმართებაში პავლე გამოიყენებს სიტყვას "შუამავალი", მაგრამ აქ მისი კომენტარი ყველანაირ საფუძველს გვაძლევს, რომ ვივარაუდოთ: მას მხედველობაში ჰქონდა რჯლ. 5:5, სადაც მოსე ამბობს საკუთარ თავზე: "მე კი ვიდექი უფალსა და თქვენს შორის იმ დროს, რათა მეუწყებინა თქვენთვის სიტყვა უფლისა".
სინაის მთაზე რჯულის გადმოცემა იყო დიდებული და სადღესასწაულო ქმედება, იგი ხდებოდა უთვალავი ანგელოზის

თანდასწრებით. მოსემ ამ მოვლენაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რჯულის გადმოცემა ხომ მისი, შუამავლის, მეშვეობით მოხდა. სწორედ ამით განსხვავდებოდა ეს აღთქმა იმ აღთქმისგან, რომელიც ღმერთმა პირისპირ დაუდო აბრაამს (და მისი სახით ყველა მორწმუნეს), როცა არ იყო შუამდგომლის საჭიროება. მიუხედავად რჯულის მთელი მნიშვნელობისა, იგი ვერ ჩაანაცვლებს აღთქმას, რომ ხსნა გვეძლევა მადლით, რწმენის მეშვეობით. მაგრამ რჯული გვეხმარება, უკეთ გავაცნობიეროთ, თუ რაოდენ საოცარია ეს აღთქმა.
აღწერეთ აბრაამსა და ღმერთს შორის უშუალო ურთიერთობის ბუნება. რაში მდგომარეობს ღმერთთან ასეთი ახლო ურთიერთობის უპირატესობა? იხ. დაბ. 15:1-6; 18:1-33; 22:1-18. გაიხსენეთ ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობის სხვა მაგალითები: ადამი და ევა ედემში (იხ. დაბ. 3); იაკობი ბეთელში (იხ. დაბ. 28), პავლე დამასკოს გზაზე (იხ. საქმე. 9). შესაძლოა, არ გამოგიცდიათ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგრამ თქვენ როგორ გაგეხსნათ ღმერთი? რა გიშლით ხელს, თქვენს პირად ცხოვრებაში გქონდეთ ღმერთთან ახლო ურთიერთობა? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ მოიშოროთ ეს დაბრკოლებები?

პარასკევი
4 აგვისტო
შემდგომი გამოკვლევისათვის
"ტყვეობის წლებში ებრაელმა ხალხმა დაკარგა ცოდნა ღმერთისა და აბრაამის აღთქმის შესახებ. ეგვიპტიდან გათავისუფლების შემდგომ უფალს სურდა, გაეცხადებინა თავისი ძალა და წყალობა თავისი ხალხის სიყვარულისა და ნდობის მოსაპოვებლად. მეწამულ ზღვასთან მოიყვანა ისინი, სადაც, ეგვიპტელთაგან დევნილებმა და დასაღუპავად განწირულებმა შეიგნეს საკუთარი უძლურება და საშველად უფალს მოუხმეს. და მაშინ იხსნა კიდეც. ღვთისადმი სიყვარულმა და მადლიერების გრძნობამ მოიცვა მათი გული და მიენდნენ კიდეც მის ყოვლაძლიერებას. მაშინ მიწიური მონობისაგან იხსნა უფალმა ისრაელიანნი.

მაგრამ არსებობდა სხვა, უფრო დიდი ჭეშმარიტება, რომელიც მათ გონებაში უნდა ჩაბეჭდილიყო. იქ, წარმართთა შორის, გახრწნილების ატმოსფეროში ცხოვრებისას, მათ არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა ღვთიურ სიწმიდეზე, საკუთარ ცოდვილ ცხოვრებაზე, საკუთარი უძლურების გამო უფლის რჯულის აღსრულების შეუძლებლობაზე და მხსნელის საჭიროებაზე. ყოველივე ეს უნდა შეესწავლათ და შეეგნოთ" (ე. უაითი, პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 226).

"სინაის მთაზე საზეიმოდ წარმოთქმული ღვთის რჯული თითქოს განკითხვაა ცოდვილისთვის. რადგან რჯულის ფუნქცია განკითხვაა, მასში არ მოიპოვება ძალა, რათა აპატიოს ან გამოისყიდოს" (ე. უაითი. მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1094).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. როგორ გრძნობდით თავს, როცა რაიმეს გპირდებოდნენ, შემდეგ კი გატყუებდნენ? რას გრძნობდით იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც არ შეასრულა თავისი დანაპირები? აქვს თუ არა მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ ადამიანს უნდოდა შეესრულებინა დანაპირები, მაგრამ მერე გადაიფიქრა ან ვერ შეძლო? რას იტყვით იმაზე, თუ იგი სულაც არ აპირებდა დანაპირების შესრულებას? თუკი რაიმე მიზეზით ადამიანმა ვერ შეასრულა თავისი დანაპირები, ამის შემდეგ ნაკლებად ენდობით თუ არა? რას ნიშნავს თქვენთვის ღვთის აღთქმებისადმი ნდობა? როგორ ვისწავლოთ ნდობა ღვთის აღთქმების მიმართ?
2. როგორ შეიძლება ჩვენი გარემოება უარყოფითად ზემოქმედებდეს ღმერთის მიერ მოცემული ჭეშმარიტებების ჩვენეულ გაგებაზე? როგორ შეგვიძლია ამოვიცნოთ ეს გამხრწნელი ზემოქმედება და წინ აღვუდგეთ მას?

დასკვნა: სინაის მთაზე გაჟღერებული რჯული არ აუქმებს აღთქმებს, რომელიც ღმერთმა მისცა აბრაამს და არ ცვლის მათ. რჯული იმისთვის მოგვეცა, რომ ადამიანებმა გააცნობიერონ

თავიანთი ცოდვილი მდგომარეობის მასშტაბები და მხსნელში თავიანთი საჭიროება.

7 გაკვეთილი 5 - 11 აგვისტო გზა რწმენისკენ

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 3:21-25; ლევ. 18:5; რომ. 3:9-19; 1კორ. 9:20; რომ. 3:1,2; 8:1-4.
სამახსოვრო მუხლი: "მაგრამ წერილმა ყველა მოამწყვდია ცოდვის ქვეშ, რათა მორწმუნეებს იესო ქრისტეს რწმენით მისცემოდათ აღთქმული" (გალ. 3:22).
საფოსტო მტრედები ძველთაგანვე განთქმულნი იყვნენ თავიანთი შესაძლებლობით, რომ შეეძლოთ დღეში ასობით კილომეტრის დაფარვა და საოცარი სიზუსტით დანიშნულების ადგილამდე მიფრენა. მაგრამ საუკეთესო საფოსტო მტრედებსაც კი ხანდახან ეშლებოდათ გზა და შინ ვერ ბრუნდებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ინგლისში, როცა დაახლოებით 20 000 ფრინველი (600 000 დოლარზე მეტი ღირებულების) არ დაუბრუნდა თავის სამტრედეს.
ბევრ ჩვენგანს ასე თუ ისე აბნევია გზა, დაკარგულა და ყველამ ვიცით, თუ რაოდენ არასასიამოვნოა ეს. ასეთ შემთხვევებში ადამიანი განიცდის შფოთსა და შიშს, ხანდახან პანიკასაც კი.
ეს ყველაფერი მართებულია სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებითაც. ქრისტეს მიღების შემდეგაც კი დროთა განმავლობაში შეიძლება გზა აგვებნეს და უფალი დავკარგოთ თვალთახედვიდან.
მაგრამ კეთილი უწყება იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთმა მარტოები არ მიგვატოვა. იგი გადარჩენის გზას მიგვითითებს თავისი სიტყვის მეშვეობით და ეს გზა გულისხმობს რჯულსაც და მადლსაც. მრავალი ცდილობს, განაცალკევოს რჯული სახარებისგან; ზოგიერთი კი თვლის, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს აზრი არა თუ მხოლოდ არასწორია, არამედ ძალიან სერიოზული შედეგები ახლავს.

რჯულის გარეშე არ გვექნებოდა სახარება. და კეთილი უწყების გაგება რჯულის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია.

კვირადღე
6 აგვისტო
რჯული და აღთქმა
"აბა, რჯული ეწინააღმდეგება ღვთის აღთქმებს?" (გალ. 3:21). პავლეს ესმოდა, რომ მის კომენტარებს თავისი მოწინააღმდეგეები შეიძლება მიეყვანა აზრამდე, რომ იგი უგულებელყოფდა რჯულს ან ღვთის აღთქმის შესახებ წარმოთქმული მისი სიტყვები მხოლოდ რჯულის შენიღბული უარყოფაა. ამიტომ იგი წინასწარ ხვდება თავისი ოპონენტების შეკითხვას: "შენ ამბობ, რომ რჯული ეწინააღმდეგება ღვთის აღთქმებს?" პავლე ამაზე მტკიცედ პასუხობს: "არა!" ასეთი დასკვნა შეუძლებელია, რადგან ღმერთი ვერ დაუპირისპირდება საკუთარ თავს. შემოქმედმა მოგვცა აღთქმაც და რჯულიც. და არავითარ შემთხვევაში არც ერთი არ ეწინააღმდეგება მეორეს. მათ განსხვავებული როლი და ფუნქცია აკისრიათ ხსნის საერთო გეგმაში.
რა მცდარი წარმოადგენები გააჩნდათ პავლეს მოწინააღმდეგეებს რჯულის როლის შესახებ? გალ. 3:21 შეადარეთ ლევ. 18:5 და რჯლ. 6:24.
ამ ადამიანებს სწამდათ, რომ რჯულს შეუძლია, მიანიჭოს მათ სულიერი ცხოვრება. სავარაუდოა, ასეთი აზრი ეყრდნობოდა ძველაღთქმისეული მუხლების მცდარ განმარტებას, მაგალითად, ლევ. 18:5 და რჯლ. 6:24, სადაც რჯული მიუთითებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მათ, ვინც მისდევს ღვთის აღთქმას. მაგრამ ბიბლიაში მუდმივად ხაზგასმულია, რომ "გაცოცხლების" შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ ღმერთს: მამას, ძეს და სულიწმიდას (იხ. 4მეფ. 5:7; ნეემ. 9:6; იოან. 5:21; რომ. 4:17). რჯულს არ შეუძლია სულიერი ცხოვრების აღორძინება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ეწინააღმდეგება ღვთის აღთქმას. პავლე ცდილობდა ეჩვენებინა ის, რომ რჯულს არ შეუძლია სიცოცხლის მიცემა, ამიტომ გალ. 3:22-ში წერს: "მაგრამ წერილმა

ყველა მოამწყვდია ცოდვის ქვეშ". რომ. 3:9-19-ში მოციქულს ერთიმეორის მიყოლებით მოჰყავს მუხლები, რომლებიც აღებულია ძველი აღთქმიდან, რათა გვიჩვენოს, თუ რაოდენ ცოდვილები ვართ. ეს მუხლები თანმიმდევრულად არის განლაგებული. იგი იწყებს თავად ცოდვის პრობლემის არსით, ეგოიზმით, რომელმაც დაამარცხა ადამიანთა გულები. შემდეგ მოციქული გადადის იმაზე, რომ ცოდვას გააჩნია ყველგანშეღწევადი და უნივერსალური ხასიათი.
რაზე მიუთითებს იგი? ცოდვის ყველგან გავრცელების მიზეზითა და ღვთის რჯულის შეზღუდულობის გამო საუკუნო სიცოცხლის აღთქმა ჩვენში შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით. და აქ კვლავ ვხედავთ დიდებულ ჭეშმარიტებას, რომელმაც ხელი შეუწყო პროტესტანტული რეფორმაციის დაბადებას.
თუმცა რჯულს არ შეუძლია ჩვენი გადარჩენა, მაგრამ იმსჯელეთ, რა უპირატესობები და კურთხევები აქვს რჯულის მორჩილებას.

ორშაბათი
7 აგვისტო
"რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ"
გალ. 3:23-ში პავლე წერს, რომ "რწმენის მოსვლამდე კი მომწყვდეულები ვიყავით რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ". პავლე სიტყვა "ჩვენში" გულისხმობს გალატიის ეკლესიებში არსებულ მორწმუნე იუდეველებს. მათ იცოდნენ რჯული და გალ. 2:15 მუხლიდან მოყოლებული პავლე სწორედ იუდეველებს მიმართავს და საკუთარ თავს მათთან აიგივებს.
გალ. 3:23-ში ნათქვამია: "რწმენის მოსვლამდე". რაკი ბერძნულ მუხლში სიტყვას "რწმენა" განსაზღვრული არტიკლი გააჩნია, ხოლო გალ. 3:24-ში საუბარია რჯულის როლის შესახებ ქრისტეს მოსვლამდე და მის შემდეგ, დიდია ალბათობა, რომ საუბარი მიდის არა ქრისტიანული რწმენის შესახებ, არამედ თავად ქრისტეზე, როგორც რწმენის ობიექტზე.

პავლე ამბობს, რომ იუდეველები ქრისტეს მოსვლამდე იყვნენ "რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ". რას გულისხმობს იგი "რჯულის მეთვალყურეობაში"? გალ. 3:22,23 შეადარეთ რომ. 6:14,15; 1კორ. 9:20; გალ. 4:4,5,21; 5:18.
პავლე მოციქული თავის წერილებში ფრაზას "რჯულის ქვეშ" თორმეტჯერ იყენებს. კონტექსტის მიხედვით, მას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა:
1. "რჯულის ქვეშ" - გადარჩენის მცდარი გზის განსაზღვრება (იხ. გალ. 4:21). გალატიაში პავლეს ოპონენტები ცდილობდნენ, მორჩილებით დაემსახურებინათ სიმართლე, რომელიც იძლეოდა ხსნას. მაგრამ ეს შეუძლებელია, როგორც პავლემ ზემოთ განმარტა (იხ. გალ. 3:21,22). მოგვიანებით იგი ხაზს უსვამს კიდეც, რომ გალატელებს სურდათ ყოფილიყვნენ "რჯულის ქვეშ", მაგრამ სინამდვილეში უარყოფდნენ ქრისტეს (იხ. გალ. 5:2-4).
2. "რჯულის ქვეშ" - რჯულის განკითხვის ქვეშ (იხ. რომ. 6:14,15). რადგან რჯულს არ შეუძლია ცოდვისგან გამოსყიდვა, მისი მოთხოვნების დარღვევას მივყავართ განკითხვამდე. ამ მდგომარეობაში იმყოფება ყველა ადამიანი. რჯული წარმოგვიდგება ციხის მცველის როლში, რომელიც ამწყვდევს ყველას, ვინც დაარღვია კანონი და თავს დაიტეხა სასიკვდილო განაჩენი.
3. "რჯულის ქვეშ" - კანონის იურისდიქციის ქვეშ. ეს გამონათქვამი ასევე შეგვიძლია გავიგოთ როგორც "რჯულის ჩარჩოში". ანუ "იცხოვრო რჯულის მოთხოვნების ჩარჩოში" ქრისტესთან გაერთიანების მეშვეობით (იხ. 1კორ.9:21). "რჯულის საქმეებით" ანუ ეცადო, ქრისტეს გარეშე დაიცვა რჯული, ვერ გამართლდები, რადგან "მართალი რწმენით იცოცხლებს" (გალ.3:11). ეს ჭეშმარიტება არ აბათილებს რჯულს; იგი უბრალოდ გვიჩვენებს, რომ რჯული ვერ მოგვცემს საუკუნო სიცოცხლეს.

სამშაბათი
8 აგვისტო
რჯული არის ჩვენი "მეთყვალყურე"

რჯულთან დაკავშირებით პავლეს გამოაქვს ორი დასკვნა:
1. რჯული არ აბათილებს ღვთის აღთქმას, რომელიც აბრაამს მიეცა (იხ. გალ. 3:15-20).
2. რჯული არ ეწინააღმდეგება აღთქმას (იხ. გალ. 3:21,22).
მაშ რაში მდგომარეობს რჯულის როლი? პავლე წერს, რომ იგი მოგვეცა "დანაშაულთა გამო" (გალ. 3:19). მოგვიანებით მოციქული ანვითარებს ამ აზრს და რჯულთან დაკავშირებით გამოიყენებს სამ განსხვავებულ სიტყვას: "მომწყვდეულები" (მუხ. 23), "მეთვალყურეობის ქვეშ" (მუხ. 23) და "წარმმართველი" (მუხ. 24).
ყურადღებით და ლოცვით წაიკითხეთ გალატელთა მიმართ წერილის 3:19-24. რას ამბობდა პავლე რჯულის შესახებ? თანამედროვე თარგმანების უმრავლესობა რჯულის შესახებ პავლეს სიტყვებს გადმოსცემენ ნეგატიური ელფერით. მაგრამ ბერძნული ორიგინალი არც ისე ერთმნიშვნელოვანია. სიტყვა, რომელიც ნათარგმნია, როგორც "მეთვალყურე" (მუხ. 23), სიტყვასიტყვით ნიშნავს "დაცვას". თუმცა მას შეიძლება ნეგატიური ელფერიც ჰქონდეს, როგორც "დარაჯობა" ან "დაცვა" (2კორ. 11:32), მაგრამ ახალ აღთქმაში იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება დადებითი გაგებით - "დაცვა", "შენახვა", "დაფარვა" (ფილიპ. 4:7; 1პეტრ. 1:5). იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაზე "მომწყვდეულები" (გალ. 3:23). იგი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც "დახშობა" (დაბ. 20:18), "მომწყვდევა" (გამ. 14:3; იესო. 5:16; იერ. 13:19), "დაჭერა" (ლუკ. 5:6). როგორც მაგალითებიდან ჩანს, კონტექსტიდან გამომდინარე, ამ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა.

რა უპირატესობას ანიჭებდა ებრაელ ერს ზნეობრივი და რიტუალური კანონი? იხ. რომ. 3:1,2; რჯლ.7:12-24; ლევ. 18:20-30. პავლე უარყოფითად იყო განწყობილი ცალკეული ადამიანების სწრაფვასთან დაკავშირებით, რომ გამართლდნენ "რჯულის საქმეებით" (რომ. 7:6; გალ. 2:19). ამავდროულად, თავად რჯულის შესახებ იგი დადებითად საუბრობდა (იხ. რომ. 7:12,14; 8:3,4; 13:8).

რჯული არ ყოფილა წყევლა, რომელიც ღმერთმა ისრაელს გამოუგზავნა და ამით ზღუდავდა მათ. პირიქით, რჯული ადამიანებისთვის კურთხევა უნდა გამხდარიყო. მაგალითად, მოსეს რჯულიდან ავიღოთ მსხვერპლშეწირვის სისტემა. თუმცა მას არ შეეძლო ცოდვის პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ მიუთითებდა აღთქმულ მესიაზე, რომელსაც შეეძლო ამის აღსრულება. რჯული მართავდა ადამიანთა ქცევებს და ისრაელს იცავდა მრავალი წყლულისგან, რომლებიც მრავალ უძველეს ცივილიზაციას ანადგურებდა. პავლეს სხვა შრომებში რჯულის დადებითად მოხსენიების გამო არასწორი იქნებოდა ამ ნაწყვეტის უარყოფითად წარმოდგენა.
გაიხსენეთ რაიმე კარგი, რაც არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ. მაგალითად, პრეპარატი, რომელიც შექმნილია დაავადების განსაკურნავად, ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს, როგორც ნარკოტიკი. კიდევ რა მსგავსი მაგალითები შეგხვედრიათ ცხოვრებაში? იმის ცოდნა, რომ რაიმე კარგი შეიძლება არასწორად იყოს გამოყენებული, როგორ გვეხმარება გავაცნობიეროთ, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობდა პავლე მოცემულ ნაწყვეტში?

ოთხშაბათი
9 აგვისტო
"წარმმართველი" რჯული
გალ. 3:23-ში პავლე რჯულს აღწერს, როგორც დამცველ და მფარველ ძალას. რას მიამსგავსა პავლემ იგი 24-ე მუხლში და რას ნიშნავს ეს?
სიტყვა, რომელიც ნათარგმნია როგორც "წარმმართველი", მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან "პაიდაგოგოს". იგი შეიძლება ვთარგმნოთ როგორც "მკაცრი მეთაური", "მასწავლებელი" ან "მეურვეც" კი, თუმცა ვერც ერთი სიტყვა სრულად ვერ გადმოსცემს მის მნიშვნელობას. რომაულ საზოგადოებაში "პაიდაგოგოს" იყო მონა, რომელსაც უნიშნავდნენ ბატონის შვილებს, როცა მათ უსრულდებოდათ ექვსი ან შვიდი

წელი და ეს ადამიანები თან ახლდნენ ბავშვებს მოწიფულობის ასაკამდე. გარდა ამ ბავშვების ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, ისეთი, როგორიცაა: აბაზანის მომზადება, საჭმლითა და ტანსაცმლით მათი უზრუნველყოფა, საშიშროებისგან დაცვა, "პაიდაგოგოს" ასევე თვალყური უნდა ედევნა, რომ მეპატრონის შვილებს ევლოთ სკოლაში და შეესრულებინათ გაკვეთილები. გარდა ამისა, მას არა მხოლოდ უნდა ესწავლებინა ბავშვებისთვის მორალური ფასეულობები, არამედ თვალყურიც უნდა ედევნა, რომ ისინი დაემახსოვრებინათ და დაეცვათ.
თუმცა ზოგიერთი პედაგოგი კეთილი იყო და მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვებს უყვარდათ ისინი, მაგრამ ანტიკურ ლიტერატურაში მათ ძირითადად აღწერენ როგორც დისციპლინის მკაცრ დამცველებს. ისინი აიძულებდნენ ბავშვებს მორჩილებას, არა მხოლოდ ემუქრებოდნენ და ეჩხუბებოდნენ, არამედ წკეპლებითა და ჯოხებით სცემდნენ კიდეც.
პავლეს მიერ რჯულის შედარება "პაიდაგოგოსთან" კიდევ უფრო ნათელს ხდის, თუ როგორ ესმოდა მას რჯულის როლი. რჯული მოგვეცა, რათა მიუთითოს ცოდვაზე და მოგვცეს ინსტრუქციები. თავისი ფუნქციით რჯული უარყოფით ასპექტსაც შეიცავს, რადგან კიცხავს და განიკითხავს ცოდვილებს. მაგრამ ამ "უარყოფით" ასპექტსაც კი ღმერთი ჩვენდა სასიკეთოდ იყენებს, რადგან განკითხვას, რომელიც რჯულშია, მივყავართ ქრისტესთან. ამგვარად, რჯული და სახარება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ღმერთმა შექმნა ისინი, რათა მათ ერთად მიგვიყვანოს გადარჩენამდე.
«"ამგვარად, რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესაკენ, რათა გავმართლებულიყავით რწმენით" (გალ. 3:24). მოცემულ სიტყვებში სულიწმიდა მოციქულის მეშვეობით პირველ რიგში გვამცნობს მორალური რჯულის შესახებ. რჯული გვიხსნის, თუ რა არის ცოდვა და ამით გვაგრძნობინებს საჭიროებას ქრისტეში, აღძრავს ჩვენში სურვილს, მასში ვეძებოთ პატიება და ღმერთის

წინაშე მონანიების სიმშვიდე და ჩვენს უფალში იესო ქრისტეში რწმენა» (ე. უაითი. რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 234).
ბოლოს როდის შეადარეთ რჯულს თქვენი ქმედებები, სიტყვები და აზრები? გააკეთეთ ეს ახლა, შეადარეთ ისინი რჯულის არა მხოლოდ ასოს, არამედ მის სულს (იხ. მათ. 5:28; რომ. 7:6). რამდენად კარგად იცავთ რჯულს? როგორ გეხმარებათ თქვენი პასუხი, უკეთ გააცნობიეროთ პავლეს წერილი?

ხუთშაბათი
10 აგვისტო
რჯული და მორწმუნე
(გალ. 3:25)
გალ. 3:25-ში ჩაწერილ პავლეს სიტყვებს ბევრი განმარტავს, როგორც რჯულის სრულ უარყოფას. მაგრამ ასეთი განმარტება თავის აზრს კარგავს, თუკი მას შევადარებთ რჯულის შესახებ პავლეს სიტყვებს როგორც გალატელთა მიმართ, ისე მის სხვა წერილებში.
მაშ რა ჰქონდა მას მხედველობაში?
პირველ რიგში, აღარ ვართ რჯულის განკითხვის ქვეშ (იხ. რომ. 8:3). როგორც მორწმუნეები, ვიმყოფებით ქრისტეში და ვტკბებით მადლის პრივილეგიებით (იხ. რომ. 6:14,15). ეს გვანიჭებს თავისუფლებას, რომ გულწრფელად ვემსახუროთ ჩვენს მხსნელს. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება სახარებაში. იგი რადიკალურად განსხვავდება რჯულისადმი მორჩილების აუცილებლობის არარსებობისგან, რასაც ზოგიერთი ადამიანი ქრისტეში "თავისუფლებას" უწოდებს. მაგრამ რჯულის დაუმორჩილებლობა არის ცოდვა, ცოდვა კი ვერ იქნება თავისუფლება (იხ. იოან. 8:34).
წაიკითხეთ რომ. 8:1-3. რას ნიშნავს, არ იყო რჯულის მიერ განკითხული? როგორ მოქმედებს თქვენს რწმენაზე ეს საოცარი ჭეშმარიტება?
რადგან ქრისტემ გვაპატია, რჯულთან ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. ახლა მოწოდებულნი ვართ ვიცხოვროთ ისე, რომ

ვასიამოვნოთ ღმერთს (იხ. 1თეს. 4:1). პავლე ამას უწოდებს "სულით სიარულს" (გალ. 5:18). ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზნეობრივი რჯული აღარ გვეხება. რიტუალური რჯული აღსრულდა ჯვარზე, ზნეობრივი კი აგრძელებს მოქმედებას, როგორც საუკუნოდ მოქმედებდა. და ზნეობრივი კანონის გაუქმების საკითხი არასდროს დამდგარა. და როგორ გაუქმდება კანონი, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რა არის ცოდვა! მაგრამ რაკი რჯული ირეკლავს ღვთის ხასიათს, მაშინ რჯულის მორჩილებით ჩვენც ვირეკლავთ უფლის ხასიათს. უფრო მეტიც, ვემორჩილებით არა უბრალოდ წესების ნაკრებს, არამედ მივდევთ ქრისტეს მაგალითს. ქრისტე კი ჩვენთვის აკეთებს იმას, რასაც ვერ გააკეთებს რჯული, იგი რჯულს წერს ჩვენს გულებში (იხ. ებრ. 8:10) და შესაძლებელს ხდის, ჩვენში განახორციელოს რჯულის მართალი მოთხოვნები (იხ. რომ. 8:4). სხვა სიტყვებით, იესოსთან ურთიერთობის მეშვეობით ვიღებთ ძალას, რომ გავყვეთ რჯულს ისე, როგორც ადრე არასდროს.
წაიკითხეთ რომ. 8:4. რას გვამცნობს პავლე ამ მუხლში? როგორ გამოვლინდა ეს აღთქმა ჩვენს ცხოვრებაში? ამავდროულად, მიუხედავად ყველა დადებითი ცვლილებისა, რომელიც თქვენში მოხდა, ყოველთვის რატომ უნდა ეყრდნობოდეს თქვენი რწმენა ქრისტეს მსხვერპლს და სხვა არაფერს?

პარასკევი
11 აგვისტო
შემდგომი გამოკვლევისათვის
"მთხოვენ გამოვთქვა ჩემი აზრი გალატელთა მიმართ წერილში არსებული რჯულის შესახებ. რომელი რჯულია ქრისტესკენ წარმმართველი? მე ვპასუხობ: ორივე: რიტუალური რჯულიც და ათი მცნების ზნეობრივი კოდექსიც.
ქრისტე წარმოადგენდა მთელი ებრაული ღვთისმსახურების სისტემის საფუძველს. აბელის სიკვდილი წარმოადგენდა კაენის მხრიდან მორჩილების სკოლაში ღვთის გეგმის უარყოფის შედეგს, რათა იესო ქრისტეს სისხლით მოპოვებულიყო ხსნა, რის

წინასახესაც წარმოადგენდა მსხვერპლშეწირვები. კაენმა უარი განაცხადა სისხლის დაღვრაზე, რომელიც ქრისტეს მიერ წუთისოფლისთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლო იყო. ღმერთმა მოამზადა მსხვერპლშეწირვის მთელი რიტუალი და მთელი ამ სისტემის საფუძვლად იქცა ქრისტე. ეს არის რჯულის, როგორც წარმმართველის საქმიანობის დასაწყისი, რომელსაც ცოდვილი ქრისტეს, როგორც ებრაული ღვთისმსახურების მთელი სისტემის საფუძვლის, შეცნობამდე მიჰყავდა.
საწმიდარში მომსახურენი მუდმივად ხედავდნენ ქრისტეს შუამდგომლობას კაცობრიობისთვის. ამ მსახურების დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველი ადამიანის გულში გამოეწვია სიყვარული ღვთის რჯულის მიმართ, ეს რჯული კი მისი სამეფოს კანონია" (ე. უაითი. რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 233).
"ათი მცნება არ უნდა აღვიქვათ როგორც მხოლოდ ამკრძალავი; მასში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვხედავდეთ ღვთის მოწყალებას. მისი აკრძალვები არის მორჩილებაში მიღებული ბედნიერების სარწმუნო გარანტია. ქრისტეში მოპოვებული იგი ჩვენში განწმედს ხასიათს, რომელიც მთელი მარადისობა გაგვახარებს. რჯულის მორჩილთათვის იგი დამცავი კედელია" (ი. უაითი. რჩეული უწყებები, ტ. 1, გვ. 235).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. ხშირად გვიჩნდება შეკითხვა: როგორ შეიძლება ცოდვის დამარცხება ჩვენს ცხოვრებაში? რა აღთქმებს გვაძლევს ბიბლია ასეთ გამარჯვებასთან დაკავშირებით? როგორ შეგვიძლია შევუწყოთ ხელი ამ აღთქმების აღსრულებას ჩვენს ცხოვრებაში? ამავდროულად, რატომ უნდა ვიყოთ ყურადღებით, რომ ჩვენი რწმენა დავამყაროთ არა საკუთარი გამარჯვებების ხსნაზე, არამედ ქრისტეს გამარჯვებაზე ჩვენი გულისთვის?
2. ბევრი ქრისტიანი აცხადებს, რომ რჯული გაუქმდა, ამავდროულად კი გამოდიან ცოდვის წინააღმდეგ, ეს კი მოწმობს, რომ ისინი სულაც არ მიიჩნევენ რჯულს გაუქმებულად. მაშინ რა

აქვთ მათ მხედველობაში? რომელი მცნების გაუქმებაზე საუბრობენ ყველაზე ხშირად ადამიანები? შეიძლება თუ არა, რომ რჯულიდან გააუქმო მხოლოდ ერთი მცნება, სხვები კი ხელუხლებელი დარჩეს?
დასკვნა: რჯულის ერთ-ერთი ამოცანაა: დაანახოს ცოდვილებს, რომ მათ სჭირდებათ ქრისტე. მეთვალყურის მსგავსად, იგი გვიმჟღავნებს ღვთის ხასიათს და გვიცავს ბოროტებისგან. მაგრამ აღმზრდელის მსგავსად, იგი მიგვითითებს ჩვენს ცოდვებზე და განგვიკითხავს. ქრისტე რჯულს ჩვენს გულებში წერს და გვათავისუფლებს მისი განკითხვისაგან.

8 გაკვეთილი 12 - 18 აგვისტო მონებიდან მემკვიდრეებში

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 3:26-4:20; რომ. 6:1-11; ებრ. 2:14-18; 4:14,15; რომ. 9:4,5.
სამახსოვრო მუხლი: "ამიტომ შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე, მემკვიდრეცა ხარ ღვთის მიერ" (გალ. 4:7).
პავლე არიგებს გალატელებს, რომ მათ უნდა იცხოვრონ არა როგორც მონებმა, არამედ როგორც ღვთის ძეებმა და ასულებმა მათთვის განკუთვნილი ყველა წესითა და უპირატესობით. სწორედ ეს ჭეშმარიტება სჭირდებოდა მარტინ ლუთერს ისე, როგორც სხვა არავის. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა მის მიერ საკუთარი ცოდვილი მდგომარეობის გაცნობიერება, ახალგაზრდა კაცი საკუთარი ძალებით ცდილობდა მოწყალებისა და მშვიდობის მოპოვებას. მას ჰქონდა ცხოვრების მკაცრი სტილი, მარხვით, ღამის თევითა და როზგვით ებრძოდა თავის ბოროტ მიდრეკილებებს, რომელთაგანაც იგი ვერ გაათავისუფლა მისმა ბერმონაზვნურმა ცხოვრებამ. იგი ნებისმიერ მსხვერპლზე მიდიოდა იმ იმედით, რომ მიაღწევდა გულის სისუფთავეს, რაც უფლებას მისცემდა, ყოფილიყო ღვთის მიერ მიღებული. როგორც მოგვიანებით დაწერს, იგი იყო ღვთისმოსავი ბერი და მკაცრად იცავდა თავისი ორდენის წესდებებს, მაგრამ მაინც ვერ ჰპოვა სულიერი სიმშვიდე. "ერთი ბერი მაინც რომ მოხვედრილიყო

ზეცაში თავისი ბერობის გამო, მაშინ მეც იქ ვიქნებოდი" - წერდა იგი. მაგრამ ამ ყველაფერმა ვერ უშველა.
მხოლოდ მაშინ, როცა გააცნობიერა ქრისტეში გადარჩენის ჭეშმარიტება, რომელიც გახსნილია გალატელთა მიმართ წერილში, მან თავისი სულისთვის მოიპოვა სულიერი თავისუფლება და იმედი. ამის შედეგად ჩვენი სამყარო სამუდამოდ შეიცვალა.

კვირადღე
13 აგვისტო
ჩვენი მდგომარეობა ქრისტეში
(გალ. 3:26-29)
წაიკითხეთ გალ. 3:25,26. როგორ გვეხმარება ეს მუხლები, უკეთ გავაცნობიეროთ ჩვენი დამოკიდებულება რჯულის მიმართ მას შემდეგ, რაც იესომ გამოგვისყიდა?
26-ე მუხლში კავშირი "ვინაიდან" მიგვითითებს, რომ პავლე პირდაპირ კავშირს ხედავდა ამ მუხლსა და წინამდებარეს შორის. ბატონის შვილები მხოლოდ სრულწლოვანებამდე იმყოფებიან მეურვის ყურადღების ქვეშ. ადამიანები, რომლებიც ქრისტესთან რწმენით მივიდნენ, აღარ არიან არასრულწლოვანები. მათი დამოკიდებულება რჯულის მიმართ შეიცვალა, რადგან ღმერთის ზრდასრულ "შვილებად" იქცნენ.
სიტყვაში "შვილი" (რუსულ თარგმანში წერია "ძე"), ბუნებრივია, არ იგულისხმება მხოლოდ მამრობითი სქესი, პავლე აქ გულისხმობს ქალებსაც (იხ. გალ. 3:28). იგი სიტყვას "შვილები" (რუსულში "ძეები") იყენებს მემკვიდრეობის სისტემის გათვალისწინებით, როცა ყველაფერი გადაეცემოდა მამრობითი სქესის შთამომავლებს. გარდა ამისა, ფრაზა "ღვთის ძეები" ძველ აღთქმაში განსაკუთრებულად გამოიყენებოდა ისრაელიანებთან მიმართებაში (იხ. რჯლ. 14:1; ოს. 11:1). მაგრამ ახლა ქრისტეში არსებულ წარმართებსაც შეეძლოთ მიეღოთ უპირატესობა, დამტკბარიყვნენ ღმერთთან განსაკუთრებული ურთიერთობით, რაც ადრე მხოლოდ ისრაელს ეკუთვნოდა.

რა აქცევს ნათლობას ასეთ მნიშვნელოვან მოვლენად? იხ. გალ. 3:27,28; რომ. 6:1-11; 1პეტრ. 3:21.
27-ე მუხლიც ლოგიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა მუხლებთან. პავლე ნათლობას მიიჩნევს ხვედრის განმსაზღვრელ გადაწყვეტილებად, რომ შენი ცხოვრება ქრისტესთან გააერთიანო. რომ. 6-ში სიმბოლოთა დახმარებით მოციქული ნათლობას აღწერს, როგორც ჩვენს მონაწილეობას ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში. გალატელთა მიმართ წერილში პავლე იყენებს სხვა მეტაფორას: ნათლობა, როგორც ქრისტეში შემოსვის აქტი. მაგალითები, რომელთაც პავლე გამოიყენებს, დაკავშირებულია სიმართლისა და ხსნით შემოსვის შესახებ ძველაღთქმისეულ საოცარ მუხლებთან (იხ. იესო. 61:10; იობ. 29:14).
"პავლე ნათლობას განიხილავს როგორც მომენტს, როცა ქრისტე აფარებს მორწმუნეს, როგორც ტანსაცმელს. თუმცა პავლე არ გამოიყენებს ამ ტერმინს, მაგრამ იგი აღწერს სიმართლეს, რომელიც возлагать მორწმუნეზე" (Fრანკ ჟ. Mატერა, Gალატიანს, პ. 145).
ქრისტესთან ჩვენი გაერთიანება, რაც სიმბოლურად ნათლობაში არის წარმოდგენილი, ნიშნავს, რომ ღმერთი ისე გვექცევა, თითქოს არასდროს შეგვიცოდავს და ქრისტეს ყველა კურთხევა ახლა ჩვენ გვეკუთვნის. რაკი ქრისტე აბრაამის "თესლია", ჩვენ როგორც "ქრისტეს თანამემკვიდრენი" (რომ. 8:17) ვიღებთ ყველა აღთქმას აბრაამთან და მის შთამომავლობასთან ერთად. დაფიქრდით გამონათქვამზე: "ღმერთი ისე გვექცევა, თითქოს არასოდეს შეგვიცოდავს". როგორ უნდა იმოქმედოს ამ საოცარმა ჭეშმარიტებამ ჩვენი ცხოვრების თითოეულ სფეროზე?

ორშაბათი
14 აგვისტო
"დამონებულნი ვყავდით წესებს"
პავლე ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას ადარებს ჩვენს ურთიერთობას მემკვიდრეებთან და ამ მეტაფორას ავითარებს გალ. 4:1-3-ში. მოციქული აღწერს შემთხვევას, როცა დიდი

ქონების მეპატრონე იღუპება და მთელ თავის მემკვიდრეობას უფროს ვაჟს უტოვებს. მაგრამ მისი ძე ჯერ კიდევ პატარაა (დღესაც ხშირად ხდება ასე, რომ მამა თავის ანდერძში მიუთითებს: შვილს უნდა იცავდნენ მცველები და მმართველები, სანამ იგი სრულწლოვანი არ გახდება). თუმცა მცირეწლოვანი შვილი ოფიციალურად კი არის ამ ქონების მეპატრონე, მაგრამ სინამდვილეში იგი მონაზე სულ ოდნავ მაღლა დგას.
პავლეს ეს ანალოგია ჰგავს წარმმართველს, რომელიც მოცემულია გალ. 3:24-ში, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, მმართველისა და მეურვის ძალაუფლება გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანია. ისინი პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ ბატონის შვილის აღზრდაზე, არამედ ყველა ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებზეც მანამ, სანამ შვილი არ გახდება საკმაოდ დიდი, რათა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ისინი.
წაიკითხეთ გალ. 4:1-3. პავლეს რომელი სიტყვები გვეხმარება, უკეთ გავაცნობიეროთ როლი, რომელსაც რჯული უნდა თამაშობდეს ჩვენს ცხოვრებაში, როცა ქრისტეში ვართ?
დღეს მრავალი კამათობს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა პავლე სიტყვებში "ამ სოფლის წესები" (გალ. 4:3). ბერძნული სიტყვა "სტოიჰეია" სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც "ელემენტები". ზოგიერთი თვლის, რომ საუბარი მიდის ძირითად ელემენტებზე, რომლებიც შეადგენს სამყაროს (იხ. 2პეტრ. 3:10,12) ან დემონურ ძალებზე, რომლებიც დღეს მრავალ პროცესს მართავს (იხ. კოლ. 2:15) ან ღვთის შესახებ ცოდნის პირველსაწყისზე (იხ. ებრ. 5:12). პავლე ეყრდნობა იმას, რომ ადამიანები ქრისტესთან მოსვლამდე იმყოფებიან "ბავშვობის" პერიოდში. (იხ. გალ. 4:1-3), ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქ იგი იშველიებს რელიგიური ცხოვრების უმარტივეს პრინციპებს. მოციქული ამტკიცებს, რომ ძველაღთქმისეული პერიოდი თავისი კანონებითა და მსხვერპლშეწირვით იყო სახარების წინამორბედი, რომელიც შეიცავდა ხსნის საფუძვლებს. ამიტომ როგორი მნიშვნელოვანი და

აღმზრდელობითიც არ უნდა ყოფილიყო ისრაელიანებისთვის სარიტუალო რჯული, იგი მხოლოდ მომავლის აჩრდილია. და არც არასდროს ყოფილა ნავარაუდევი, რომ იგი ქრისტეს ადგილს დაიკავებდა.
საკუთარი ცხოვრების აწყობა ამ წესების ირგვლივ და არა ქრისტეზე, ჰგავს წარსულში დაბრუნების სურვილს. გალატელებისთვის ქრისტეს მოსვლის შემდეგ ამ "სოფლის წესებთან" დაბრუნება წააგავს პავლეს მეტაფორაში არსებული ზრდასრული ძის სურვილს, რომ კვლავ პატარა ბავშვად იქცეს! თუმცა არ უნდა დავრჩეთ სულიერ "ჩვილობაში", მაგრამ ბევრი რამის სწავლება შეგვიძლია ბავშვებისგან, როგორც ამას თავად იესო ამბობს (იხ. მათ. 18:3). შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ რაც უფრო იზრდება ადამიანი სულიერად, მით უფრო ბავშვური ხდება მისი რწმენა? რამდენად ბავშვური, უმწიკვლო და გულწრფელია თქვენი რწმენა?

სამშაბათი
15 აგვისტო
"მოავლინა ღმერთმა თავისი ძე"
(გალ. 4:4)
"და როცა მოვიდა სისავსე ჟამისა, მოავლინა ღმერთმა თავისი [ერთადერთი] ძე, რომელიც დედაკაცისაგან იშვა, და დაემორჩილა იგი რჯულს" (გალ. 4:4). ამ მუხლში სიტყვა "სისავსე" მიუთითებს კაცობრიობის ისტორიაში თავისი მიზნის განხორციელებაში ღმერთის აქტიურ როლზე. იესო მოვიდა არა უბრალოდ რომელიღაც მომენტში, არამედ იგი მოვიდა იმ დროს, რომელიც ღმერთმა მოამზადა. ისტორიაში ეს დრო ცნობილია როგორც Pax ღომანა ("რომის სამყარო"), ეს არის რომის იმპერიაში სტაბილურობისა და სიმშვიდის ორასწლიანი პერიოდი. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიამ დაიპყრო ხმელთაშუა ზღვის ტერიტორია, ამან დაამკვიდრა სიმშვიდე, საერთო ენა, გადაადგილების ხელსაყრელი პირობები, საერთო კულტურა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო კეთილი უწყების სწრაფ გავრცელებას.

ბიბლიური თვალსაზრისით, ეს იყო დრო, რომელიც ღმერთმა განსაზღვრა დაპირებული მესიის მოსასვლელად (იხ. დან. 9:24-27).
რატომ უნდა მიეღო ქრისტეს ადამიანის სხეული, რათა გამოვესყიდეთ? იხ. იოან. 1:14; გალ. 4:4,5; რომ. 8:3,4; 2კორ. 5:21; ფილიპ. 2:5-8; ებრ. 2:14-18; 4:14,15.
წმიდა წერილში გალ. 4:4 შეიცავს სახარების ყველაზე მოკლე გადმოცემებს. კაცობრიობის ისტორიაში ქრისტეს მოსვლა არ ყოფილა შემთხვევითი. "მოავლინა ღმერთმა თავისი ძე". სხვა სიტყვებით, ღმერთმა ინიციატივა გამოიჩინა ადამიანთა გადასარჩენად.
ეს სიტყვები შეიცავს ქრისტიანთა რწმენას ქრისტეს ღვთიუობაში (იხ. იოან. 1:1-3,18; ფილიპ. 2:5-9; კოლ. 1:15-17). ღმერთს არ გამოუგზავნია ზეციური მაცნე, იგი თავად მოვიდა.
იესო იყო ღვთის ზეციერი მარადიული ძე, მაგრამ დედამიწაზე მოსვლისას იგი "დედაკაცისაგან იშვა", რაც მის ადამიანურ ბუნებაზე მიუთითებს.
ფრაზა "დაემორჩილა რჯულს" მიუითითებს იესოს არა მხოლოდ იუდეველურ მემკვიდრეობაზე, არამედ გულისხმობს იმ ფაქტსაც, რომ მან საკუთარ თავზე აიღო ჩვენი განკითხვა.
ქრისტესთვის აუცილებელი იყო ჩვენი ბუნების მიღება, რადგან ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია საკუთარი თავის ხსნა. მას შემდეგ, რაც ქრისტემ გააერთიანა თავის ღვთაებრივი ბუნება და ჩვენი ადამიანური, შეძლო გამხდარიყო ჩვენი შემცვლელი, მხსნელი და მღვდელმთავარი. როგორც მეორე ადამი, იგი მოვიდა, რათა დაებრუნებინა ყველაფერი, რაც პირველმა ადამმა თავისი დაუმორჩილებლობის გამო დაკარგა (იხ. რომ. 5:12-21). უფალმა თავისი მორჩილებით სრულად აღასრულა რჯულის მოთხოვნები და გამოისყიდა ადამის ტრაგიკული შეცდომა. ხოლო ჯვარზე თავისი სიკვდილით მან დააკმაყოფილა რჯულის მართლმსაჯულება, რომელიც ითხოვდა ცოდვილის სიკვდილს. ამიტომ იესომ უფლება მიიღო, გამოვესყიდეთ ყველანი, ვინც უარყოფს საკუთარ "მეს" და რწმენით მივა მასთან.

ოთხშაბათი
16 აგვისტო
შვილად აყვანის უპირატესობა
(გალ. 4:5-7)
გალ. 4:5-7-ში პავლე ავითარებს თავის აზრს და ხაზს უსვამს, რომ ქრისტე მოვიდა, რათა "რჯულის ქვეშ მყოფნი გამოესყიდა" (მუხ. 5). "გამოსყიდვის" ერთ-ერთი მნიშვნელობაა "დახსნა". იგი გულისხმობს განსაზღვრულ საფასურს, რომელიც შეაქვთ მძევლის ან მონისთვის. როგორც ვხედავთ, ადამიანს სჭირდება გათავისუფლება, მაგრამ თავისთავად არ შეუძლია ამ თავისუფლების მოპოვება.
რისგან უნდა გავთავისუფლდეთ? ახალი აღთქმა ასახელებს ასეთ ოთხ ელემენტს:
1. გათავისუფლება ეშმაკისა და მისი ხრიკებისაგან (იხ. ებრ. 2:14,15).
2. გათავისუფლება სიკვდილისგან (იხ. 1კორ. 15:56,57).
3. გათავისუფლება ცოდვის ძალაუფლებისგან, რომელიც გვიმონებს (იხ. 6:22).
4. გათავისუფლება რჯულის განკითხვისაგან (იხ. რომ. 3:19-24; გალ. 3:13; 4:5).
გამოსყიდვასთან ერთად კიდევ რა გვიბოძა ქრისტემ? იხ. გალ. 4:5-7; ეფეს. 1:5; რომ. 8:15,16,23; 9:4,5.
ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ ქრისტემ გვაჩუქა ხსნა. თუმცა ეს სწორი სიტყვაა, მაგრამ არ არის იმდენად ნათელი და ზუსტი, რომელსაც პავლე იყენებს. მისი უნიკალური ტერმინია "ჰიუიოტესია" ("შვილად აყვანა"). თუმცა პავლე ერთადერთია ახალაღთქმისეულ ავტორებს შორის, ვინც ამ სიტყვას იყენებს, მაგრამ შვილად აყვანა ცნობილი იურიდიული პროცედურა იყო ბერძნულ-რომაულ სამყაროში. პავლეს დროს იმპერატორები, რომელთაც არ ჰყავდათ კანონიერი მემკვიდრე, შვილად აყვანის მეშვეობით ირჩევდნენ მას.
"შვილად აყვანა იძლეოდა გარკვეულ უპირატესობებს:

1. ნაშვილები ხდებოდა შვილად ამყვანის ჭეშმარიტი შვილი.
2. შვილად ამყვანი მოვალე იყო, სათანადოდ აღეზარდა ბავშვი და დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნები საჭმელსა და ტანსაცმელში.
3. შვილად ამყვანი ვერ უარყოფდა ნაშვილებს.
4. შვილი ვერ იქცეოდა მონად.
5. ბავშვის ბიოლოგიური მშობლები ვერ მოითხოვდნენ მის დაბრუნებას.
6. შვილად აყვანა იძლეოდა მემკვიდრეობის მიღების უფლებას" (Dერეკ ღ. Mორრე-ჩრისპინ, "Gალატიანს 4:1-9: თჰე Uსე ანდ Aბუსე ოფ Pარალლელს", თჰე Eვანგელიცალ Qუარტერლყ, ვოლ. LXI/Nო. 3 (1989),პ. 216).
თუკი ყველა ამ უფლებას იძლეოდა ამქვეყნიური კანონი, წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდ უპირატესობებს მიიღებს ღვთის მიერ ყოველი ნაშვილები!
წაიკითხეთ გალ. 4:6 და გახსოვდეთ, რომ ებრაული სიტყვა "აბბა" იყო შვილის ძალიან პირადი მიმართვა მამასთან, როგორც დღეს არის სიტყვა "მამა". იესომ ეს სიტყვა გამოიყენა ლოცვაში (იხ. მარკ. 14:36) და ღვთის შვილებსაც უპირატესობა აქვთ, უწოდონ ღმერთს "აბბა". თქვენსა და ღმერთს შორის ურთიერთობაც ასეთი ახლოა თუ არა? თუკი არა, მაშინ რაშია პრობლემა? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ მიაღწიოთ ასეთივე სიახლოვეს?

ხუთშაბათი
17 აგვისტო
რატომ დავუბრუნდეთ მონობას?
(გალ. 4:8-20)
წაიკითხეთ გალ. 4:8-20. მოკლედ ჩამოაყალიბეთ პავლეს სიტყვების აზრი. რამდენად სერიოზულად უდგება იგი გალატელებს შორის ცრუ სწავლებების გაჩენას?
პავლე არ აღწერს გალატელთა რელიგიური წეს-ჩვეულებების ბუნებას, მაგრამ აშკარად საუბრობს თაყვანისცემის ცრუ სისტემაზე, რომელმაც ისინი სულიერ მონობამდე მიიყვანა.

მოციქული მას იმდენად საშიშად და გამანადგურებლად მიიჩნევდა, რომ წერს ასეთ მხურვალე წერილს, იძლევა თავის ენაწყლიან მოწმობას და გალატელებს აფრთხილებს, რომ მათი ქმედებები ნებაყოფლობით უარყოფს შვილობის სტატუსს და მოიპოვებს მონის სტატუსს.
პავლე არ ააშკარავებს დეტალებს, მაგრამ გალატელთა რომელ ქმედებებს მიიჩნევს იგი გაკიცხვის ღირსად? იხ. გალ. 4:9-11. ბევრი პავლეს სიტყვებს "დღეებს იცავთ თქვენ და თვეებს, ვადებსა და წელიწადებს" (გალ. 4:10) განმარტავს ისე, თითქოს იგი წინააღმდეგია არა მხოლოდ ცერემონიალური კანონისა, არამედ შაბათისაც. თუმცა ასეთი განმარტება მცდარია. პირველ რიგში, პავლეს მართლაც სურვილი რომ ჰქონოდა გამოეყო შაბათი და იუდეველთა სხვა წესები, იგი მათ უბრალოდ ჩამოთვლიდა, როგორც კოლ. 2:16-ში. მეორე მხრივ, პავლე გასაგებად ამბობს: რაც არ უნდა გაეკეთებინათ გალატელებს, ამან წაართვა მათ ღვთისგან ბოძებული თავისუფლება და მიიყვანა მონობამდე. "თუკი მეშვიდე დღის, შაბათის დაცვა ამონებდა ადამიანს, მაშინ თავად შემოქმედიც აღმოჩენილა დამონებულ მდგომარეობაში, როცა ჩვენი სამყაროს ისტორიაში დაიცვა პირველი შაბათი!" (მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 967). გარდა ამისა, იესო არა მხოლოდ იცავდა შაბათს, არამედ სხვასაც ასწავლიდა მის დაცვას და რატომ აკეთებდა ამას, თუკი ეს თავისუფლებას ჩამოართმევდა? იხ. მარკ. 2:27,28; ლუკ. 13:10-16. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა თქვენს სფეროში არსებობდეს წესები და ტრადიციები, რომლებიც გართმევთ თავისუფლებას ქრისტეში? ან იქნება პრობლემა ტრადიციაში კი არ მდგომარეობს, არამედ ჩვენს დამოკიდებულებაში მის მიმართ? როგორ შეუძლია არასწორ დამოკიდებულებას, მიგვიყვანოს ისეთივე მონობამდე, რომლის შესახებაც გალატელებს აფრთხილებდა შეწუხებული პავლე?

პარასკევი
18 აგვისტო

შემდგომი გამოკვლევისათვის

"ზეციურ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ადამიანები, თუმცა კი იქცნენ დამნაშავეებად, არ უნდა დაღუპულიყვნენ თავიანთ დაუმორჩილებლობაში, არამედ ქრისტეს, როგორც თავიანთ ჩამნაცვლებლისა და შუამდგომელის რწმენით შეეძლებოდათ გამხდარიყვნენ ღვთის რჩეულები, რომლებსაც იესო ქრისტე თავისთვის იშვილებდა საკუთარი კეთილი ნებით. ღმერთს სურს, რომ ყველა გადარჩეს, მან დიდი ფასი გადაიხადა, მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა გამოესყიდა ადამიანები. ის, ვინც დაიღუპება, იმიტომ დაიღუპება, რომ უარი განაცხადა, მიეღო ღვთის შვილობა იესო ქრისტეს მეშვეობით. ადამიანის სიამაყე ხელს უშლის, რომ მიიღოს ხსნის ძღვენი. მაგრამ ადამიანთა დამსახურებები ღვთის წინაშე ვერ გაამართლებენ პიროვნებას. მხოლოდ ქრისტეს მიერ რწმენით და მისი სახელით მოცემული მადლი გაამართლებს ადამიანს ღმერთის წინაშე. საქმეები და გრძნობები, რომელთაც ადამიანები განიცდიან, არანაირად არ არის დაკავშირებული იმის დარწმუნებასთან, რომ ადამიანები არიან ღვთის რჩეულები; რადგან ადამიანები გადარჩებიან ქრისტეს მეშვეობით" (ე. უაითი. ქრისტეში რჩეულები//დროთა ნიშნები, 2 იანვარი 1893 წ.).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს, იყო ბავშვის მსგავსი თქვენსა და უფალს შორის ურთიერთობაში? ბავშვის რა განსაკუთრებულობები უნდა გადმოვიღოთ ჩვენი რწმენისთვის? როგორ შეგვიძლია უკიდურესობაში ჩავვარდეთ ამ საკითხში? იმსჯელეთ თქვენს პასუხებზე.
2. რატომ ეშინიათ ადამიანებს მხოლოდ რწმენით გამართლების სწავლების? რატომ მიანიჭებდა ბევრი უპირატესობას, დაემსახურებინა გამართლება საქმეებით, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა?
3. იმსჯელეთ ჯგუფში ხუთშაბათი დღის ბოლო შეკითხვაზე. როგორ შეგვიძლია კვლავ ჩავცვივდეთ მონობაში, რომლისგანაც

ოდესღაც გავთავისუფლდით? როგორ შეგვიძლია ამოვიცნოთ ეს მონობა და გავთავისუფლდეთ მისგან?
დასკვნა: ქრისტეში ყველანი გავხდით ღვთის ძეები და ასულები, რადგან მან გვიშვილა. როგორც ღვთის შვილებმა, მივიღეთ ასეთი ოჯახური ურთიერთობების ყველა უფლება და უპირატესობა. უგუნური იქნებოდა ღმერთთან ურთიერთობა მხოლოდ წესებისა და კანონების საფუძველზე. ეს იმას ჰგავს, შვილმა უარი რომ განაცხადოს თავის მდგომარეობასა და მემკვიდრეობაზე, რათა იქცეს მონად.

9 გაკვეთილი 19 - 25 აგვისტო პავლეს პასტორული წერილი

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 4:12-20; 1კორ. 11:1; ფილიპ. 3:17; 1კორ. 9:19-23; 2კორ. 4:7-12.
სამახსოვრო მუხლი: "იყავით ჩემისთანები, ვინაიდან მეც თქვენისთანა ვარ, ძმებო, გევედრებით" (გალ. 4:12).
როგორც უკვე დავინახეთ, გალატელთა მიმართ წერილში პავლე არ ცდილობდა გამონათქვამების შერბილებას. თუმცა მოციქულის სერიოზული სიტყვები ასახავდა მხოლოდ მის უდიდეს სურვილს, რომ მის მიერ დაარსებული ეკლესია ენახა სულიერ კეთილდღეობაში. პავლე არა მხოლოდ აყალიბებს მნიშვნელოვან თეოლოგიურ საკითხს, არამედ უფრო ფართო გაგებით აჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჭეშმარიტი დოქტრინა. თუკი არ არის ასეთი მნიშვნელოვანი ის, რისიც გვწამს, თუკი დოქტრინებს არ აქვთ მნიშვნელობა, მაშინ რატომ არის პავლე თავის წერილში ასეთი კატეგორიული და უდრეკი? პასუხი ერთია: ის, რისიც გვწამს, მეტისმეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი კეთილი უწყების საკითხში.
გალ. 4:12-20-ში პავლე აგრძელებს თავის აზრს, თუმცა მიდგომას ოდნავ ცვლის. ადრე პავლემ მოიყვანა რამდენიმე დაწვრილებითი, თეოლოგიურად რთული არგუმენტი, რათა გალატელები დაერწმუნებინა მათი მსჯელობის სიმცდარეში. ახლა კი იგი გადადის პირად პასტორულ მიმართვაზე.

განსხვავებით ცრუმასწავლებლებისგან, რომლებიც გულწრფელად არ არიან დაინტერესებულნი გალატელებით, პავლე, როგორც თავისი სამწყსოს კარგი მწყემსი, ამჟღავნებს ჭეშმარიტ ინტერესს, განცდას, იმედსა და სიყვარულს. იგი არა მხოლოდ ასწორებს მათ თეოლოგიურ შეხედულებებს, არამედ ცდილობს ემსახუროს მათ, ვინც უყვარს.

კვირადღე
20 აგვისტო
პავლეს გული
წაიკითხეთ გალ. 4:12-20. რა ძირითადი აზრი დევს ამ ნაწყვეტში? განცდა და შფოთი პავლეს მძიმე ტვირთად აწევს გულზე. იგი გულში ჩამწვდომად მიმართავს გალატელებს(იხ. მუხ. 12). ეს მიმართვა ჟღერს თხოვნის შემდეგვე: "იყავით ჩემისთანები". სამწუხაროდ, სიტყვის "გევედრებით"-ის თარგმანი სრულად ვერ გადმოსცემს ბერძნული მრავალმხრივი სიტყვის "დეომაი"-ს მნიშვნელობას. თუმცა შეიძლება ეს სიტყვა ვთარგმნოთ როგორც "თხოვნა", "ვედრება", მაგრამ ბერძნულ ორიგინალში ამ თხოვნაში ჩადებული იმედგაცრუების უფრო ძლიერი ელფერი ჩანს (იხ. 2კორ. 5:20; 8:4; 10:2). პავლე თითქმის ეუბნება: "გემუდარებით!" პავლე არ წუხს მხოლოდ თეოლოგიურ იდეებსა და დოქტრინალურ შეხედულებებზე. იგი ღელავს იმ ადამიანებზე, რომლებიც მისი მსახურების შედეგად მოვიდნენ ქრისტესთან. მოციქული მათ მეგობრებზე ან რწმენით თანამოძმეებზე უფრო მეტად მიიჩნევდა. იგი იყო მათი სულიერი მამა, ისინი კი - მისი შვილები. უფრო მეტიც, პავლე თავის განცდებს გალატელებთან დაკავშირებით ადარებს ღელვასა და ტანჯვას, რომელთაც განიცდის დედა შვილის გაჩენის დროს (იხ. გალ. 4:19). ახლა, როცა გალატელები განუდგნენ ჭეშმარიტებას, პავლე კვლავ განიცდის მთელ ტკივილს და სურს, უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა.

რა მიზნისკენ მიჰყავდა პავლეს გალატელები? რა შედეგს ელოდა იგი "მშობიარობისგან", რომელთაც კვლავ ითმენდა მათი გულისთვის? იხ. გალ. 4:19.
პავლე საკუთარ თავზე საუბრობს, როგორც დედაზე, რომელიც ელის შვილს. სიტყვა "გამოისახება" გამოიყენება როგორც სამედიცინო ტერმინი, რომელიც ნიშნავს ემბრიონის განვითარებას. ამ მეტაფორით პავლე განმარტავს, თუ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი როგორც პირად, ასევე ეკლესიურ ცხოვრებაში. იყო ქრისტეს მიმდევარი, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვით აღიარო შენი რწმენა. ქრისტიანი არის ის, ვინც რადიკალურად იცვლება ერთი მიზნით: დაემსგავსოს ქრისტეს. პავლე "გალატელებში ეძებდა არა უმნიშვნელო ცვლილებებს, არამედ ისეთებს, რომ მათ ცხოვრებაში გამომჟღავნებულიყო ქრისტეს ხასიათი" (Lეონ Mორრის, Gალატიანს, პ. 142). მჟღავნდება თუ არა ქრისტეს ხასიათი თქვენს ცხოვრებაში? თქვენი ცხოვრების რომელი სფეროების შეცვლა გესაჭიროებათ აუცილებლად?

ორშაბათი
21 აგვისტო
"იყავით ჩემისთანები"
წაიკითხეთ 1კორ. 11:1; ფილიპ. 3:17; 2თეს. 3:7-9 და საქმე. 26:28,29. ამ მუხლების მიხედვით რომელი აზრი არის ასახული გალ. 4:12-ში? როგორ უნდა გვესმოდეს იგი?
პავლე თავის წერილებში რამდენჯერმე მოუწოდებს ქრისტიანებს, რომ მას მიბაძონ. ყოველ სიტუაციაში იგი თავს მიიჩნევს ავტორიტეტულ მაგალითად, რომელსაც მორწმუნეები უნდა მიჰყვებოდნენ. 2თეს. 3:7-9-ში პავლე თავის მაგალითზე უჩვენებს თესალონიკელებს, თუ როგორ უნდა გამოიმუშავონ იქაურმა მორწმუნეებმა საარსებოდ საჭირო სახსრები, რათა სხვები არ დაამძიმონ. 1კორ. 11:1-ში პავლე კორინთელებს მოუწოდებს, მიბაძონ მის მაგალითს და პირველ რიგში ეძებონ სხვების

სარგებელი. მაგრამ მისი წუხილი გალატელებზე ცოტაოდენ განსხვავებულია.
გალ. 4:12-ში პავლე არ სთხოვს გალატელებს, მიბაძონ მას. იგი მოუწოდებს მათ "გახდნენ" ისეთები, როგორიც თავად არის. პავლე საუბრობს არსზე და არა ქმედებებზე. რატომ? გალატიაში პრობლემა მდგომარეობდა არა ამორალურ ქცევაში ან ღმერთისთვის არასასიამოვნო ცხოვრების სტილში, როგორც ეს კორინთოში იყო. გალატელთა განდგომა ეხებოდა თავად ქრისტიანობის არსს, მის შინაგან რაობას, და არა პრაქტიკულ ცხოვრებას. პავლე არ ამბობს: "მოიქეცით, როგორც მე", არამედ ხაზს უსვამს: "იყავით ჩემისთანები". ზუსტად ასეთივე სიტყვებს, როგორიცაა გალ. 4:12-ში, ვხედავთ პავლეს მიმართვაში საქმე. 26:29-ში ჰეროდე აგრიპა მეორესთან მიმართებაში: "ღმერთს ვევედრები, რომ მალე თუ გვიან არა მარტო შენ, არამედ ყველა, ვინც დღეს მე მისმენს, ისეთი გახდეს, როგორც მე ვარ, გარდა ამ ბორკილებისა". პავლე საუბრობს თავის ქრისტიანულ გამოცდილებასა და რწმენაზე, რომელიც მხოლოდ ქრისტეს ემყარება. იგი ენდობა არა თავის რჯულის საქმეებს, არამედ ქრისტეს, ვინაიდან იცის, თუ რა გააკეთა ქრისტემ მისთვის. გალატელები ყურადღებას უფრო თავიანთ ქცევაზე ამახვილებდნენ და არა იესოსთან ერთიანობაზე.
და თუმცა პავლე არ აზუსტებს, თუ რა სახით უნდა იქცნენ გალატელები ისეთები, როგორიც იგია, მაგრამ გალატიაში არსებული სიტუაცია მოწმობს: ეს მოთხოვნები არ მიეკუთვნებოდა მისი ცხოვრების დეტალებს. რადგანაც მოციქული წუხდა გალატელთა რწმენის შესახებ, რომელიც ორიენტირებული იყო მხოლოდ რჯულზე, ნათელია, პავლეს მხედველობაში ჰქონდა საოცარი სიყვარული, სიხარული, თავისუფლება და დარწმუნებულობა ხსნაში, რომლებიც იესოში მოიპოვა. ქრისტეში გადარჩენის კუთხით მან ისწავლა, რომ სხვა ყველაფერი დანარჩენი მიიჩნიოს უმნიშვნელოდ (იხ. ფილიპ. 3:5-

9). მას სურდა, რომ გალატელებს თავად ჰქონოდათ მსგავსი გამოცდილება.
ადამიანებიდან ვინ არის თქვენთვის ყველაზე სამაგალითო? ამ ადამიანის რომელ თვისებებს მიიჩნევთ ღირებულად, რომ დაემსგავსოთ ამაში და როგორ შეგიძლიათ უკეთესად განავითაროთ ისინი თქვენს ცხოვრებაში?

სამშაბათი
22 აგვისტო
"ვინაიდან მეც თქვენისთანა ვარ"
წაიკითხეთ 1კორ. 9:19-23. ამ ნაწყვეტში არსებული პავლეს რომელი სიტყვები გეხმარებათ უკეთ გააცნობიეროთ გალ. 4:12 მუხლის მეორე ნაწილის არსი? იხ., აგრეთვე საქმე. 17:16-34; 1კორ. 8:8-13; გალ. 2:11-14.
გალ. 4:12 შეიძლება ცოტა გაუგებარი გვეჩვენოს. რატომ უნდა გახდნენ გალატელები პავლესნაირები, თუკი იგი, პავლე, უკვე ისეთია, როგორებიც ისინი არიან?
პავლეს სურდა, რომ ისინი დამსგავსებოდნენ ქრისტეს რწმენაში და დარწმუნებაში იმისა, რომ იგი სრულიად საკმარისია გამართლებისთვის. მისი სიტყვები, რომ იგი ისეთივე გახდა, როგორებიც ისინი, გვახსენებს: თუმცა იგი იუდეველი იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, გახდა წარმართი "რჯულის გარეშე", რათა წარმართებისთვის მიეტანა სახარება. როგორც წარმართთა სამყაროს დიდი მისიონერი, პავლე კეთილ უწყებას უქადაგებდა იუდეველებსაც და წარმართებსაც. 1კორ. 9:19-23-ის თანახმად, თუმცა თავად სახარება უცვლელი იყო, მაგრამ პავლეს მეთოდები იცვლებოდა მისი აუდიტორიის მიხედვით.
"პავლე პიონერი იყო იმაში, რასაც დღეს ვუწოდებთ კონტექსტუალიზაციას ანუ კეთილი უწყების ისეთ გადაცემას, რათა თითოეულს მიმართონ მისი მენტალიტეტის გათვალისწინებით" (თიმოტჰყ Gეორგე, თჰე Nეწ Aმერიცან ჩომმენტარყ: Gალატიანს, პ. 321).

ამავდროულად 1კორ. 9:21-ში პავლე გვიჩვენებს, თუ ადამიანს რაოდენ შორს შეუძლია წავიდეს სახარების კონტექსტუალიზაციაში. მაგალითად, იგი გვეუბნება: თუმცა ადამიანი თავისუფალია, რომ სხვადასხვაგვარად უქადაგოს იუდეველებსა და წარმართებს, მაგრამ ეს თავისუფლება არ გულისხმობს იცხოვროს ისე, რომ არ დაემორჩილოს რჯულს, რადგან ქრისტიანი არის "ქრისტეს რჯულის ქვეშ მყოფი". შეიძლება კონტექსტუალიზაცია იყოს რთული, მაგრამ "იქამდე, სანამ შეგვიძლია განვაცალკევოთ სახარების არსი კულტურული გარსისგან, კონტექსტში მოვიყვანოთ ქრისტეს შესახებ უწყება და არ დავამახინჯოთ მისი არსი, ჩვენც პავლეს ვბაძავთ" (იქვე, გვ. 321,322).
ადვილია სახარების დამახინჯება, საკუთარ თავზე მორგება, ასე არ არის? ხანდახან ადამიანი რაც უფრო დიდხანს არის ქრისტიანი, მით უფრო ადვილად მიდის კომპრომისზე. რატომ ხდება ეს? დაფიქრდით საკუთარ თავზე. რამდენად შემოიჭრა კომპრომისები თქვენს ცხოვრებაში და როგორ ამართლებდით მათ? როგორ შეგიძლიათ გათავისუფლდეთ მათგან იქ, სადაც ეს აუცილებელია?

ოთხშაბათი
23 აგვისტო
მაშინ და ახლა
პავლესა და გალატელ მორწმუნეებს შორის ურთიერთობა ყოველთვის არ ყოფილა ასეთი რთული. პავლე ახსენებს იმ დროს, როდესაც გალატიაში პირველად ქადაგებდა სახარებას. იგი თბილად ახსენებს იმას, თუ რაოდენ კარგად მოექცნენ გალატელები მას. მაშ რაღა მოხდა?
სავარაუდოდ, რა ვითარებებმა იმოქმედეს პავლეს გადაწყვეტილებაზე, რომ ექადაგა გალატიაში? იხ. გალ. 4:13. სავარაუდოდ, თავდაპირველად პავლე არ გეგმავდა გალატიაში დიდხანს ყოფნას. მაგრამ გზაში რაღაცით დაავადდა და იძულებული შეიქნა, დარჩენილიყო უფრო დიდხანს, ვიდრე

გეგმავდა ან ჩასულიყო გალატიაში სამკურნალოდ. ზუსტად რით დაავადდა პავლე, საიდუმლოდ რჩება. ერთნი ვარაუდობენ, რომ მას გადაედო მალარია, სხვები ფიქრობენ, რომ ეს იყო თვალების დაავადება. ასეთი ვარაუდები ემყარება პავლეს სიტყვებს, რომ გალატელები მზად იყვნენ "თვალები ამოეთხარათ" და მისთვის მიეცათ (გალ. 4:15). დაავადება შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო "ეკალთან სხეულში", რომლის შესახებაც იგი საუბრობს 2კორ. 12:7-9-ში.
რითაც არ უნდა ყოფილიყო დაავადებული პავლე, იგი მიუთითებს: დაავადება იმდენად არასასიამოვნო იყო, რომ გალატელებისთვის გამოცდად იქცა. სამყაროში, სადაც დაავადება ხშირად ითვლებოდა ღვთის განკითხვის ნიშნად (იხ. იოან. 9:1,2; ლუკ. 13:1-4), იგი შეიძლება გალატელთათვის გამხდარიყო პავლესა და მისი უწყების უარყოფის საბაბი. მაგრამ მათ სუფთა გულით მიიღეს მოციქული. რატომ? იმიტომ, რომ ჯვარცმული ქრისტეს შესახებ ქადაგება (იხ. გალ. 3:1) და სულიწმიდის ზეგავლენა შეეხო მათ გულებს. მაშ ახლა როგორ უნდა აეხსნათ პავლეს მიმართ თავიანთი დამოკიდებულების ცვლილება? რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ პავლე დატანჯულიყო? როგორ უნდა ემსახურა მოციქულს სხვებისთვის, თუკი თავად იტანჯებოდა? იხ. რომ. 8:28; 2კორ. 4:7-12; 12:7-10.
როგორიც არ უნდა ყოფილიყო პავლეს დაავადება, ნათელია, იგი სერიოზული იყო. მოციქულს ადვილად შეეძლო მისი გამოყენება, რათა დაეჩივლა ღმერთის წინაშე თავისი პრობლემების გამო ან უბრალოდ აღარ ექადაგა და დაყრდნობოდა ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობას. მაგრამ პავლემ ეს არ გააკეთა. მან სიტუაციას ნება არ დართო, გაეტეხა იგი, არამედ ის გამოიყენა როგორც შესაძლებლობა, რათა უფრო მეტად დაყრდნობოდა ღვთის წყალობას. "ღმერთი კვლავ და კვლავ იყენებდა ცხოვრებისეულ სირთულეებს: დაავადებას, დევნას, სიღარიბეს, ბუნებრივ კატაკლიზმებსაც კი და აუხსნელ ტრაგედიებს, რათა თავისი მოწყალება და მადლი გამოეჩინა და

ხელი შეეწყო კეთილი უწყების გავრცელებისთვის" (თიმოტჰყ Gეორგე, Gალატიანს, პ. 321,322).
როგორ შეგვიძლია განსაცდელსა და ტანჯვაში უკეთ გავიცნოთ ღმერთი? რა ალტერნატივა არსებობს?

ხუთშაბათი
24 აგვისტო
ჭეშმარიტებას გელაპარაკებით
წაიკითხეთ გალ. 4:16. რაზე საუბრობს აქ პავლე? სად და როდის გამოგიცდიათ მსგავსი რამ? იხ. იოან. 3:19; მათ. 26:64,65; იერ. 36:17-23.

გამონათქვამს "ჭეშმარიტებას გელაპარაკებით" ხშირად უარყოფითი ელფერი აქვს, განსაკუთრებით დღევანდელ დროში. ახლა შეიძლება იგი აღიქვან, როგორც ფაქტების გადმოცემის მკაცრი, დაუნდობელი პრინციპი, როგორი არასასიამოვნო ან არასასურველი ფაქტებიც არ უნდა იყოს. რომ არა გალ. 4:12-20-ში და მისი წერილის კიდევ სხვა რამდენიმე ადგილას ჩაწერილი პავლეს სიტყვები (იხ. გალ. 6:9,10), შეიძლება შეცდომით დაგვესკვნა, რომ პავლეს მისწრაფება, თქვას სიმართლე, უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულის ნებისმიერი გამოხატულება. მაგრამ როგორც ვხედავთ, პავლე კი განიცდიდა, რომ გალატელებს შეეცნოთ "სახარების ჭეშმარიტება" (გალ. 2:5,14), თუმცა ეს განცდა ემყარებოდა მათდამი სიყვარულს. რომელმა ჩვენგანმა არ იცის, თუ რაოდენ მტკივნეულია ვინმეს გაკრიტიკება ან უბრალოდ თქმა სიმართლისა, რომლის მოსმენაც მას არ სურს გარკვეული მიზეზების გამო? მაგრამ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ვზრუნავთ ადამიანზე და არა იმიტომ, რომ ტკივილის მიყენება გვსურს. თუმცა ხშირად ჩვენს ნათქვამზე პირველი რეაქცია შეიძლება იყოს: ტკივილი, გაბოროტება ან წყენა, მაგრამ მაინც ვეუბნებით მათ, რადგან ვიცით: როგორც არ უნდა გვეწინააღმდეგებოდეს ადამიანი, მან უნდა მოისმინოს ეს.

რას ამბობს პავლე იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც უპირისპირდება? გარდა მათ მიერ წამოყენებული ღვთისმეტყველებისა, კიდევ რის წინააღმდეგ გამოდის მოციქული? იხ. გალ. 4:17-20.
პავლე ღიად საუბრობს და საშიშროება ემუქრება, გამოიწვიოს გალატელთა გაღიზიანება. მისი მოწინააღმდეგეები კი პირიქით, აქტიურად ეძებდნენ გალატელთა კეთილგანწყობას, მაგრამ არა მათდამი სიყვარულის გამო, არამედ თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე. მთლიანად გასაგები არ არის, თუ რა აქვს პავლეს მხედველობაში, როცა ამბობს, რომ მის მოწინააღდეგეებს სურდათ "ჩამოშორება". ალბათ, აქ საუბარი მიდის მცდელობაზე ჩამოაშორონ ისინი კურთხევების უპირატესობებს, სანამ არ მიიღებენ წინადაცვეთას.
გაიხსენეთ შემთხვევები, როცა თქვენზე ნაწყენი იყო ვინმე თქვენივე სიტყვების გამო, რაოდენ მართალი და საჭიროც არ უნდა ყოფილიყო ისინი. როგორ დაგეხმარებათ ეს გამოცდილება მომავალში, როცა მოგიწევთ რაიმე მსგავსის გამეორება?

პარასკევი
25 აგვისტო
შემდგომი გამოკვლევისათვის
"გალატიის ეკლესიებში მახარობლური უწყება განიდევნა აშკარა, დაუფარავი სიცრუით. მათ ქრისტე, რწმენის ჭეშმარიტი საფუძველი, ფაქტობრივად გაცვალეს იუდაიზმის მოძველებულ წეს-ჩვეულებებზე. მოციქულს ესმოდა, რომ უნდა მიეღო ყველაზე გადამწყვეტი ზომები და გამოსულიყო უმკაცრესი გაფრთხილებით, რათა გალატიის მორწმუნეები საშიში ზეგავლენისგან გადაერჩინა.
ქრისტეს ყოველი მსახური პავლესგან უნდა სწავლობდეს მუშაობის მეთოდების შეცვლის ხელოვნებას იმ ადამიანთა მდგომარეობის შესაბამისად, რომელთა დახმარებაც სურს. სხვადასხვა შემთხვევაში საჭიროა ან სირბილე და მოთმინება, ან გაბედულება და სიმტკიცე. ბრძნულად რომ მოიქცე სხვადასხვა

კატეგორიის ადამიანებთან მიმართებაში, საჭიროა გონიერება და საღად აზროვნება, განათლებული და კურთხეული სულიწმიდის მიერ …
პავლე ევედრებოდა მათ, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ უკვე ჰქონდა გამოცდილი ღვთის ძალის ქმედება, დაბრუნებოდნენ პირველ სიყვარულს. იგი უდაოდ ამტკიცებდა, რომ მათ უდიდესი უპირატესობა გააჩნიათ, გახდნენ თავისუფლები ქრისტეში, რომლის მადლითაც ყველა, ვინც სრულად დაემორჩილა მას, იმოსება მისი სიმართლით. იგი დაჟინებით მოითხოვდა იმას, რომ ყველას, ვისაც სურს გადარჩეს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ღმერთთან პირადი სულიერი გამოცდილება.
მოციქულის გულწრფელ ვედრებებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სულიწმიდა მოქმედებდა დიდი ძალით და მრავალმა, ვინც მცდარ გზას დაადგა, მოიპოვა სახარების უწინდელი რწმენა. მას შემდეგ ისინი მტკიცენი იყვნენ თავისუფლებაში, რომელიც მათ ქრისტემ მიანიჭა" (ე. უაითი. მოციქულთა საქმეები, გვ. 385,386,388).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. დაფიქრდით სატანჯველებზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლია ღმერთს მათი გამოყენება. როგორ გავუმკლავდეთ სიტუაციას, რომელიც, როგორც გვეჩვენება, არანაირად არ არის სასიკეთო, არაფერი კარგი არ მოაქვს?
2. დაფიქრდით იმაზე, რომ "ჩვენში აირეკლება ქრისტე". რას ნიშნავს ეს პრაქტიკული თვალსაზრისით? რა ცვლილებები ხდება ჩვენში? რატომ არ უნდა დაგვწყდეს გული, თუკი ეს არ ხდება ისე სწრაფად, როგორც გვინდოდა?
დასკვნა: ცოტა ადრე პავლემ მოიყვანა რამდენიმე დაწვრილებითი, თეოლოგიურად რთული არგუმენტი, რათა დაერწმუნებინა გალატელები მათი მსჯელობის სიმცდარეში. ახლა კი იგი პირად პასტორულ მიმართვაზე გადადის. იგი ევედრება, რომ ყური უგდონ მის რჩევას, ახსენებს მათ შორის არსებულ უწინდელ კარგ ურთიერთობებს, გულწრფელ

სიყვარულსა და შფოთს, რომელსაც მათ მიმართ განიცდის, როგორც სულიერი მამა.

10 გაკვეთილი 26 აგვისტო - 1 სექტემბერი ორი აღთქმა

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 4:21-31; დაბ. 1:28; 2:2,3; 3:15; 15:1-6; გამ. 6:2-8; 19:3:6.
სამახსოვრო მუხლი: "ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია: ის ყველა ჩვენგანის დედაა" (გალ. 4:26).
ქრისტიანები, რომლებიც უარყოფენ ძველი აღთქმის ავტორიტეტს, თვლიან, რომ სინაის მთაზე მოცემული რჯული არ ეთანხმება სახარებას. ისინი ასკვნიან, რომ სინაის მთაზე დადებული აღთქმა კაცობრიობის ისტორიაში იმ ეპოქის დასაწყისს, როცა ხსნა ემყარებოდა რჯულისადმი მორჩილებას. მაგრამ რაკი ადამიანებმა ვერ შეძლეს, ეცხოვრათ რჯულის მოთხოვნების შესაბამისად, მათი აზრით, ღმერთი იძულებული შეიქნა, დაედო ახალი აღთქმა, მადლის აღთქმა იესო ქრისტეს დამსახურებების მეშვეობით. ამაში მდგომარეობს ორი აღთქმის მათეული გაგება: ძველი, რჯულზე დამყარებული, და ახალი, მადლზე დამყარებული აღთქმები.
რაოდენ გავრცელებულიც არ უნდა იყოს ეს აზრი, იგი მცდარია. ადამიანს არასდროს შეეძლო ხსნის მოპოვება რჯულის დაცვით, ბიბლიური რელიგია დასაწყისიდანვე იყო მადლის რელიგია. მეკანონეობა, რომელსაც პავლე გალატიაში ებრძოდა, არა მხოლოდ ქრისტიანობის დამახინჯებას წარმოადგენდა, არამედ თავად ძველი აღთქმისასაც. ორი აღთქმა არ არის დროის ორი პერიოდი. ისინი ასახავს მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობას და წარმოადგენს ღმერთთან კავშირის დამყარების ორი გზას. ეს შესაძლებლობები თავიანთ საწყისს პოულობენ კაენსა და აბელში. ამ საშუალებათაგან ერთ-ერთი არის სიმბოლო იმ ადამიანებისა, რომლებიც კაენის მსგავსად, მცდარად ეყრდნობიან თავიანთ საქმეებს. ახალი აღთქმა კი სიმბოლოა იმ ადამიანთა გამოცდილებისა, ვინც აბელის მსგავსად, სრულად ეყრდნობოდა

ღვთის მადლს და სწამდა, რომ უფალი აღასრულებს ყველა თავის აღთქმას.

კვირადღე
27 აგვისტო
ბევრი თვლის, რომ პავლეს მიერ მოთხრობილი ისრაელის ისტორია (იხ. გალ. 4:21-31) მისი წერილის ყველაზე რთულად აღქმადი ნაწილია ძალიან რთული დასკვნების გამო, რადგან ითხოვს ძველი აღთქმის პერსონაჟებისა და მოვლენების ღრმა ცოდნას. ეს ნაწყვეტი რომ გავიგოთ, უნდა გავერკვეთ ძველაღთქმისეული აღთქმის კონცეფციაში, რასაც პავლეს დასკვნები ეყრდნობა.
ებრაული სიტყვა "ბერიტ", რომელიც თარგმნილია როგორც "აღთქმა", ძველ აღთქმაში თითქმის სამასჯერ გამოიყენება. იგი აღნიშნავს კონტრაქტს, შეთანხმებას ან მოლაპარაკებას. ათასობით წლების განმავლობაში აღთქმები წარმოადგენდა უცვლელ ნაწილს როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობაში, ასევე ერებს შორისაც ძველი ახლოაღმოსავლეთის ტერიტორიაზე. ხშირად აღთქმის (სიტყვასიტყვით "დაკვლების") დადების დროს კლავდნენ რაიმე სახის ცხოველს. ცხოველის სიკვდილი სიმბოლო იყო იმის ხვედრისა, ვინც არ აღასრულებდა მოლაპარაკების თავის ნაწილს.
"ადამიდან მოყოლებული იესომდე ღმერთი ურთიერთობდა კაცობრიობასთან იმ აღთქმების მეშვეობით, რომელთა ცენტრსაც წარმოადგენდა მომავალი მხსნელი და რომელთა კულმინაციადაც იქცა დავითის აღთქმა (იხ. დაბ. 12:2,3; 2მეფ. 7:12-17; ეს. 11). ისრაელს ბაბილონის ტყვეობაში ღმერთმა მისცა "უკეთესი "ახალი აღთქმა" (იერ. 31:31-34), რომელიც დაკავშირებულია დავითის შტოდან მესიის მოსვლასთან (ეზეკ. 36:26-28; 37:22-28)" (Hანს K. Lაღპნდელლე, Oურ ჩრეატორ ღედეემერ, პ. 4).
რა განკარგულებები მისცა ღმერთმა ადამს ედემის ბაღში ცოდვით დაცემამდე? იხ. დაბ. 1:28; 2:2,3,15-17.

ქორწინება, ფიზიკური შრომა და შაბათის დაცვა პირველი ადამიანისთვის კურთხევას წარმოადგენდა. თუმცა არსებობდა ღვთის ერთი აკრძალვა, რომ არ ეჭამათ სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის ნაყოფები. მორჩილება ბუნებრივი რამ იყო ადამიანებისთვის. მაგრამ ადამმა და ევამ გადაწყვიტეს გაეკეთებინათ ის, რაც მათთვის არაბუნებრივი იყო. ამით კი დაარღვიეს ღვთის განკარგულება. თავად ღმერთს უნდა აღედგინა ადამისა და ევას მიერ დარღვეული ურთიერთობები. ამისთვის მან დაადგინა მადლის აღთქმა, რომელიც ემყარებოდა მხსნელის შესახებ უცვლელ აღთქმას (იხ. დაბ. 3:15). წაიკითხეთ დაბ. 3:15, ბიბლიის პირველი სახარებისეული აღთქმა. ამ მუხლში სად არის ნაჩვენები ის იმედი, რომელსაც ქრისტე გვაძლევს?

ორშაბათი
28 აგვისტო
აღთქმა აბრაამთან
რა აღთქმა მისცა ღმერთმა აბრაამს დაბ. 12:1-5-ში? როგორ უპასუხა ამას აბრაამმა?
აბრაამთან დადებული ღვთის პირველი აღთქმა ძველაღთქმისეულ მუხლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. ეს მუხლები მეტყველებს ღვთის მადლის შესახებ. აღთქმებს იძლევა ღმერთი და არა აბრაამი. პატრიარქს არაფრით დაუმსახურებია ღვთის კეთილგანწყობა. არც არანაირი მითითება გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ღმერთი და აბრაამი ერთად მუშობდნენ ამ შეთანხმებაზე. ყველა აღთქმა ღმერთისგან გამომდინარეობს. აბრაამს კი უბრალოდ უნდა სწამდეს ღვთის აღთქმის სისწორე. მისი რწმენა არ უნდა იყოს სუსტი და ფორმალური. პატრიარქისთვის აუცილებელია გამოამჟღავნოს საკუთარი რწმენა, მიატოვოს ნათესავები (ის კი უკვე 75 წლის იყო!) და გაემგზავროს ღვთის მიერ აღთქმულ მიწაზე. "როდესაც ღმერთმა აკურთხა აბრაამი, მისი მეშვეობით კი ყოველი ადამიანი, ამით დაადასტურა თავისი განზრახვები, რომ

სურს იხსნას კაცობრიობა. მან სამოთხეში "აკურთხა" ადამი და ევა (იხ. დაბ. 3:15). ღმერთმა დაადასტურა თავისი განზრახვა, აკურთხოს "ყველა ერი" გადარჩენის თავისი უნიკალური გეგმის მეშვეობით" (Hანს K. Lაღონდელლე, Oურ ჩრეატორ ღედეემერ, პ. 22,23).
აბრაამი აღთქმულ ძეს მრავალი წელი ელოდა. რა შეკითხვები უჩნდებოდა მას ღვთის აღთქმასთან დაკავშირებით? დაბ. 15:1-6. შესაძლოა, ვიღაცა თვლის, რომ აბრაამი [თუმცა ზოგიერთი მოვლენა ჯერ კიდევ სახელის შეცვლამდე მოხდა, რაც აღწერილია დაბ. 17-ში, მაგრამ ადვილი რომ იყოს, გამოვიყენებთ "აბრაამს" და "სარას"] იყო რწმენის ისეთი ადამიანი, რომელსაც არასდროს უჩნდებოდა შეკითხვები და ეჭვები. თუმცა წმიდა წერილი სხვას ამბობს. აბრაამს სწამდა, მაგრამ მაინც უჩნდებოდა შეკითხვები და ეჭვები. მიუხედავად ამისა, მისი რწმენა იზრდებოდა. მსგავსად მამისა ისტორიიდან, რომელიც აღწერილია მარ. 9:24-ში, აბრაამმა დაბ. 15:8-ში ღმერთს უთხრა: "მწამს, უფალო! დაეხმარე ჩემს ურწმუნოებას". ამის საპასუხოდ ღმერთმა გულმოწყალედ დაარწმუნა აბრაამი თავისი აღთქმის უტყუარობაში და დაუდო აღთქმა (იხ. დაბ. 15:7-18). ეს ნაწყვეტი საოცარი იმით კი არ არის, რომ ღმერთი აღთქმას უდებს აბრაამს, არამედ იმით, თუ რამდენად მზად იყო ღმერთი, დასულიყო აბრაამის დონემდე. ახლო აღმოსავლეთში უძველესი მმართველები უარყოფდნენ თავად იმ იდეასაც, რომ აღთქმა დაედოთ თავიანთ მსახურებთან. მათგან განსხვავებით, ღმერთმა არა მხოლოდ თავისი სიტყვა მისცა, არამედ იმ დროის ტრადიციის მიხედვით, გაპობილ ცხოველებს შორის ჩაიარა, რათა აბრაამთან აღთქმა დაედო. კერძოდ, იესომ თავისი სიცოცხლე გაიღო ადამიანთა სახსნელად და აღთქმის აღსასრულებლად.
ცხოვრების რომელ სფეროში უნდა იწამოთ უბრალოდ ის, რაც შეუძლებლად გეჩვენებათ? როგორ შეგიძლიათ ისწავლოთ, რომ გწამდეთ, მიუხედავად ყველაფრისა?

სამშაბათი
29 აგვისტო
აბრაამი, სარა და ჰაგარი
რატომ იხსენებს პავლე ჰაგარის ისტორიას? იხ. გალ. 4:21-31; დაბ. 16. ხსნასთან დაკავშირებით რომელ მნიშვნელოვან აზრს გადმოსცემს პავლე ამ ძველაღთქმისეული ისტორიის დახმარებით?
ჰაგარის ისტორია პირდაპირ კავშირშია აბრაამის გადაწყვეტილებასთან: დაეხმაროს ღმერთს თავისი აღთქმების აღსრულებაში. ჰაგარი, აბრაამის ეგვიპტელი მონა ქალი, მას ფარაონმა აჩუქა. ეს ისტორია იმიტომ მოხდა, რომ აბრაამს ეჭვი შეეპარა ღვთის აღთქმაში (იხ. დაბ. 12:11-16).

ათი წელი ელოდნენ აბრაამი და სარა აღთქმულ ძეს და ჯერ კიდევ უშვილოები იყვნენ. გადაწყვიტეს, რომ უნდა დაეხმარონ ღმერთს და სარამ აბრაამს მხევლად მისცა ჰაგარი. თუმცა ეს გეგმა დღეს ჩვენ მეტისმედად უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ იმ დროისთვის ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ტრადიციის მიხედვით, მსახურს შეეძლო, გამხდარიყო თავისი უნაყოფო ქალბატონის შვილის დედა. ამგვარად, სარას შეეძლო თავის შვილად ჩაეთვალა ბავშვი, რომელიც იქნებოდა აბრაამისა და ჰაგარისაგან. და თუმცა ბავშვი დაიბადა, იგი მაინც არ ყოფილა ღვთის მიერ აღთქმული ძე.
ეს ისტორია იმის ნათელი მაგალითია, რომ რთულ მდგომარეობაში ასეთი ღვთისნიერი მორწმუნეც კი შეიძლება დაეჭვდეს. დაბ. 17:18,19-ში აბრაამი გამოთქვამს თავის განსაკუთრებულ იმედებს ისმაელთან, როგორც თავის მემკვიდრესთან დაკავშირებით. უფალი უარყოფს ასეთ ვარაუდს. ჰაგარის მიერ ისმაელის გაჩენაში, ბავშვისა, რომელიც "ხორციელად შობილი იყო", არაფერი იყო ზებუნებრივი. აბრაამს ურყევი რწმენა რომ ჰქონოდა ღვთის აღთქმისა და გარემოებას რომ არ გაემარჯვა მასზე, არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა. იგი მრავალ განსაცდელს აარიდებდა თავს.

შეხედეთ, რა გარემოებებში დაიბადა ისააკი და რით განსხვავდებოდა მისი დაბადება ისმაელის დაბადებისგან. იხ. დაბ. 17:15-19; 18:10-13; ებრ. 11:11,12. რატომ მოსთხოვა ამ გარემოებებმა აბრაამსა და სარას უდიდესი რწმენა? გამოგიცდიათ თუ არა ტკივილი იმის გამო, რომ ღვთის აღთქმას საკმარისად არ ერწმუნეთ? გასწავლათ თუ არა ამ შეცდომებმა, ღმერთისა გწამდეთ ნებისმიერ გარემოებაში? რა გადაწყვეტილებებს შეუძლია განამტკიცოს თქვენი შესაძლებლობა, ენდობოდეთ ღმერთის აღთქმებს?

ოთხშაბათი
30 აგვისტო
ჰაგარი და სინაის მთა
(გალ. 4:21-31)
აღთქმის რა ურთიერთობების დამყარება სურდა უფალს თავის ერთან სინაის მთაზე?რა საერთოა ამ აღთქმასა და აბრაამის აღთქმას შორის? იხ. გამ. 6:2-8; 19:3-6; რჯლ. 32:10-12.
სინაის მთაზე ღმერთს სურდა ისრაელის ერთან დაემყარებინა აღთქმის ისეთივე ურთიერთობები, როგორიც აბრაამთან ჰქონდა. ერთმანეთს ჰგავს დაბ. 12:1-2-ში აბრაამის მიმართ და გამ. 19-ში მოსეს მიმართ წარმოთქმული ღვთის სიტყვები. ორივე შემთხვევაში ღმერთი ხაზს უსვამს, თუ რას გააკეთებს თავისი ერისთვის. იგი არ ითხოვს, რომ ისრაელიანებმა რაიმე გააკეთონ, რათა დაიმსახურონ მისი კურთხევები. უფლის კურთხევების საპასუხოდ ისინი უბრალოდ მორჩილები უნდა ყოფილიყვნენ. ებრაული სიტყვა, რომელიც გამ. 19:5-შია ნათარგმნი როგორც "მოუსმენთ", სიტყვასიტყვით ნიშნავს "მოსმენას". ღმერთი არ საუბრობს საქმეებით გამართლების შესახებ. პირიქით, მას სურს, რომ ისრაელიანებს ჰქონდეთ ისეთივე რწმენა, როგორიც აბრაამმა უფლის კურთხევების საპასუხოდ გამოამჟღავნა.
თუკი ღმერთის მიერ სინაის მთაზე ისრაელიანებთან დადებული აღთქმა ჰგავს აბრაამთან დადებულ აღთქმას, მაშინ პავლე რატომ

ადარებს სინაის მთას ჰაგარის გამოცდილებასთან? იხ. გამ. 19:7-25; ებრ. 8:6,7.
სინაის მთაზე მოცემულ აღთქმას უნდა ეჩვენებინა ადამიანის ცოდვილი მდგომარეობა, ასევე მიეთითებინა მისგან განსაკურნავ წამალზე, ანუ ღვთის უხვ მადლზე. ეს სიმბოლურად აისახებოდა საწმიდრის მსახურებაში. სინაის მთაზე დადებული აღთქმის პრობლემა ღმერთისგან არ მომდინარეობდა. იგი მდგომარეობდა ადამიანთა ცრუ დაპირებებში (იხ. ებრ. 8:9). მათ ღვთის აღთქმას მორჩილებითა და რწმენით კი არ უპასუხეს, არამედ თავდაჯერებით: "რაც თქვა უფალმა, ყველაფერს აღვასრულებთ" (გამ. 19:8). მას შემდეგ, რაც ოთხას წელიწადზე მეტი ისრაელიანებმა ეგვიპტეში გაატარეს, როგორც მონებმა, უკვე ვეღარ წარმოედგინათ ღვთის ჭეშმარიტი დიდებულება და თავიანთი ცოდვილი მდგომარეობის მთელი სიღრმე. როგორც აბრაამი და სარა ცდილობდნენ, რომ დახმარებოდნენ ღმერთს, აღესრულებინა თავისი აღთქმა, ასევე სურდათ ისრაელიანებს, ღვთის მადლის აღთქმა ექციათ საქმეთა აღთქმად. ჰაგარის შემთხვევა და სინაის მთა წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები, გადარჩნენ საქმეებით.
პავლე არ ამბობს, რომ რჯული, რომელიც სინაის მთაზე მიეცათ, ბოროტებას წარმოადგენს ადამიანებისთვის ან გაუქმდა. მას აწუხებდა ღვთის აღთქმასთან მიმართებაში გალატელთა არასწორი, მეკანონეობრივი მიდგომა. "რჯულს უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ შეუძლებელია რჯულის მორჩილებით ასიამოვნონ ღმერთს. ამის ნაცვლად მან მათში გააღვიძა ღრმად ფესვგადგმული გადაწყვეტილება გამოეყენებინათ საკუთარი რესურსები, რათა აამონ ღმერთს. ამგვარად, რჯულმა ვერ აღასრულა თავისი მადლის მომგვრელი დანიშნულება – იუდეველობის მომხრეები მოეყვანა ქრისტესთან. მან ქრისტე დაფარა მათგან" (O. Pალმერ ღობერტსონ, თჰე ჩჰრისტ ოფ ტჰე ჩოვენანტს, პ. 181).

ხუთშაბათი
31 აგვისტო
ისმაელი და ისააკი დღეს
ისრაელის ისტორიის მოკლე გადმოცემით პავლე ცდილობს, უარყოს თავისი ოპონენტების მტკიცებულებანი, რომ ისინი აბრაამის ჭეშმარიტი შთამომავლები არიან, ხოლო იერუსალიმი – იუდევლური ქრისტიანობისა და რჯულის ცენტრი – მათი დედა. იუდეველობის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ წარმართები არ იყვნენ კანონიერი მემკვიდრეები. მათი სიტყვებით, თუკი წარმართებს უნდოდათ გამხდარიყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები, ჯერ აბრაამის შვილები უნდა გამხდარიყვნენ და აღესრულებინათ წინადაცვეთის წესი.
მაგრამ პავლე ამბობს, რომ ყველაფერი პირიქითაა. ეს მეკანონეები, ისმაელის მსგავსად, იყვნენ აბრაამის არაკანონიერი შვილები, რაკი ისინი ეყრდნობოდნენ წინადაცვეთას, ე. ი. ენდობოდნენ "ხორცს", სარას მსგავსად ჰაგარის შემთხვევაში და ისრაელიანთა მსგავსად სინაის მთაზე. ხოლო ქრისტესკენ მოქცეული წარმართები იყვნენ აბრაამის შვილები არა ფიზიკური დაბადებით, არამედ, ისააკის მსგავსად, ზებუნებრივი სახით. "ისააკის მსგავსად, ისინი წარმოადგენდნენ აბრაამისთვის მიცემული აღთქმის აღსრულებას… ისააკის მსგავსად, ისინი დაიბადნენ თავისუფლები ღვთაებრივი მადლის წყალობით; ისააკის მსგავსად, ისინი ეკუთვნიან აღთქმის შტოს" (ჟამეს D. G. Dუნნ, თჰე Eპისტელე ტო ტჰე Gალატიანს, პ. 256).
რას გადაეყრებიან ამ წუთისოფელში აბრაამის ჭეშმარიტი შთამომავლები? იხ. გალ. 4:28-31; დაბ. 21:8-12.
ისააკს, როგორც აღთქმულ შვილს, წინ ელოდა არა მხოლოდ კურთხევები, არამედ დევნაც და წინააღმდეგობაც. როცა პავლე საუბრობს დევნის შესახებ, მას მხედველობაში აქვს დაბ. 21:8-10-ში აღწერილი შემთხვევა, როცა ისააკის საპატივცემულოდ ზეიმი გამართეს, ისმაელი კი დასცინოდა მას. თუმცა ისმაელის საქციელი დღეს შეიძლება არც თუ ისე მნიშვნელოვნად

მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი მიგვითითებს დიდ მტრობაზე, რადგან სასწორზე იდო პირმშოობის უფლება. ძველად მრავალი მმართველი ცდილობდა, უსაფრთხოება მოეპოვებინა თავისი თანამდებობისთვის და ანადგურებდა პოტენციურ შემცილებლებს, მათ შორის საკუთარ დებსა და ძმებსაც (იხ. მსაჯ. 9:1-6). თუმცა ისააკი გადააწყდა მტრულ განწყობას, ამის მიუხედავად, მან მაინც მიიღო სიყვარულის, დაცვისა და მფარველობის მთელი პრივილეგიები, როგორც თავისი მამის მემკვიდრემ.
როგორც ისააკის სულიერ მემკვიდრეებს, არ უნდა გაგვიკვირდეს განსაცდელები და მტრობა ერთმორწმუნეთა შორისაც კი. თქვენი რწმენის გამო შეხვედრიხართ თუ არა მტრულ განწყობას ყველაზე ახლობელი ადამიანების მხრიდანაც კი? თქვენ ხომ არ გიდევნიათ სხვები თავიანთი რწმენის გამო? დაფიქრდით ამის შესახებ.

პარასკევი
1 სექტემბერი
შემდგომი გამოკვლევისათვის
წაიკითხეთ ე. უაითის წიგნიდან "პატრიარქები და წინასწარმეტყველები" თავი "რჯულდებები და აღთქმები" (გვ. 221).
"მაგრამ თუკი აბრაამისეული აღთქმა გამოსყიდვის იმედს მოიცავდა, რაღა საჭირო იყო მეორის დადება სინაის მთაზე? მონობის წლებში ებრაელმა ხალხმა დაკარგა ცოდნა ღვთისა და აბრაამის აღთქმის შესახებ…
ღმერთმა სინაის მთასთან მიიყვანა ისინი. გამოუცხადა თავისი დიდება, მისცა რჯული და მორჩილების შემთხვევაში კურთხევა აღუთქვა. "თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას… მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით" (გამ. 19:5,6). ადამიანებს ვერ შეეცნოთ თავიანთი ცოდვილი მდგომარეობა; ვერ ხვდებოდნენ, რომ ქრისტეს გარეშე შეუძლებელია უფლის რჯულის აღსრულება და… სასწრაფოდ

დაუდეს ღმერთს აღთქმა… მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სულ დაივიწყეს დადებული ფიცი და თაყვანსაცემად კერპი ჩამოასხეს. ფიცის გატეხვის შემდეგ აღარ ჰქონდათ უფლის კეთილგანწყობის მოპოვების იმედი; ახლა უკვე შეიგრძნეს თავისი ცოდვილი მდგომარეობა და მიტევების აუცილებლობა, მხსნელის საჭიროება, რომელიც აბრაამის აღთქმაში და მსხვერპლშეწირვის სიმბოლურ მსახურებაში აისახა. ახლა მათი სიყვარული და რწმენა უფლისაკენ წარიმართა, რომელიც ცოდვის მონობიდან გაათავისუფლებდა მათ. ახლა მათ უკვე შეეძლოთ ახალი აღთქმის კურთხევათა შეფასება" (ე. უაითი. პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 227).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. თქვენსა და ღმერთს შორის ურთიერთობა უფრო "ძველაღთქმისეული" თუ "ახალაღთქმისეული" სახისაა? რა მაჩვენებლებით შეგვიძლია განვასხვავოთ ურთიერთობის ეს ორი სახე?
2. რა საკითხები ქმნის თქვენს საკრებულოში დაძაბულ ატმოსფეროს? როგორ აგვარებენ მათ? თუკი თავს მიიჩნევთ "დევნის" მსხვერპლად, როგორ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ თავად არ სდევნით ვინმეს? იხ., აგრეთვე, მათ. 18:15-17.
3. რამდენჯერ დაპირებიხართ ღმერთს, რომ აღარ მოიმოქმედებთ გარკვეულ ქმედებებს და დაგირღვევიათ თქვენი პირობა? როგორ გეხმარებათ ეს სამწუხარო ფაქტი, რომ გააცნობიეროთ მადლის მნიშვნელობა?

დასკვნა: ჰაგარის, ისმაელისა და სინაის მთასთან ისრაელი ერის ისტორია გვიჩვენებს, თუ რაოდენ უგუნურია, ვენდობოდეთ საკუთარ ძალებს და ვეცადოთ, აღვასრულოთ ღვთის აღთქმა. პავლე თვითგამართლების ამ მცდელობებზე ამბობს, რომ ეს არის აღთქმა სინაის მთიდან. ახალი აღთქმა არის მადლის საუკუნო აღთქმა, რომელიც პირველად დაუდო ღმერთმა ადამსა და ევას ცოდვით დაცემის შემდეგ, განაახლა აბრაამთან და აღასრულა ქრისტეში.

11 გაკვეთილი 2 - 8 სექტემბერი ქრისტეში თავისუფლება

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 5:1-15; 1კორ. 6:20; რომ. 8:1; ებრ. 2:14,15; რომ. 8:14; 13:8.

სამახსოვრო მუხლი: "ხოლო თქვენ, თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს" (გალ. 5:13).

გალ. 2:4,5-ში პავლე ახსენებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავისუფლების დაცვა, თავისუფლებისა, რომელიც მოგვეცა იესო ქრისტეში. მოციქული ხშირად საუბრობს თავისუფლებაზე, მაგრამ რას გულისხმობს ამ სიტყვაში? რა იგულისხმება თავისუფლებაში? რამდენად ფართოდ ვრცელდება იგი? და როგორ არის დაკავშირებული ქრისტეში თავისუფლება რჯულთან?

პავლე უხსნის გალატელებს ამ საკითხებს და აფრთხილებს ორი საფრთხის შესახებ. პირველი - მეკანონეობა. გალატიაში არსებული პავლეს ოპონენტები იმდენად გაიტაცა მცდელობამ თავიანთი საქმეებით დაემსახურებინათ ღვთის კეთილგანწყობა, რომ დაავიწყდათ ქრისტეს განმათავისუფლებელი საქმის, ხსნის შესახებ, რისი მიღებაც შეუძლიათ მხოლოდ ქრისტეში რწმენის მეშვეობით. მეორე საშიშროება მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი მიდრეკილნი იყვნენ ბოროტად გამოეყენებინათ ქრისტეში თავისუფლება, რადგან უტოლებენ ყველაფრის უფლების ქონას. ეს ადამიანები მცდარად ვარაუდობენ, რომ თავისუფლება რჯულის საპირისპიროა.

როგორც მეკანონეობა, ასევე ყველაფრისუფლების ქონა თავიანთ მიმდევრებს ართმევენ თავისუფლებას, რადგან თავისებურ მონობაში ჰყავთ გამომწყვდეული. პავლე გალატელებს მოუწოდებს მტკიცედ ჩაეჭიდონ ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ქრისტეში მიენიჭათ.

კვირადღე
3 სექტემბერი
ქრისტემ გაგვათავისუფლა
"თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს" (გალ. 5:1).
მსგავსად მხედართმთავრისა, რომელიც ცდილობს შთააგონოს თავისი ჯარი, პავლე გალატელებს მოუწოდებს, არ უარყონ ქრისტეში თავისუფლება. მოციქულის შთაგონებული, ემოციური მიმართვა მკითხველს მოქმედებისკენ მოუწოდებს. თითქოს, ზუსტად ამის მიღწევას ცდილობდა პავლე. თუმცა მოცემული მუხლი თემატურად დაკავშირებულია წინა და მომდევნო მუხლებთან, მაგრამ მისი მკაცრი ტონი და ბერძნულ ენაში არსებული სინტაქსური წყობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პავლეს სურდა, განსაკუთრებულად გამოეყო ეს მუხლი. პავლეს ყველა მოსაზრებას მივყავართ ქრისტეში თავისუფლებამდე, რომლის დაკარგვის საშიშრობა ემუქრებოდა გალატელებს.
წაიკითხეთ გალ. 1:3,4; 2:16; 3:13. რა მეტაფორებს გამოიყენებს ავტორი ამ მუხლებში და როგორ გვეხმარება ისინი გავაცნობიეროთ, თუ რა მოიმოქმედა ჩვენთვის ქრისტემ?
პავლეს გამონათქვამი "თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ" (გალ. 5:1) საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქ იგი კიდევ ერთ მეტაფორას იყენებს. ამ ფრაზის აგებულება წააგავს ფორმულას, რომელიც გამოიყენება მონების რელიგიური გათავისუფლების დროს. რაკი მონებს არ გააჩნდათ კანონიერი უფლებები, ვარაუდობდნენ, რომ რომელიმე ღვთაებას შეეძლო მათთვის თავისუფლების ყიდვა, რის შემდეგაც მონა, რომელიც უკვე თავისუფალია, კანონიერად უკვე ამ ღვთაების საკუთრებად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ასეთი პროცესი მხოლოდ ფიქციას წარმოადგენდა, რადგან მონას ტაძარში თავად უნდა მიეტანა ფული თავისი გათავისუფლებისთვის. ამის მაგალითს წარმოადგენს ფორმულა, რომელიც გამოიყენება

ათასზე მეტ წარწერებში, ისინი კი აღმოაჩინეს აპოლონ პითიელის ტაძარში დელფოში და დათარიღებულია ქრ. შ-მდე 201-ქრ. შ-დან 100 წლებით: "გათავისუფლებისთვის აპოლონ პითიელი ამფისელი სოსიბისუსგან ყიდულობს მონას (ქალს) სახელად ნიკეას… თუმცა ნიკეამ აპოლონს მსხვერპლი შესწირა თავისი გათავისუფლებისთვის" (Вენ ჭიტჰერინგტონ II, Грაცე ინ Гალატია, პ.340).
ეს ფორმულა ჰგავს პავლეს გამონათქვამს, თუმცა მათ შორის არსებობს მთავარი განსხვავება. პავლეს მეტაფორაში არ არსებობს ფიქცია. ჩვენ არ ვიხდით საკუთარი თავისუფლებისთვის (იხ. 1კორ. 6:20; 7:23). ჩვენთვის ფასი ძალიან დიდია. არ შეგვიძლია საკუთარი თავის გადარჩენა. მაგრამ იესომ ჩვენთვის გააკეთა ის, რისი გაკეთებაც თავად არ შეგვიძლია. მან საკუთარ თავზე აიღო სასჯელი ჩვენი ცოდვებისათვის, ამით კი გაგვათავისუფლა განკითხვისაგან.
გააანალიზეთ თქვენი ცხოვრება. როგორ თვლით, შეგიძლიათ თუ არა საკუთარი თავის დახსნა? რას გეუბნებათ თქვენი პასუხი, თუ რაოდენ დიდ მადლიერებას უნდა განვიცდიდეთ ქრისტეს ძღვენისთვის?

ორშაბათი
4 სექტემბერი
ქრისტიანული თავისუფლების ბუნება
პავლე ქრისტიანებს მოუწოდებს "იდგნენ თავისუფლებაში", შემდეგ კი მოჰყავს მნიშვნელოვანი ფაქტი: ეს თავისუფლება "მოგვანიჭა" ქრისტემ. რატომ უნდა იდგნენ ქრისტიანები თავიანთ თავისუფლებაში? იმიტომ რომ იგი მიანიჭა ქრისტემ. სხვა სიტყვებით, ჩვენი თავისუფლება ქრისტეს მიერ ჩვენთვის გაწეული გმირობის შედეგია.
შემდეგ მოჰყვება მითითება, რომელიც პავლეს წერილებისთვის არის დამახასიათებელი (იხ. 1კორ. 10:13,14; კოლ. 2:6). მაგალითად, რომ. 6-ში პავლე რამდენჯერმე მიუთითებს ჩვენს მდგომარეობაზე ქრისტეში: "რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად

ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი" (რომ. 6:6). ამ ფაქტზე დაყრდნობით პავლე იძლევა მითითებას: "მაშ, ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათა მორჩილებად" (რომ. 6:12). პავლეს სიტყვების მთავარი აზრია: "იყავით ისინი, ვინც უკვე ხართ ქრისტეში". სახარება ადამიანს არ ავალდებულებს, ეცადოს მოიქცეს ისე, რათა დაამტკიცოს, რომ ღვთის შვილები ვართ. მაგრამ ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ღვთის შვილები, რადგან უკვე ვართ ასეთები.
რისგან გაგვათავისუფლა ქრისტემ? იხ. რომ. 6:14,18; 8:1; გალ. 4:3,8;5:1; ებრ. 2:14,15.
ქრისტიანული ცხოვრების აღსაწერად პავლეს წერილებში სიტყვა "თავისუფლება" უფრო მეტყველია, ვიდრე ახალი აღთქმის სხვა მუხლებში. წერილებში სიტყვა "თავისუფლება" და მისგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება 28-ჯერ, სხვა მუხლებში კი მხოლოდ - 13-ჯერ.
რას გულისხმობს პავლე თავისუფლებაში? პირველ რიგში, ეს არ არის უბრალოდ აბსტრაქტული ცნება. მას არ აქვს კავშირი პოლიტიკურ, ეკონომიკურ თავისუფლებასთან ან ისეთ ცხოვრებასთან, როგორიც გვსურს. პირიქით, ეს თავისუფლება ემყარება ჩვენს ურთიერთობას იესო ქრისტესთან. კონტექსტის მიხედვით, პავლე საუბრობს მეკანონეობრივი ქრისტიანობის მონობიდან და განკითხვიდან გათავისუფლებაზე. მაგრამ ჩვენი თავისუფლება გაცილებით მეტს გულისხმობს. ეს არის ცოდვისგან, საუკუნო სიკვდილისგან და ეშმაკისგან თავისუფლება.
"იესო ქრისტეს გარეშე ადამიანური არსებობა წარმოადგენს მონობას – მეკანონეობის მონობას, ბოროტების მონობას, ბოროტებისა, რომელიც დომინირებს ამ წუთისოფელში, ცოდვის, სხეულისა და ეშმაკის მონობას. ღმერთმა წარმოგზავნა თავისი ძე წუთისოფლეში, რათა მოიშოროს მონათმფლობელის ეს უღელი" (თიმოტჰყ Gეორგე,Gალატიანს, პ. 354).

რა გიმონებთ თქვენს ცხოვრებაში? გაიხსენეთ გალ. 5:1 და ილოცეთ, რათა ქრისტეში თავისუფლება თქვენთვის რეალური გახდეს.

სამაშაბათი
5 სექტემბერი
მეკანონეობის სახიფათო შედეგები (გალ. 5:2-12)
გალ. 5:2-ში პავლეს პირველი სიტყვები მიგვითითებს, რომ იგი მნიშვნელოვანი რაღაცის თქმას აპირებს. სხვადასხვა თარგმანებში ისინი ჟღერს ასე: "მიყურეთ!", "მისმინეთ!", "ჩაინიშნეთ ჩემი სიტყვები!", "მე, პავლე, გეუბნებით თქვენ!" პავლე არ ლაპარაკობს მინიშნებებით. თავისი სიტყვებით იგი არა მარტო უბრალოდ მოითხოვს მკითხველისგან სრულ ყურადღებას, არამედ თავის სამოციქულო ავტორიტეტსაც კი იშველიებს. მას უნდა, რომ გალატელებმა გააცნობიერონ სიტუაციის მთელი სერიოზულობა. თუკი წარმართები გადარჩენის მიზნით მიიღებენ წინადაცვეთას, მაშინ გალატელებმა უნდა გააცნობიერონ ასეთი გადაწყვეტილების სახიფათო შედეგები.
წაიკითხეთ გალ. 5:2-12. რის შესახებ აფრთხილებს პავლე წინადაცვეთის საკითხთან დაკავშირებით?
პირველი შედეგი ადამიანის მცდელობისა, რომ დაიმსახუროს ღვთის კეთილგანწყობა, რისთვისაც ასრულებს წინადაცვეთას, მდგომარეობს იმაში, რომ ეს მას ავალდებულებს მთელი რჯული დაიცვას. მე-2 და მე-3 მუხლებში პავლე იყენებს სიტყვათა საინტერესო თამაშს. იგი ამბობს, რომ ქრისტე ვერ მოუტანს სარგებელს (ოფელესეი), არამედ დაავალდებულებს (ოფეილეტეს) რჯულის დაცვას. თუკი ადამიანს სურს იცხოვროს რჯულის შესაბამისად, მას არ აქვს არჩევანი, რომელ დებულებებს გაჰყვეს და რომელს არა. მან ყველაფერი უნდა დაიცვას.
მეორე მხრივ, ისინი "მოსწყდებიან" ქრისტეს. შეუძლებელია, მიიღო ერთიც და მეორეც. შეუძლებელია, მიიღო ქრისტე, ამით კი აღიარო, რომ თავად ვერ იხსნი საკუთარ თავს, შემდეგ კი

წინადაიცვითო, და ამით განაცხადო, რომ შეგიძლია" (ჟოჰნ ღ. ჭ. შტოტტ, თჰე Mესსაგე ოფ Gალატიანს, პ. 133).
პავლეს მესამე წინააღმდეგობა წინადაცვეთასთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უშლის სულიერ ზრდას. ამ სიტუაციას იგი ადარებს მორბენალს, რომელიც ფინიშამდე განზრახ არ მიუშვეს. სიტყვა, რომელიც თარგმნილია როგორც "დაგაბრკოლათ" (მუხ. 7), საბრძოლო ტერმინოლოგიაში აღნიშნავს "გზების დანგრევას, ხიდების განადგურებას ან მტრის გზაზე დაბრკოლებების შექმნას, რათა შეაჩეროს მისი გადაადგილება" (მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 978).
და, ბოლოს და ბოლოს, წინადაცვეთა აუქმებს ქრისტეს გოლგოთის მსხვერპლის აუცილებლობას. როგორ? უწყება, რომელსაც იუდეველობის მომხრეები ქადაგებდნენ, გულისხმობს, რომ ადამიანს საკუთარი თავის გადარჩენა წინადაცვეთით შეუძლია. ეს მალამოდ ედება ადამიანის თავმოყვარეობას. თუმცა კი ჯვარცმის უწყება ადამიანის თავმოყვარეობას ლახავს, რადგან აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ სრულად ვართ ქრისტეზე დამოკიდებულნი.
პავლე აღშფოთებულია იმის გამო, რომ ცრუმასწავლებლები აიძულებდნენ წინადაცვეთას, ამით კი ქრისტეს აძევებდნენ საკუთარი და მათი დამჯერი ადამიანების ცხოვრებიდან. ეს გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ სერიოზულად მიაჩნდა მას ეს საკითხი.

ოთხშაბათი
6 სექტემბერი
თავისუფლება, მაგრამ არა ყველაფრის უფლება (გალ. 5:13)
გალატელთა მიმართ წერილში გალ. 5:13 წარმოადგენს გარდამტეხ წერტილს. თუკი ამ დრომდე პავლე მთელ თავის ყურადღებას წერილის თეოლოგიურ ნაწილზე ამახვილებდა, ახლა იგი ქრისტიანული ქცევის საკითხზე გადადის. როგორ უნდა

იცხოვროს ადამიანმა, რომელიც გადარჩება არა რჯულის საქმეებით?
თავისუფლების გაგების რომელი შესაძლო შეცდომისგან სურს პავლეს გალატელთა დაცვა? იხ. გალ. 5:13.
პავლემ მშვენივრად იცოდა, რომ შეიძლება, არასწორად განმარტონ მისი სიტყვები მადლსა და თავისუფლებაზე, რასაც მორწმუნეები ქრისტეში მოიპოვებენ (იხ. რომ. 3:8; 6:1,2). თუმცა პრობლემა პავლეს უწყებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ ადამიანთა მიდრეკილებაში, აამონ საკუთარ სურვილებს. ისტორია აჭრელებულია ადამიანთა, ქალაქებისა და ერების ამბებით, სადაც მათი გარყვნილება და ზნეორივი ქაოსი პირდაპირ კავშირში იყო თვითკონტროლის უკმარისობასთან. ვის არ შეუმჩნევია ეს ტენდენცია საკუთარ ცხოვრებაში? ამიტომ მოუწოდებს პავლე ასე სერიოზულად იესოს მიმდევრებს, არ აამონ ხორცს. მას სურს, რომ ისინი პირიქით მოიქცნენ, ანუ "სიყვარულით ემსახურონ ერთმანეთს". თითოეულმა, ვინც სიყვარულით ემსახურება სხვებს, იცის, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი "მეს" მოკვდინების პირობით. ადამიანები, რომლებიც აამებენ ხორცს, არ არიან მიდრეკილნი, ემსახურონ სხვებს, სავარაუდოდ, უფრო პირიქით.
ამიტომ ქრისტეში ჩვენი თავისუფლება არა მხოლოდ გვათავისუფლებს წუთისოფლის მონობისგან, არამედ მოგვიწოდებს ახალი სახის მსახურებისკენ, რომ სხვებს ვემსახუროთ სიყვარულით. ეს არის "საშუალება, გვიყვარდეს მოყვასი ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, შესაძლებლობა, რომ შეიქმნას ადამიანთა საზოგადოებები ერთმანეთის მიმართ უანგარო სიყვარულის საფუძველზე და არ ვდიოთ ძალაუფლებასა და თანამდებობას" (შამ K. ჭილლიამს, Gალატიანს, პ. 145).
გალ. 5:13-ის თანამედროვე თარგმანები ყოველთვის ვერ გადმოსცემს პავლე მოციქულის უწყების სიღრმეს და ამ სიტყვების ზეგავლენის ხარისხს გალატელებზე. პირველ რიგში,

ბერძნული ორიგინალი მიგვითითებს: სიყვარული, რომელსაც ასეთ მსახურებამდე მივყავართ, არ არის ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარული. ადამიანის სიყვარული მეტისმეტად პირობითია. პავლე განსაზღვრულ არტიკლს იყენებს სიტყვა "სიყვარულის" წინაშე. ეს იმაზე მოწმობს, რომ იგი საუბრობს იმ ღვთაებრივი სიყვარულის შესახებ, რომელსაც მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობით ვიღებთ (იხ. რომ. 5:5). საოცარია ის ფაქტი, რომ სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც "ემსახურეთ", ბერძნულ ორიგინალში შეიძლება ნიშნავდეს "იყავი მონა". თავისუფლება გვეძლევა არა დამოუკიდებლობისა და საკუთარი თავისთვის სიამოვნების მისანიჭებლად, არამედ იმისთვის, რომ ერთმანეთის მონები გავხდეთ ღვთის სიყვარულის საფუძველზე.
უპასუხეთ გულწრფელად: გიფიქრიათ თუ არა როდისმე, რომ ქრისტეში თავისუფლება ნებას გრთავდათ, დაგეტოვებინათ მცირე "ცოდვები"? რა არის სახიფათო ასეთ აზრებში?

ხუთშაბათი
7 სექტემბერი
მთელი რჯულის აღსრულება (გალ. 5:13-15)
როგორ შეგვიძლია დავაკავშიროთ პავლეს ნეგატიური შენიშვნა "მთელი რჯული შეასრულოს" (გალ. 5:3) მის დადებით გამონათქვამთან: "მთელ რჯულს… მოიცავს"? ასევე რომ. 10:5; გალ. 3:10,12; 5:3 შეადარეთ რომ 8:4; 13:8; გალ. 5:14.
ბევრი პარადოქსულ წინააღმდეგობას ხედავს პავლეს უარყოფით გამონათქვამს "მთელი რჯული შეასრულოს" და დადებით სიტყვებს "მთელ რჯულს… მოიცავს" შორის. მაგრამ აქ არანაირი წინააღმდეგობა არ არის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ პავლე განზრახ გამოიყენებს ამ ფრაზებს, რათა აჩვენოს ქრისტიანის მხრიდან რჯულთან დამოკიდებულების ორ შესაძლო ვარიანტს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა. აღნიშნეთ: როცა პავლე საუბრობს ქრისტიანების მიერ რჯულის დაცვაზე დადებითი კუთხით, არასოდეს უწოდებს ამას "რჯულის აღსრულებას". ამ

გამონათქვამს იყენებს მხოლოდ არასწორ ქცევასთან დამოკიდებულებაში მათ მიმართ, ვინც ცხოვრობს რჯულის ქვეშ და ცდილობს, დაიმსახუროს ღვთის კეთილგანწყობა რჯულის მოთხოვნების აღსრულებით.
თუმცა პავლეს სულ არ აქვს მხედველობაში, რომ ის, ვინც ქრისტეს მადლით გადარჩება, არ ემორჩილება რჯულს. ეს მტკიცებულება შორსაა ჭეშმარიტებისგან. პავლე ამბობს, რომ ისინი რჯულის მიხედვით "იქცევიან". სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტად ქრისტიანული ქცევა გულისხმობს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე რჯულის ბრმა "აღსრულება". ქრისტიანები რჯულის მიხედვით "იქცევიან". ასეთი მორჩილება მომდინარეობს იესოსგან (იხ. მათ. 5:17). ეს არ არის რჯულის უარყოფა ან მისი დაყვანა მხოლოდ ერთადერთ სიყვარულამდე! მაგრამ როგორ შეუძლია მორწმუნეს, გამოსცადოს მთელი რჯულის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და აზრი.
პავლეს თანახმად, რაში გამოიხატება რჯული მთელი თავისი სისავსით? იხ. ლევ. 19:18; მარკ.12:31,33; მათ 19:19; რომ. 13:9; იაკ. 2:8.
გალატელთა მიმართ წერილში პავლე ციტირებს ლევ. 19:18-ს. იესო ამ მუხლს მიიჩნევდა მთელი რჯულის მოკლე შინაარსად. რაბინმა გილელმა, რომელიც იესომდე არც თუ დიდი ხნის წინ ცხოვრობდა, თქვა: "რაც გძულს, ის არ გაუკეთო შენს მოყვასს; ამაში მდგომარეობს მთელი რჯული". მაგრამ იესო ამ საკითხს ხულ სხვა მხრიდან უყურებდა (იხ. მათ. 7:12). მისი აზრი არა მხოლოდ უფრო პოზიტიურია, არამედ მან აჩვენა, რომ რჯული და სიყვარული მშვენივრად ერწყმიან ერთმანეთს. სიყვარულის გარეშე რჯული ცარიელი და ცივია. რჯულის გარეშე სიყვარულს არ გააჩნია მიმართულება და მიზანი.
რა უფრო ადვილია: გიყვარდეს სხვები თუ უბრალოდ აღასრულო ათი მცნება? აქვს თუ არა აზრი ასეთ შეკითხვას? რატომ? იმსჯელეთ ჯგუფში თქვენს პასუხებზე.

პარასკევი
8 სექტემბერი
შემდგომი გამოკვლევისათვის
"ჭეშმარიტი რწმენა ყოველთვის მჟღავნდება სიყვარულში. როდესაც გოლგოთას უმზერთ, ამან კი არ უნდა შთაგაგონოთ, რომ შეიძლება არ შეასრულოთ საკუთარი მოვალეობები, კი არ უნდა დაგაძინოთ, არამედ თქვენში გამოაღვიძოს იესოში მოქმედი რწმენა, რომელიც სულს განწმედს ეგოიზმის დანალექისგან. როცა ქრისტეს ვიღებთ რწმენით, ჩვენი შრომა მაშინვე იწყება. ყოველ ადამიანს გააჩნია მანკიერებები და ცოდვილი ჩვევები, რომლებიც უნდა დამარცხდეს მტკიცე გადაწყვეტილებების შესრულებით. ქრისტეს მიმდევარი ვერ იქნება უხეში სხვა ადამიანებთან მიმართებაში, გულქვა და თანაგრძნობას მოკლებული. იგი ვერ წარმოთქვამს უშვერ სიტყვებს, ვერ იქნება გაბღენძილი და თვითკმაყოფილი. ვერ იქნება ძალაუფლების მოყვარული, ვერ გამოიყენებს უხეშ და განკითხვის სიტყვებს.
სიყვარულის შრომა მომდინარეობს რწმენის მოქმედებიდან. ბიბლიური რელიგია აღნიშნავს მუდმივ შრომას. "ასე ანათოს თქვენმა ნათელმა ადამიანთა წინაშე, რათა დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და განადიდონ თქვენი მამა ზეციერი". "შიშით და ძრწოლვით აღასრულეთ თქვენი ხსნა. იმიტომ რომ ღმერთი აწარმოებს თქვენში სურვილსაც და ქმედებებსაც თავისი ნებისამებრ". გულმოდგინენი უნდა ვიყოთ კეთილ საქმეებში; ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა ხელი შევუწყოთ კეთილ შრომას. ჭეშმარიტი მოწმე ამბობს: "მე ვიცი შენი საქმეები". თუკი სწორია ის, რომ თქვენი აქტიური მოღვაწეობა არ გაძლევთ ხსნის გარანტიას, მაშინ სწორია ისიც, რომ რწმენა, რომელიც ქრისტესთან გვაერთიანებს, სულს აღძრავს ქმედებებისკენ" (ე. უაითი. ხელნაწერები 16, 1890 წ. // მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1111).
კითხვები მსჯელობისათვის:

1. ჯგუფში იმსჯელეთ ხუთშაბათი დღის ბოლო შეკითხვაზე. რომელ მნიშვნელოვან პრინციპებს გიჩვენებთ თქვენი პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს მოიქცე რჯულის მიხედვით?
2. პავლე ამბობს, რომ რჯული მდგომარეობს სიყვარულში. რას ნიშნავს ეს?
3. რატომ არის ასეთი ადვილი, ქრისტეში თავისუფლება გამოიყენო საკუთარი ცოდვების წასახალისებლად? რა სახის მახეში ებმებიან ადამიანები, რომლებიც ასე იქცევიან? იხ. 1იოან. 3:8.
დასკვნა: თავისუფლება პავლესთვის ერთ-ერთი საყვარელი სიტყვაა კეთილი უწყების განსაზღვრისათვის. იგი გულისხმობს, თუ რა მოიმოქმედა ჩვენთვის ქრისტემ, როცა გაგვათავისუფლა წუთისოფლის მონობიდან და როგორი ქრისტიანული ცხოვრებისთვის ვართ მოწოდებულნი. თუმცა ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი თავისუფლება არ გადაიქცეს მეკანონეობად ან ყველაფრის უფლების ქონად. ქრისტემ იმისთვის არ გაგვათავისუფლა, რომ საკუთარ თავებს ვემსახუროთ, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრება მივუძღვნათ მოყვასისადმი მსახურებას.

12 გაკვეთილი 9 - 15 სექტემბერი მოიქცე სულის მიხედვით

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 5:16-25; რჯლ. 13:4,5; რომ. 7:14-24; იერ. 7:9; ოს. 4:2; მათ. 22:35-40.
სამახსოვრო მუხლი: "აჰა, მე ვამბობ: მოიქეცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს" (გალ. 5:16).
რობერტ რობერტსონის საგალობელი "მოდი ყველა კურთხევის წყაროვ" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი ქრისტიანული საგალობელია. თუმცა რობერტსონი ყოველთვის არ ყოფილა რწმენის კაცი. მამის სიკვდილის შემდეგ იგი გაბოროტდა და მიეცა გარყვნილებასა და ლოთობას. თუმცა, როცა მოისმინა ცნობილი მქადაგებლის, ჯორჯ უაიტფილდის ქადაგებები,

რობერტსონმა თავისი ცხოვრება მიანდო უფალს, გახდა მეთოდისტების პასტორი და დაწერა ეს საგალობელი. საგალობლის თავდაპირველ ვერსიაში იყო სიტყვები: "ო, ყოველდღიურად ვალდებული ვარ, ვიყო მადლის უდიდესი მოვალე! დაე, შენმა სიკეთემ, ბორკილების მსგავსად, შენთან მოაჯაჭვოს ჩემი მოხეტიალე გული".
ვიღაცას არ მოეწონა ქრისტიანული მბორგავი გულის სახე და საგალობლის სიტყვები ასე შეცვალეს: "მიდრეკილი ვარ, თაყვანი გცე, უფალო, ვგრძნობ ამას; მიდრეკილი ვარ, მიყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვემსახურები".
თუმცა რედაქტორი საუკეთესო სურვილებით იყო განწყობილი, მაგრამ ორიგინალური ვარიანტი ზუსტად აღწერდა ქრისტიანის ბრძოლას. ჩვენ, როგორც მორწმუნეები, საკუთარ თავში ერთმანეთს ვუფარდებთ ორ კონფლიქტურ საწყისს: ხორცსა და სულს. და თუმცა ჩვენი ცოდვილი ბუნება მუდამ იქნება მიდრეკილი, რომ დაშორდეს ღმერთს, მაგრამ თუკი მოვინდომებთ მივენდოთ მის სულს, არ უნდა დავემონოთ ხორცს. პავლეს ამ აზრს დაწვრილებით განვიხილავთ ამ კვირის განმავლობაში.

კვირადღე
10 სექტემბერი
"მოიქეცით სულიერად"
წაიკითხეთ გალ. 5:16. როგორ არის დაკავშირებული სიტყვა "მოიქეცით" რწმენით ცხოვრებასთან? იხ. რჯლ. 13:4,5; რომ. 13:13; ეფეს. 4:1,17; კოლ. 1:10.
"მოქცევა" (ორიგინალში "სიარული") - ეს არის ძველი აღთქმიდან აღებული მეტაფორა, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. პავლე, იუდეველი, თავის წერილებში ხშირად იყენებს ამ მეტაფორას, რათა აღწეროს ქრისტიანული ქცევა. სავარაუდოდ, ეს მეტაფორა დაკავშირებული იყო ადრეული ეკლესიის პირვანდელ სახელწოდებასთან. მანამ, სანამ ქრისტეს მიმდევრებს უწოდებდნენ ქრისტიანებს (იხ. საქმე. 11:26),

მათ დაარქვეს "გზის სწავლების" მიმდევრები (იხ. იოან. 14:6; საქმე. 22:4; 24:14). ეს ვარაუდობს, რომ თავიდანვე ქრისტიანობა არ ყოფილა უბრალოდ თეოლოგიური მრწამსის ნაკრები, რომლის ცენტრსაც იესო წარმოადგენდა, არამედ სიცოცხლის "გზა", რომელსაც უნდა გავყვეთ.
როგორ განსხვავდება პავლეს წერილებში გამოყენებული სიტყვები "მიყოლა", "სიარული", "მოქცევა" ძველაღთქმისეული გაგებისგან? გამ. 16:4; ლევ. 18:4; იერ. 44:23 შეადარეთ გალ. 5:16,18,25; რომ. 8:4.
ძველ აღთქმაში, როცა საუბარი იწყება ქცევაზე, გამოიყენება არა მხოლოდ სიტყვა "მოქცევა", არამედ უფრო კონკრეტული გამონათქვამი: "რჯულის მიხედვით მოქცევა". იურიდიულ ტერმინს "გალაჰაჰ" იუდეველები გამოიყენებდნენ მითითებებისა და წესებისთვის, რომლებიც დააწესა კანონმა და რაბინთა ტრადიციამ. ხშირად ამ სიტყვას თარგმნიან, როგორც "იუდეველთა რჯული", მაგრამ იგი მომდინარეობს ებრაული სიტყვისგან "სიარული" და სიტყვასიტყვით ნიშნავს "გზას, რომლითაც მიდიან".
პავლეს სიტყვები "მოიქცე სულიერად" არ ეწინააღმდეგება რჯულის დაცვას. მოციქული არ ამბობს, რომ ქრისტიანებმა უნდა დაარღვიონ რჯული, იგი არ გამოდიოდა რჯულისა და მისი დაცვის წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგი იყო მეკანონეობრივი დამოკიდებულებისა, როცა თავად რჯულს არასწორად იგებდნენ და იყენებდნენ. ჭეშმარიტი მორჩილება, რომელიც ღმერთს სურს, მიიღწევა არა გარეგნული ქცევის მეშვეობით, არამედ შინაგანი მისწრაფებით, რომელიც შთაგონებულია სულიწმიდით (იხ. გალ. 5:18).
როგორი იყო თქვენი "სულიერად მოქცევის" გამოცდილება? როგორ აღასრულებდით მას? რა ართულებს თქვენს ცხოვრებაში ასეთ ქმედებას?

ორშაბათი
11 სექტემბერი

ქრისტიანის ბრძოლა

"ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი - ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ" (გალ. 5:17). შეხვედრიხართ თუ არა თქვენს ცხოვრებაში პირისპირ ამ ფაქტის მწარე რეალობას? ყველა არ ეწევა იმ ბრძოლას, რომელსაც პავლე აღწერს. მისი სიტყვები მიეკუთვნება ურთიერთდაპირისპირებულ გრძნობებს, რომლებსაც ქრისტიანები განიცდიან. რაკი ადამიანები იბადებიან საკუთარი ხორცის სურვილების დაკმაყოფილებისთვის (იხ. რომ. 8:7), სულიერი კონფლიქტი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა კვლავ ვიბადებით სულში (იხ. იოან. 3:6). ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაქრისტიანები არასდროს ხვდებიან ზნეობრივ წინააღმდეგობას. რა თქმა უნდა, ისინიც განიცდიან მათ და ეჯახებიან ამ პრობლემას, უფრო მეტიც, ეს კონფლიქტი წარმოადგენს სულიწმიდის მუშაობის შედეგს, სულიწმიდისა, რომელიც მოქმედებს ადამიანთა გულებზე და მათ სიკეთისკენ უბიძგებს. მაგრამ ქრისტიანთა ბრძოლას სხვა განზომილება აქვს, რადგან მორწმუნეში ორი კონფლიქტური საწყისია - სხეული და სული.

მთელი ისტორიის განმავლობაში ქრისტიანებს სწყუროდათ, დაესვენათ ამ ბრძოლისაგან. ზოგიერთი ამ კონფლიქტის გადაწყვეტას ცდილობდა საზოგადოებიდან წასვლით. სხვები ამბობდნენ, რომ ადამიანის ცოდვილი ბუნების აღმოფხვრა შესაძლებელია ახალი სულიერი შობის წყალობით. ორივე შეხედულება მცდარია. ეჭვგარეშეა, შეგვიძლია სულიწმიდის ძალის დახმარებით ჩავახშოთ ხორცის სურვილები, მაგრამ კონფლიქტი გაგრძელდება, ექნება სხვადასხვა სახე მანამ, სანამ არ მივიღებთ ახალ სხეულს მეორედ მოსვლის დროს. ადამიანთა საზოგადოებიდან წასვლა არ გვიშველის, რადგან ადამიანი სადაც არ უნდა წავიდეს, ბრძოლა თან დააქვს საკუთარ თავში და იგი გაგრძელდება მის სიკვდილამდე, გლობალური მასშტაბებით კი - მეორედ მოსვლამდე.

თუკი ვისაუბრებთ რომ. 7-ში აღწერილი ქრისტიანის შინაგან კონფლიქტზე, რომელიც საშუალებას არ აძლევთ მათ აკეთონ ის, რაც სურთ, პავლე ხაზს უსვამს ამ კონფლიქტის მთელ სერიოზულობას. რაკი ჩვენში ორი საწყისია, ე.ი. ერთდროულად ვიმყოფებით კონფლიქტის ორივე მხარეზე. ჩვენს სულიერ ნაწილს სურს სულიერი და სძულს ხორციელი. ხოლო ხორციელი ისწრაფის ხორციელისკენ და ეწინააღმდეგება სულიერს. და რაკი ქრისტესკენ მოქცეული გონება ძალზე სუსტია, რომ დამოუკიდებლად წინ აღუდგეს ხორციელს, ერთადერთი იმედი იმაში მდგომარეობს, რომ ჩავახშოთ ხორციელი სურვილები და ყოველდღიურად დავდგეთ სულიწმიდის მხარეზე ჩვენი ცოდვილი ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არის პავლე ასეთი დაჟინებული, რათა მოვიქცეთ სულიერად.
თქვენი სულიერი ბრძოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, რა რჩევას მისცემდით ქრისტიანს, რომელიც ცდილობს გაუმკლავდეს ამ დაუსრულებელ კონფლიქტს?

სამშაბათი
12 სექტემბერი
ხორცის საქმეები
გალ. 5:18-26-ში ხორცსა და სულს შორის კონფლიქტის გამოხატვისას, პავლე გვიხსნის ამ დაპირისპირების ბუნებას და ჩამოთვლის ნაკლოვანებებსა და დადებით თვისებებს. ასეთი ჩამონათვალი იყო მყარი ლიტერატურული ჟანრი იუდევლურ და ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში. იგი მიუთითებდა, თუ რა ქცევას უნდა ავარიდოთ თავი და რომელი კეთილი თვისებებისკენ უნდა ვისწრაფოდეთ.
ყურადღებით შეისწავლეთ მოცემულ ნაწყვეტში მოყვანილი ნაკლოვანებებისა და სიკეთეების ჩამონათვალი. რით ჰგავს გალ. 5:19-24-ში აღწერილი პავლეს ჩამონათვალი ამ ნაწყვეტს და რით განსხვავდება? იხ. იერ. 7:9; ოს. 4:2; მარკ. 7:21,22; 1ტიმ. 3:2,3; 1პეტრ. 4:3; გამოცხ. 21:8.

თუმცა პავლემ კარგად იცოდა ნაკლოვანებებისა და კეთილი თვისებების სხვა ჩამონათვალი, მის ჩამონათვალს გააჩნია მნიშვნელოვანი განსაკუთრებული მხარეები.
პირველ რიგში, პავლე უპირისპირებს ორ ჩამონათვალს, სადაც ნაკლოვანებების სიას უწოდებს "ხორცის საქმეებს", ხოლო კეთილი თვისებების სიას უწოდებს "სულის ნაყოფს". ეს მნიშვნელოვანი სხვაობაა. როგორც ჯეიმს დანი წერს, "ხორცი ითხოვს, სული კი გვაძლევს. თუკი ერთი ჩამონათვალი სუნთქავს შეშფოთებული თვითკმაყოფილებით და სურვილების წაქეზებით, მეორე უფრო მეტად აღვსილია სხვებზე ზრუნვით, უშფოთველობით, სიმტკიცითა და საიმედოობით. ერთი ჩამონათვალი ასახავს ადამიანურ საქმეებს, მეორე - ღვთაებრივ მხარდაჭერასა და კურთხევებს. ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შინაგანი ტრანსფორმაცია წარმოადგენს საპასუხიმგებლო ქცევის წყაროს" (გალატელთა მიმართ წერილი, გვ. 308).
პავლეს ჩამონათვალის მეორე დამაინტრიგებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლოვანებების სიაზე იგი განზრახ საუბრობს მრავლობით რიცხვში: "ხორცის საქმეები", ხოლო სიტყვათშეთანხმება "სულის ნაყოფი" გამოიყენება მხოლობით რიცხვში. ეს განსხვავება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხორცის მიხედვით ცხოვრებამ შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ გაყოფამდე, არეულობამდე, გაუგებრობამდე და განხეთქილებამდე. მარტო სულის მიხედვით ცხოვრება კი პირიქით, გვაძლევს სულის ერთ ნაყოფს, რომელიც ვლინდება ცხრა ღირსებაში და მივყავართ ერთიანობასა და მთლიანობისკენ. ზოგიერთი მორწმუნე ხანდახან აცხადებს: არ არის მნიშვნელოვანი, თუ როგორ სწამს ადამიანს ღმერთი, მთავარია, რომ მისი რწმენა იყოს გულწრფელი. ეს კონცეფცია შორს დგას ჭეშმარიტებისგან. პავლეს მიერ შედგენილი ნაკლოვანებების ჩამონათვალი საწინააღმდეგოზე მიგვითითებს: ღვთის შესახებ არასწორ ცოდნას მივყავართ რელიგიის, ზნეობრიობის, სექსუალური ქცევის დამახინჯებულ გაგებამდე, ეს კი ანგრევს

ურთიერთობებს. უფრო მეტიც, ადამიანს საუკუნო სიცოცხლის დაკარგვის საშიშროება ემუქრება (იხ. გალ. 5:21). ყურადღებით წაიკითხეთ "ხორცის საქმეების" ჩამონათვალი. შეამჩნიეთ თუ არა, რომ თითოეული ეს საქმე არის ათი მცნებიდან ერთი ან რამდენიმე მცნების დარღვევა?

ოთხშაბათი
13 სექტემბერი
სულის ნაყოფი
(გალ. 5:22-24)
"ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება - ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული" (გალ. 5:22,23). როგორ ირეკლავს ათი მცნების დაცვა სულის ნაყოფს, რომელიც ამ მუხლებშია გამოხატული? იხ. მათ. 5:21,22,27,28; 22:35-40. ათი მცნება არ არის სიყვარულის ალტერნატივა ან ჩანაცვლება. ისინი მიგვითითებს, თუ როგორ გამოვამჟღავნოთ სიყვარული ღმერთისა და ადამიანის მიმართ. ის აზრი, რომ ღმერთისა და მოყვასის მიმართ სიყვარული აუქმებს ათ მცნებას, ისეთივე უაზრობაა, როგორც იმის განცხადება, რომ თითქოს ბუნების მიმართ სიყვარული აუქმებდეს მსოფლიო მიზიდულობის კანონს. ასევე ხორცის საქმეების ჩამონათვალისგან განსხვავებით, რომელიც შედგება თვრამეტი სიტყვისაგან, სულის ნაყოფი აღწერილია ცხრა სიტყვით. ღვთისმეტყველები თვლიან, რომ ეს ცხრა კეთილი თვისება ერთიანდება სამ ჯგუფში სამ-სამ კეთილ თვისებად, მაგრამ არ არსებობს ერთიანი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ჩამოთვლის თანმიმდევრობა. ზოგიერთი ამ სამში ხედავს სამების ფარულ ასოციაციას. სხვები თვლიან, რომ სამი ჯგუფი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ღმერთს, მოყვასსა და საკუთარ თავს. სხვანი კი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს სია აღწერს იესო ქრისტეს ხასიათს. თუმცა თითოეულ ამ იდეას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ

პავლე ქრისტიანის ცხოვრებაში უპირველეს მნიშვნელობას სიყვარულს ანიჭებს.
ცხრა კეთილი თვისების ჩამოთვლისას პავლე პირველ ადგილზე შემთხვევით არ ასახელებს სიყვარულს. გალ. 5:6,13-ში მან უკვე მიუთითა ქრისტიანის ცხოვრებაში სიყვარულის უდიდეს მნიშვნელობაზე. იგი მას თავის სხვა წერილებშიც ასახელებს (იხ. 2კორ. 6:6; 1ტიმ. 4:12; 6:11; 2ტიმ. 2:22). თუკი სხვა კეთილი თვისებები ნახსენებია არაქრისტიანულ წყაროებშიც, სიყვარული ქრისტიანის განმასხვავებელი თვისებაა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება სიყვარული მივიჩნიოთ, როგორც ერთ-ერთი სხვა მრავალ ღირსებათა შორის. ეს არის ცენტრალური ქრისტიანული კეთილი თვისება და სხვა კეთილ თვისებათა გასაღები. სიყვარული არის სულის გამორჩეული ნაყოფი (იხ. 1კორ. 13:13; რომ. 5:5). იგი უნდა განსაზღვრავდეს ცხოვრებას და ყოველი ქრისტიანის ურთიერთდამოკიდებულებას (იხ. იოან. 13:34,35), როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს ხანდახან მისი გამოხატვა.
გულისხმობს თუ არა სიყვარული თვითუარყოფას? შეიძლება თუ არა სიყვარული თავგანწირვის გარეშე? რას გვეუბნება იესო სიყვარულისა და თვითუარყოფის შესახებ?

ხუთშაბათი
14 სექტემბერი
გზა გამარჯვებისკენ
თუმცა ყოველი მორწმუნის გულში შინაგანი ბრძოლა ხორცსა და სულს შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგრძელდება, მაგრამ თავად ქრისტიანის ცხოვრება არ უნდა იყოს აღსავსე დაცემებით, წარუმატებლობითა და ცოდვით.
თუკი ვიმსჯელებთ გალ. 5:16-26-ის მიხედვით, რა არის მთავარი ფაქტორი ცხოვრებაში, სადაც სული მეფობს ხორცზე?
გალ. 5:16-26-ის ნაწყვეტი შეიცავს ხუთ საკვანძო ზმნას, რომლებიც აღწერს ცხოვრებას, სადაც ბატონობს სული. პირველ რიგში, ადამიანი უნდა "მოიქცეს სულიერად" (მუხ. 16). ბერძნულ ენაში

ეს სიტყვა ჟღერს როგორც "პერიპატეო", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს "წრე დაარტყა" ან "გაჰყვე". ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს მომხრეები ცნობილები იყვნენ, როგორც პერიპატეტიკები (მოხეტიალეები), რადგან ყველგან დაჰყვებოდნენ არისტოტელეს. მოცემული ზმნა გამოიყენება ახლანდელ დროში და ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ პავლე საუბრობს არა შემთხვევით ქცევებზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მითითება "მოიქცე სულიერად" ვარაუდობს, რომ ეს არჩევანი ყოველ დღე უნდა გავაკეთოთ. მეორე ზმნა არის "იარებით" (მუხ. 18). იგი გულისხმობს, რომ აუცილებელია სულს უფლება მივცეთ თავისი ნების შესაბამისად გვატაროს, ჩვენ კი უნდა მივდიოდეთ და მას ვემორჩილებოდეთ (შეადარეთ რომ. 8:14; 1კორ. 12:2). ჩვენ კი არ უნდა მიგვყავდეს, არამედ მივყვებოდეთ.
შემდეგი ორი ზმნა გამოიყენება გალ. 5:25-ში. პირველი არის "ვცოცხლობთ" (ბერძ. ძომენ). პავლე აქ საუბრობს ხელახლა შობის გამოცდილებაზე, რომლითაც უნდა აღინიშნოს ყოველი მორწმუნის ცხოვრება. ზმნის აწმყო დრო მიგვითითებს იმაზე, რომ ეს გამოცდილება ყოველდღიურად უნდა განახლდებოდეს. შემდეგ პავლე ამბობს: თუკი ვცხოვრობთ სულით, "სულითვე უნდა ვიაროთ". ორიგინალში ეს სიტყვა განსხვავდება მე-16 მუხლში მოცემული სიტყვისაგან. აქ იგი ჟღერს როგორც "სტოიჰომენ". ეს სამხედრო ტერმინია და სიტყვასიტყვით ნიშნავს ხაზზე სიარულს "ფეხის შეწყობას", ანუ "შესაბამისობას". აქ იგულისხმება, რომ სული არა მხოლოდ სიცოცხლეს გვაძლევს, არამედ ყოველდღიურად უნდა მართოს კიდეც ჩვენი ცხოვრება. 24-ე მუხლში პავლე გამოიყენებს სიტყვას "ჯვარცმას". ეს საოცარი გამონათქვამია. თუკი სულით უნდა ვიაროთ, ე. ი. მტკიცე გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რომ მოვაკვდინოთ ხორცის სურვილები. რა თქმა უნდა, პავლე გადატანითი მნიშვნელობით საუბრობს. ხორცს იმით ვაცვამთ ჯვარს, რომ ვკვებავთ ჩვენს

სულიერ ცხოვრებას, არ ვაძლევთ საკვებს ხორცის სურვილებს და ვახშობთ მათ.
რა უნდა შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში, რათა გაიმარჯვოთ ქრისტეში, როგორც დაპირდით?

პარასკევი
15 სექტემბერი
შემდგომი გამოკვლევისთვის
"ქრისტიანის ცხოვრება სულაც არ არის უღრუბლო. იგი გზად ხვდება რთულ კონფლიქტებსა და სერიოზულ განსაცდელებს. "ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი - ხორცის". რაც უფრო ვუახლოვდებით დედამიწის ისტორიის აღსასრულს, მით უფრო მაცდური და დახვეწილი იქნება მტრის შეტევები. მისი თავდასხმები გასასტიკდება და გახშირდება. ნათლისა და ჭეშმარიტების უარმყოფელნი გახდებიან უფრო უგრძნობნი და გულგრილნი და კიდევ უფრო გაისასტიკებენ გულებს მათ მიმართ, ვისაც უყვარს ღმერთი და აგრძელებს უფლის მცნებების დაცვას" (ე. უაითი. ხელნაწერი 33, 1911 წ.//მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1111).
"სულიწმიდის ზეგავლენა ეს არის ქრისტეს ცხოვრება სულში. ქრისტეს ვერ ვხედავთ ცხადად და ვერ ვესაუბრებით პირისპირ, მაგრამ მისი სულიწმიდა ყოველთვის ჩვენთან არის. იგი მოქმედებს თითოეულში და თითოეულის მეშვეობით, ვინც იღებს ქრისტეს და იწამებს მას. ისინი, ვისშიც სულიწმიდაა, გამოავლენენ სულის ნაყოფს: სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, სულგრძელებას, სახიერებას, სიკეთეს, ერთგულებას, სიმშვიდეს და თავშეკავებას" (ე. უაითი. ხელნაწერი 41, 1897 წ.//მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1112).
კითხვები მსჯელობისათვის:
1. დაფიქრდით ხორცის სურვილების ჯვარცმის იდეაზე. რას ნიშნავს ეს? როგორ შეიძლება მოვიმოქმედოთ ეს? რამდენად ხშირად უნდა ვაკეთებდეთ ამას? რატომ გამოიყენა პავლემ ასეთი

ძლიერი ზმნა? რას გვეუბნება სიტყვა "ჯვარცმა" საკუთარი ცოდვილი ბუნების წინააღმდეგ ბრძოლის სირთულის შესახებ?
2. რა როლს თამაშობს ადამიანთა ძალისხმევა სულის ნაყოფის მოპოვებაში? რას გეუბნებათ თქვენი პირადი გამოცდილება ამ ძალისხმევის როლის შესახებ?
3. პავლე გვაფრთხილებს, რომ ვინც თავისი ხორცის საქმეს არის აყოლილი, ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. როგორ ეხამება ეს სიტყვები პავლეს სიტყვებს რწმენით და არა საქმეებით გადარჩენის შესახებ?
4. რაში მდგომარეობდა თქვენი ყველაზე სერიოზული სულიერი ბრძოლის მიზეზი? ხომ არ იყო ეს რაიმე ცოდვით გამოწვეული განსაცდელი? როგორ აისახება ცოდვა ღმერთთან ურთიერთობაზე? რომელ ქრისტიანს არ უგრძვნია მარტოობა, ეჭვი და იმედგაცრუება საკუთარი დაცემების შედეგად, განსაკუთრებით თუკი გავითვალისწინებთ აღთქმას ცოდვაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით? ამ აღთქმის კონტექსტში, რატომ უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ჩვენი გადარჩენა მთლიანად დამოკიდებულია გოლგოთაზე მომხდარ ქრისტეს გმირობაზე?
დასკვნა: თუმცა ყოველი ქრისტიანის ცხოვრებაში მიმდინარეობს ბრძოლა ხორციელსა და სულიერს შორის, მაგრამ ქრისტიანი არ არის მარტოდ მიტოვებული ამ შერკინებაში. რაკი ქრისტემ გაიმარჯვა ცოდვასა და სიკვდილზე, ქრისტიანის ცხოვრებას შეიძლება მართავდეს ღვთის სული, ყოველდღიურად ანიჭებდეს ღვთის კურთხევებს და აკონტროლებდეს ხორცის სურვილებს.

13 გაკვეთილი 16 - 22 სექტემბერი სახარება და ეკლესია

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 6:1-10; მათ. 18:15-17; 1კორ. 10:12; რომ. 15:1; იოან. 13:34; ლუკ. 22:3.
სამახსოვრო მუხლი: "მაშ, ვიდრე დრო გვაქვს, სიკეთე ვაკეთოთ ყველამ, და უფრო მეტად მათ, ვინც ჩვენიანია რწმენით" (გალ. 6:10).

ზოგიერთმა ფერმერმა გადაწყვიტა, ყველაზე მსხვილი ბოსტნეული თავად აეღო, ხოლო წვრილი - სათესლედ გამოეყენებინა. რამდენიმე არადამაკმაყოფილებელი მოსავლის აღების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ნაყოფი შემცირდა კაკლის ზომამდე. და თუმცა ეკონომიკურად ეს სავალალო გამოცდილება იყო, მაგრამ ფერმერებმა საკუთარი თავისთვის აღმოაჩინეს ცხოვრების მნიშვნელოვანი კანონი.
"არ შეიძლება საუკეთესოს დატოვება საკუთარი თავისთვის, ხოლო ნარჩენების სათესლედ გამოყენება. ცხოვრების კანონი გვიჩვენებს, რომ თესლის ხარისხი აუცილებლად აისახება მოსავალზე.
სამწუხაროდ, ვაგრძელებთ "წვრილი ბოსტნეულის თესვას". საკუთარი თავისთვის საუკეთესოს ვიღებთ, ხოლო ნარჩენებს სათესლედ ვიყენებთ. ველით, რომ სულიერი კანონის რაიმე უჩვეულო დამახინჯების წყალობით ჩვენი ეგოიზმი უანგარობით დაჯილდოვდება" (Iნტერნატიონალ შტუდენთ Nეწსლეტტერ, Mარჩ 2007).
პავლე ამ პრინციპს იყენებს გალ. 6:1-10-ში. ნაცვლად იმისა, რომ შინაგანი იხლიჩებოდეს ბრძოლით (იხ. გალ. 5:15), ეკლესია უნდა იქცეს ადგილად, სადაც სული აღგვძრავს, რომ სხვას დავუთმოთ გზა. როცა გვესმის, რომ მადლით ვართ დახსნილნი, ამან თავმდაბალნი უნდა გაგვხადოს, უფრო მეტად მომთმენნი და თანამგრძნობნი სხვების მიმართ.

კვირადღე
17 სექტემბერი
განდგომილთა გამოსწორება
თუმცა პავლეს მოთხოვნილება ქრისტიანულ ცხოვრებასთან მიმართებაში მაღალია (იხ. გალ. 5:16), მისი რჩევა მორწმუნეთათვის გალ. 6:1-ში დღემდე აქტუალურია. ადამიანები არ არიან იდეალურები და ყველაზე მიძღვნილი ქრისტიანებიც არ არიან დაზღვეულნი შეცდომისგან. გალ. 5:16-ის ბერძნული ორიგინალი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პავლე

ხატავს სიტუაციას, რომელიც სულ მალე შეიძლება მოხდეს ეკლესიაში. მოციქული გალატელებს აძლევს პრაქტიკულ რჩევას, თუ როგორ გაუმკლავდნენ ასეთ სიტუაციებს.
რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ქრისტიანს, როცა მისი ძმა რწმენით სცოდავს? იხ. გალ. 6:1; მათ. 18:15-17.
სარგებელი რომ მივიღოთ რჩევიდან, რომელიც მოცემულია გალ. 6:1-ში, აუცილებელია გავაცნობიეროთ, კონკრეტულად რომელ შემთხვევაზე საუბრობს პავლე. მას განმარტავს ორი სიტყვა, რომლებიც გამოყენებულია წინადადების პირველ ნაწილში. პირველი სიტყვაა "ჩავარდნა". სიტყვასიტყვით იგი აღნიშნავს "აღმოჩენილს, ფაქტზე წასწრებულს, გაოგნებულს". კონტექსტი და ამ სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობებს გულისხმობს, რომ პავლეს მხედველობაში ჰქონდა ორი ასპექტი. იგი არ საუბრობს მხოლოდ მორწმუნეზე, რომელმაც სხვა მორწმუნე მოამწყვდია "ცოდვის გამო", არამედ მორწმუნეზეც, რომელმაც საკუთარი თავი "მოამწყვდია" ცოდვის გამო (იხ. იგავ. 5:22), რასაც, საუკეთესო შემთხვევაში, თავს აარიდებდა.
ცოდვის აღსაწერად პავლეს მიერ შერჩეული სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი საუბრობს არა გამიზნულ ცოდვებზე. სიტყვა, რომელიც თარგმნილია როგორც "შეცოდება", მომდინარეობს ბერძნული "პარაპტომა"-დან. იგი განეკუთვნება არა გამიზნულ ცოდვას, არამედ, უფრო შეცდომას, წაბორძიკებას ან არასწორ ნაბიჯს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს შეცდომებს, მაგრამ გვიჩვენებს, რომ პავლე არ საუბრობს გამომწვევ ცოდვაზე (იხ. 1კორ. 5:1-5).
მსგავს შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა არა დასჯა, განკითხვა ან თავის შორს დაჭერა, არამედ გამოსწორება. ბერძნული სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც "გამოასწორეთ" (კატარტიდზო), ნიშნავს "შეკეთებას", "წესრიგში მოყვანას". ახალ აღთქმაში იგი გამოიყენება, როცა საუბარი მიდის ბადეების შეკეთებაზე (იხ. მათ. 4:21). ასევე ბერძნულ ლიტერატურაში იგი არის სამედიცინო ტერმინი, რაც ნიშნავს

მოტეხილობების მკურნალობას. ზურგს არ ვაქცევთ ძმას, თუკი იგი დაეცემა და ფეხს მოიტეხავს. ასევე, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილები, სიყვარულით უნდა ვზრუნავდეთ ჩვენს ძმებსა და დებზე ქრისტეში, მათზე, ვინც განუდგნენ ღმერთს და დაეცნენ ცათა სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე.
რატომ არ მივყვებით ხშირად მათ. 18:15-17-ში მოცემულ მითითებას, მაგრამ ცუდად ვახსენებთ მათ, ვისზეც ვართ გაბრაზებულნი, ნებას ვრთავთ ჩვენს რისხვას გაიზარდოს ან ვისწრაფით კიდეც, შური ვიძიოთ?

ორშაბათი
18 სექტემბერი
ერიდეთ განსაცდელს
"და უთხრა ნათანმა დავითს: "შენ ხარ ის კაცი" (2მეფ. 12:7). შეუძლებელია არ აღინიშნოს, თუ რაოდენ სერიოზულია პავლეს სიტყვები გალ. 6:1-ში იმის შესახებ, თუ რას უნდა ვხედავდეთ საკუთარ თავში, რათა არ ჩავცვივდეთ განსაცდელში. ამ მიმართვის ტონი მიუთითებს პავლეს სიმტკიცესა და პირად განცდებზე. სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც "გაფრთხილდი", სიტყვასიტყვით ნიშნავს "განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას" (შეად. რომ. 16:17; ფილიპ. 2:4). პავლე ამბობს: "ყურადღებით ადევნეთ თვალი საკუთარ თავს, რათა ცოდვამ არ წაგასწროთ". ხაზი რომ გაესვას ამ გაფრთხილების მნიშვნელობას, პავლე მეორე პირის მრავლობითი რიცხვიდან ("თქვენ") გალ. 6:1-ში მუხლის ბოლო ნაწილში გადადის მხოლობით რიცხვში "შენ" (ორიგინალში წერია: "შენ რომ არ შეხვიდე განსაცდელში"). ეს გაფრთხილება მიეკუთვნება არა მთლიან ეკლესიას, არამედ პირადი გაფრთხილებაა ეკლესიის თითოეული წევრისთვის.
პავლე არ განმარტავს განსაცდელის ბუნებას, რაზეც ასე მედგრად გვაფრთხილებს. შესაძლოა, იგი გულისხმობდა არა ერთ რომელიმე კონკრეტულ დარღვევას, არამედ აფრთხილებდა, არ ჩაცვენილიყვნენ ისეთივე ცოდვაში, რისგანაც ცდილობენ სხვების

დაცვას. ამავდროულად, ფრაზა : "ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი" გალ. 5:26-ში გვიჩვენებს: იგი ურჩევს მათ, ნუ მიიჩნევენ საკუთარ თავებს სულიერად უფრო აღმატებულად მათზე, ვისი გამოსწორებაც სურთ.
რატომ იყო აუცილებელი, რომ პავლეს გაეფრთხილებინა მორწმუნეები სულიერი სიამაყის შესახებ? იხ. 1კორ. 10:12; მათ. 26:34; 2მეფ. 12:1-7.
ქრისტიანის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშიშროებას წარმოადგენს სულიერი სიამაყე. იგი შთაგვაგონებს, რომ რაიმე სახით დაცულები ვართ გარკვეული ცოდვებისგან. სამწუხაროა, მაგრამ ყველას გაგვაჩნია ცოდვილი ბუნება, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთს. ამიტომ სულიწმიდის შემაკავებელი ძალის გარეშე გარკვეულ გარემოებაში შეგვიძლია ჩავიდინოთ, პრაქტიკულად, ნებისმიერი სახის ცოდვა. ჩვენი რეალური არსებობის, ქრისტეს გარეშე არსებობის გაცნობიერებას შეუძლია შეგვაკავოს პატივმოყვარეობის ცოდვისაგან. მას ასევე შეუძლია შთაგვაგონოს უფრო მეტი თანაგრძნობა შეცდომის დამშვებთა მიმართ.
რამდენად ხშირად განგიკითხავთ სხვები (შესაძლოა, მხოლოდ აზრებში) ცოდვების გამო, რომლებიც ერთხელ თავადაც ჩაგიდენიათ?

სამშაბათი
19 სექტემბერი
ტვირთის ზიდვა
(გალ. 6:2-5)
განდგომილთა გამოსწორების გარდა, პავლე კიდევ რა მითითებებს აძლევს გალატელ მორწმუნეებს? იხ. გალ. 6:2-5; იხ., ასევე, რომ. 15:1; მათ. 7:12.
ბერძნულ ენაზე სიტყვა, რომელიც გალ. 6:5-ში თარგმნილია, როგორც "სატარებელი", ჟღერს, როგორც "ბაროს".
სიტყვასიტყვით იგი ნიშნავს მძიმე ტვირთს, რომლის ტარებაც ვინმეს შორ გზაზე უწევს. თუმცა დროთა განმავლობაში ეს სიტყვა

იქცა მეტაფორად, რომელიც ნიშნავს: ნებისმიერი სახის პრობლემას ან სირთულეს, როგორც მაგალითად, ცხელ დღეს დიდხანს მუშაობის ტვირთი (იხ. მათ. 20:12). პავლეს მითითების უშუალო კონტექსტი "ატარეთ ერთიმეორის ტვირთი" ეხება რწმენაში ძმების ზნეობრივ ცოდვებს, რომელთა შესახებაც ნათქვამია წინა მუხლში. მაგრამ მოციქულს მხედველობაში აქვს ტვირთის ზიდვის უფრო ფართო გაგება. პავლეს მითითებები გვიხსნის ქრისტიანული ცხოვრების რამდენიმე თავისებურებას, რაც არ უნდა გვავიწყდებოდეს.
პირველ რიგში, როგორც ტიმატი ჯორჯი წერს, "თითოეულ ქრისტიანს გააჩნია ტვირთი. ზოგისთვის ეს არის განსაცდელის ტვირთი და ზნეობრივი შეცდომების შედეგები, როგორც ეს მითითებულია პირველ მუხლში. სხვისთვის კი ეს არის ფიზიკური ნაკლი, ოჯახში კრიზისი, უმუშევრობა ან სხვა რომელიმე პრობლემა. მაგრამ არ არსებობს ქრისტიანი ტვირთის გარეშე" (Gალატიანს, პ. 413).
მეორე მხრივ, ღმერთს არ სურს, რომ ტვირთი მარტოებმა ვზიდოთ. სამწუხაროდ, ხშირად დიდი ენთუზიაზმით ვეხმარებით სხვა ადამიანებს მათი ტვირთის ზიდვაში, რითაც საშუალებას ვაძლევთ მათ, დაგვეხმარონ და უარს ვაცხადებთ ვაღიაროთ, რომ ჩვენც ასევე გაგვაჩნია მოთხოვნილებები და სისუსტეები. ასეთ თავდაჯერებულ თვითკმაყოფილებას პავლე უწოდებს სიამაყეს (იხ. გალ. 6:3). სიამაყე არა მხოლოდ საშუალებას გვართმევს, დავეხმაროთ სხვა ადამიანებს, არამედ ამ ადამიანებს არ აძლევს საშუალებას, აღასრულონ მსახურება, რისთვისაც უფალმა მოუწოდა.
და ბოლოს, ღმერთი მოგვიწოდებს, ვატაროთ ერთმანეთის ტვირთი, რადგან ჩვენი ქმედებებით იგი ეხმარება ადამიანებს. ასეთი კონცეფცია ემყარება ფაქტს, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ პავლეს სიტყვები: "მაგრამ ღმერთმა, რომელიც მორჩილთა ნუგეშისმცემელია, ნუგეში გვცა ტიტეს მოსვლით" (2კორ. 7:6).

აღნიშნეთ: "ღმერთმა პავლე დაამშვიდა არა პირადი ლოცვის ან უფლის მოლოდინის დროს, არამედ მეგობრის მოსვლითა და კეთილი უწყებით, რომელიც მან მოუტანა. ადამიანთა მეგობრობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ატარებენ ერთმანეთის ტვირთს, ღვთის გეგმის ნაწილს წარმოადგენს თავისი ერისთვის" (ჟოჰნ ღ. ჭ. შტოტტ, თჰე მესსაგე ოფ გალატიანს, პ. 158).
რა არ გვაძლევს საშუალებას ვითხოვოთ დახმარება: სიამაყე, სირცხვილი, უნდობლობა თუ თვითკმაყოფილების გრძნობა? რატომ არ უნდა მივმართოთ მას, ვისაც ვენდობით და ვთხოვოთ, გაიზიაროს ჩვენი ტვირთი?

ოთხშაბათი
20 სექტემბერი
ქრისტეს რჯული
(გალ. 6:2-5)
პავლე ტვირთის ზიდვას აკავშირებს ქრისტეს რჯულის აღსრულებასთან. რას გულისხმობს იგი "ქრისტეს რჯულში"? იხ. გალ. 5:14; 6:2; იოან. 13:34; მათ. 22:34-40.
ეს ბიბლიაში ერთადერთი ადგილია, სადაც გამოიყენება გამონათქვამი "ქრისტეს რჯული" (ტონ ნომონ ტუ ხრისტუ). თუმცა პავლე მსგავს გამონათქვამს გამოიყენებს 1კორ. 9:21-ში (ენომოს ხრისტუ). ამ ფრაზის უნიკალურობამ ისინი მიიყვანა განმარტებების მთელ რიგ ვარიანტებამდე. ვიღაცა მცდარად ხედავს ამ ფრაზაში მტკიცებულებას იმისა, რომ ღვთის რჯული, რომელიც სინაის მთაზე მიეცათ, ჩაანაცვლა სხვა რჯულმა, ქრისტეს რჯულმა. სხვები ამბობენ, რომ სიტყვა "რჯული" უბრალოდ ნიშნავს "საერთო პრინციპს" (იხ. რომ. 7:21) ანუ როცა ერთმანეთის ტვირთი მიგვაქვს, მაშინ მივდევთ იესოს მაგალითს. თუმცა უკანასკნელი თარგმანი ნაწილობრივ სწორია, კონტექსტი და ტერმინოლოგია, რომელიც წააგავს გალ. 5:14-ს, გვაგებინებს, რომ სიტყვები "აღასრულეთ ქრისტეს რჯული" არის მითითების გამეორება, რომ მორალური რჯული სიყვარულით აღვასრულოთ. ცოტა ადრე პავლემ თავის წერილში გვიჩვენა, რომ ქრისტეს

მოსვლით ზნეობრივი რჯული არ გაუქმებულა. პირიქით, ზნეობრივი რჯული, რომელიც სიყვარულზეა დამყარებული, ქრისტიანის ცხოვრებაში აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის თამაშს. ეს არის მოკლედ გამოხატული აზრი იმის შესახებ, თუ რას ასწავლიდა იესო თავისი მიწიური მსახურების დროს, თუ როგორ ცხოვრობდა და როგორ მიიღო ჯვარზე სიკვდილი. ერთმანეთის ტვირთის ზიდვისას ჩვენ არა მხოლოდ მივდევთ იესოს მაგალითს, არამედ აღვასრულებთ კიდეც რჯულს.
ამ ნაწყვეტში არის კიდევ ერთი რთული ადგილი: გვეჩვენება, რომ არსებობს წინააღმდეგობა გალ. 6:2-სა და 6:5-ს შორის. თუმცა ეს საკითხი ადვილად გადასაწყვეტია: პავლე გამოიყენებს ორ სხვადასხვა სიტყვას, აღწერს ორ სხვადასხვა შემთხვევას. როგორც უკვე ვთქვით, მუხლში არის 2 სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც "ტვირთი" (ბაროს), რაც ნიშნავს მძიმე ტვირთს, რომლის გადატანაც შორ მანძილზე არის საჭირო. ხოლო სიტყვა "ფორტიონ" მე-5 მუხლში ნიშნავს გემის ტვირთს, ჯარისკაცის ზურგჩანთას ან ბავშვს დედის მუცელში. და თუკი პირველი ტვირთის დადება შეგვიძლია, მეორეს ვერ დავდებთ. ფეხმძიმე ქალმა უნდა ატაროს ბავშვი. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, არის ტვირთი, რომლის გაზიარებაც შეიძლება სხვისთვის, ხოლო არის ისეთი ტვირთი, რომელსაც სხვა ადამიანი ვერ ატარებს ჩვენს ნაცვლად. მაგალითისთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დანაშაულის, ტანჯვისა და სიკვდილის ტვირთი. აქ მხოლოდ ღვთის დახმარების იმედი უნდა ვიქონიოთ (იხ. მათ. 11:28-30). ზოგიერთი ტვირთის გაზიარება შეიძლება სხვებთან ერთად, ზოგიერთი კი მხოლოდ უფალს უნდა მივაბაროთ. რით განვასხვავოთ ერთი მეორისგან? როგორ ვისწავლოთ, მივანდოთ ღმერთს ის, რისი ტარებაც თავად არ შეგვიძლია?

ხუთშაბათი
21 სექტემბერი
თესვა და მკა
(გალ. 6:6-10)

ახალ აღთქმაში გალ. 6:7 ერთადერთი მუხლია, სადაც გამოიყენება სიტყვა "მიუკტერიძეტაი", რომელიც ითარგმნა, როგორც "შეურაცხყოფილი". მაგრამ იგი ხშირად გამოიყენება ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში. სიტყვასიტყვით იგი ნიშნავს "სიძულვილით თავის ამაღლება მის წინაშე, ვისაც შეურაცხყოფენ". ძველ აღთქმაში იგი გამოიყენება ღმერთის წინასწარმეტყველების მიმართ დამოკიდებულების აღსაწერად (იხ. 2ნეშტ. 36:16; იერ. 20:7). ერთ ადგილას იგი გამოიყენება ღმერთის წინაშე დაუმორჩილებლობის აღსაწერადაც კი (იხ. ეზეკ. 8:17).
პავლე აცხადებს: ადამიანებს შეუძლიათ, ღმერთი უგულებელყონ ან დასცინონ კიდეც მის მცნებებს, მაგრამ ისინი ვერ მოატყუებენ მას. იგი მთავარი მსაჯულია და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები პასუხს აგებენ თავიანთი ქმედებების გამო.
წაიკითხეთ გალ. 6:8. რა აქვს აქ პავლეს მხედველობაში? ბიბლიური პერსონაჟების რა მაგალითების პოვნა შეიძლება, რომლებიც თესავენ ხორცსა და თესავენ სულში? იხ. საქმე. 5:1-5; ლუკ.22:3; დან. 1:8; მათ. 4:1.
პავლეს მეტაფორა თესვასა და მკაზე არ წარმოადგენს იშვიათობას. ეს დაკვირვება ასახულია უძველეს მრავალ ანდაზაში. მნიშვნელოვანია, თუ როგორ გამოიყენებს მას პავლე წინამდებარე სიტყვების, ხორცისა და სულის შესახებ განსამარტავად. ჯეიმს დანი აღნიშნავს: "არსებობს ამ გამონათქვამის თანამედროვე ვარიანტი: შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება, მაგრამ არ შეგვიძლია, ავირჩიოთ ჩვენი გადაწყვეტილებების შედეგები" (Gალატიანს, პ. 330).
თუმცა ღმერთი ყოველთვის არ გვათავისუფლებს ჩვენი ცოდვების ამქვეყნიური შედეგებისგან, მაგრამ არ უნდა გავიცრუოთ იმედები რაიმე არასწორი სახის გადაწყვეტილებების გამო. შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერები, რომ ღმერთმა გვაპატია ცოდვები და გვიშვილა, როგორც საკუთარი ძეები და ასულები. ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ იმაში, რაც ზეცაში უხვ მოსავალს მოიტანს.

გარდა ამისა, გალ. 6:10 ასახავს ფაქტს, რომ "ქრისტიანულ ეთიკას ყურადღება აქვს გამახვილებული ორ საკითხზე: ერთ-ერთი არის უნივერსალური და ყოვლისმომცველი "ყველას გავუკეთოთ სიკეთე", მეორე კი არის კონკრეტული და ზუსტი "უფრო მეტად კი თავისიანებს რწმენაში". პავლეს უნივერსალური მოწოდება ემყარებოდა ფაქტს, რომ სამყაროში ყოველი ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად და მსგავსად და ამიტომ უსასრულოდ მშვენიერნი ვართ მის თვალში. როცა ქრისტიანებს ავიწყდებოდათ ბიბლიური გამოცხადების ეს მნიშვნელოვანი ფაქტი, ისინი აუცილებლად იქცეოდნენ დამაბრმავებელი ცოდვის: რასის, სქესის, ეროვნების, კლასის და დისკრიმინაციის სხვა მრავალი ნიშნის მსხვერპლად, ეს ყველაფერი კი იყო კაცობრიობის დაცემის მიზეზი ადამ და ევადან მოყოლებული დღემდე" (თიმოტჰყ Gეორგე,გალატიანს, პპ. 427,428).
რას თესავთ: სიკეთეს თუ ბოროტებას? გააანალიზეთ თქვენი ცხოვრება. რა მოსავალს მოიმკით?

პარასკევი
22 სექტემბერი
შემდგომი გამოკვლევისათვის
"სულიწმიდა ბოროტებას აკავებს სინდისის კონტროლით. როცა ადამიანი სულიწმიდას წინ უსწრებს, იგი იმკის თავისი ურჯულოების ნაყოფს. ასეთ ადამიანზე მცირდება ზეგავლენა სულიწმიდისა, რომლისთვისაც სულ უფრო რთული ხდება, შეაკავოს ურჩობა, რომელსაც ადამიანი ყველგან თესავს. გაფრთხილებები მასზე სულ უფრო ნაკლები ძალით მოქმედებს. იგი თანდათან კარგავს ღვთის შიშს. ის თესავს ხორცში და მოიმკის ხრწნას. მის მიერ დათესილი მოსავალი მალე დამწიფდება. იგი უარყოფს ღვთის წმიდა მცნებებს. მისი ხორციელი გული ქვავდება. ჭეშმარიტებასთან წინააღმდეგობა მას ურჯულოებაში განამტკიცებს. იმის გამო, რომ ადამიანი თესავდა ბოროტების მარცვალს, წარღვნამდელ სამყაროში ყვაოდა ურჯულოება, დანაშაული და ძალადობა.

ყველამ უნდა იცოდეს იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც ანადგურებს სულს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ღმერთმა ადამიანის წინააღმდეგ გამოსცა რაღაც დადგენილება. ღმერთი არ აბრმავებს ადამიანს სულიერად. ღმერთი ადამიანს საკმარისად აძლევს სინათლეს და დასკვნების საშუალებას, რათა მან შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს ჭეშმარიტება და სიცრუე. თუმცა უფალი არ აიძულებს ადამიანს, მიიღოს ჭეშმარიტება. იგი გვიტოვებს უფლებას, ავირჩიოთ სიკეთე ან ბოროტება. თუკი ადამიანმა უარყო მოწმობა, რომელიც საკმარისია იმისთვის, რომ მისი ფიქრები წარმართოს სწორი მიმართულებით, და აირჩია ბოროტება, მაშინ მეორედ ამას გაცილებით უფრო მარტივად გააკეთებს. მესამედ სულ უფრო გაუადვილდება ღვთისგან წასვლა და სატანის მხარის არჩევა. და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ფესვს არ გაიდგამს ცოდვაში და არ დაუჯერებს სიცრუეს, რომელსაც გაუფრთხილდება, როგორც ჭეშმარიტებას. მისმა შეუპოვრობამ ნაყოფი გამოიღო" (ე. უაითი. ხელნაწერი 126, 1901 წ.//მეშვიდე დღის ადვენტისტების ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1112).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. პრაქტიკული კუთხით რას ნიშნავს "გამოასწორო" შენი ერთმორწმუნე ძმა, რომელიც შეცდა? როგორ მოქმედებს გამოსწორების პროცესზე ჩადენილი ცოდვის "სიდიდე"? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში ყველაფერი შეიძლება უწინდებურად დარჩეს? იმსჯელეთ თქვენს პასუხებზე.
2. რაკი გარკვეული ტვირთი ადამიანებმა თავად უნდა ზიდონ (იხ. გალ. 6:5), როგორ განსაზღვროს მორწმუნემ, შეუძლია თუ არა სხვას, დაეხმაროს მას კონკრეტულ შემთხვევაში?
3. როგორ აღასრულებს თქვენი ეკლესია პავლეს მითითებებს, რომლებიც მოცემულია გალ. 6-ში? პირადად თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ, რათა გააუმჯობესოთ სიტუაცია?

დასკვნა: ღვთის სუფევა თავის ერში ვლინდება ქრისტეს სულის მეშვეობით, რომელიც მეფობს ეკლესიაში. ამაზე შეგვიძლია

ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ როგორ ვლინდება განდგომილ წევრზე პატიება და გამოსწორება, როგორ ეხმარებიან მორწმუნეები ერთმანეთს განსაცდელში და სიკეთეს აკეთებენ ერთმანეთისთვის და გარშემომყოფებისთვის.

14 გაკვეთილი 23 - 29 სექტემბერი დაიქადნო ჯვრით

გამოსაკვლევად შემოთავაზებული ბიბლიური მუხლები: გალ. 6:11-18; რომ. 6:1-6; 12:1-8; 2კორ. 4:10; 5:17; 11:23-29.
სამახსოვრო მუხლი: "მე კი, თუ დავიკვეხო, მხოლოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რომლითაც სოფელია ჯვარცმული ჩემთვის და მე სოფლისთვის" (გალ. 6:14).
გალატელთა მიმართ წერილის ჩვენი განხილვა მეტად საფუძვლიანი იყო და თავად წერილიც მეტად სერიოზული და გაჯერებულია. პავლემ იცოდა თავისი მოწოდების შესახებ, იცოდა ჭეშმარიტება, რომელსაც ქადაგებდა (არა ერთხელ უთქვამს, რომ ეს ჭეშმარიტება მომდინარეობს უფლისგან). ამის წყალობით იგი შთაგონების ძალით წერს ძველაღთქმისეულ წინასწარმეტყველებს, როგორიცაა ესაია, იერემია, ოსია. როგორც ეს წინასწარმეტყველები ევედრებოდნენ თავიანთ თანამედროვეებს მიეტოვებინათ ცოდვა და მოქცეულიყვნენ ღვთისკენ, პავლეც იმავეს სთხოვს თავისი დროის მორწმუნეებს. როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს იერემიას დროთა გარემოება, მისი სიტყვები აქტუალურია როგორც მისივე თანამედროვეებისთვის, ასევე გალატელებისთვისაც: "ასე თქვა უფალმა: "თავს ნუ შეიქებს ბრძენი თავისი სიბრძნით და თავს ნუ შეიქებს ძლიერი თავისი ძალით, და თავს ნუ შეიქებს მდიდარი თავისი სიმდიდრით. არამედ მაქებელმა იმით შეიქოს თავი, რომ მიხვდა და მიცნობს მე, რადგან მე, უფალი, ვიქმ წყალობას, სამართალსა და სიმართლეს ქვეყანაზე, რადგან ეს არის ჩემთვის სასურველი!" - სიტყვა უფლისა" (იერ. 9:23,24).
არსად არ გამოიყურება ასე უსარგებლოდ და საცოდავად ჩვენი "დიდებული" ადამიანური სიბრძნე, სიმდიდრე და ძალა, როგორც

ჯვარცმული ქრისტეს წინაშე. ეს არის პავლეს წერილის ძირითადი სათქმელი გალატიაში არსებული გზააბნეული სამწყსოსათვის.

კვირადღე
24 სექტემბერი
პავლეს ხელი
შეადარეთ გალ. 6:11-18-ში პავლეს ბოლო სიტყვები მის სხვა წერილებში დასკვნით სიტყვებს. რით ჰგავს ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდება ერთმანეთისგან? (იხ. დასკვნები შემდეგი წერილებისა: რომაელთა, 1 და 2 კორინთელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, 1 და 2 თესალონიკელთა მიმართ).
პავლეს წერილებში დასკვნითი სიტყვები არ არის ყოველთვის ერთნაირი, მაგრამ მათში არის მთელი რიგი საერთო ელემენტებისა: (1) კონკრეტული ადამიანების მოკითხვა, (2) დასკვნითი დარიგება, (3) ხელმოწერა და (4) დასკვნითი კურთხევები. მაგრამ გალატელთა მიმართ წერილში არის ორი მნიშვნელოვანი თავისებურება.
პირველ რიგში, პავლეს წერილთა უმრავლესობისგან განსხვავებით, გალატელთა მიმართ წერილში არ არის კონკრეტულ ადამიანებთან დაბარებული მოკითხვები. რატომ? ისევე, როგორც წერილის დასაწყისში არ არის პავლესთვის ჩვეული სამადლობელი, რაც შეიძლება მიგვითითებდეს პავლესა და გალატელებს შორის დაძაბულ ურთიერთობებზე. პავლეს ტონი ზრდილობიანია, მაგრამ ოფიციალური.
მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებისამებრ, პავლე კარნახობდა თავის წერილს დამწერს (იხ. რომ. 16:22). წერილის დასასრულს პავლე იღებდა ფრთას და რამდენიმე მოკლე წინადადებას წერდა თავისი ხელით. როცა პავლემ დამწერს გამოართვა ფრთა, იმდენად განიცდიდა იგი გალატიაში არსებულ სიტუაციას, რომ თავად გააგრძელა თავისი წერილის წერა. უბრალოდ, ვერ უშვებს ფრთას ხელს, სანამ კიდევ ერთხელ არ მოუწოდებს გალატელებს, უარყონ თავიანთი უგუნური ქცევა.

გალ. 6:11-ში პავლე ხაზს უსვამს, რომ წერილს ხელი მოაწერა დიდი ასოებით. არ ვიცით რატომ. ვიღაცა ვარაუდობს, რომ პავლე საუბრობს არა ასოთა ზომაზე, არამედ თავის ხელმოწერაზე. ისინი ფიქრობენ, რომ პავლეს ხელები დაუზიანდა მისი მდევნელების მხრიდან ცემის დროს ან გაუუხეშდა კარვების კეთების დროს, ამიტომ არ შეეძლო ლამაზად დაეწერა ასოები. სხვები თვლიან, რომ ეს ხაზი ადასტურებს: მას ჰქონდა ცუდი მხედველობა. თუმცა შესაძლებელია ორივე ვარიანტი, მაგრამ უფრო მართებულად გვეჩვენება ის, რომ პავლე განზრახ წერდა დიდი ასოებით, რათა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა თავისი სიტყვებისთვის. ზუსტად ასე შეგვიძლია, ყურადღება გავამახვილოთ მნიშვნელოვან სიტყვაზე, ხაზი გავუსვათ, დავხაროთ ან დავწეროთ იგი მსხვილი ასოებით.
რაც არ უნდა იყოს მიზეზი, პავლეს მართლაც სურდა ყურადღების გამახვილება თავის გაფრთხილებაზე.

ორშაბათი
25 სექტემბერი
ხორცით განდიდება
წაიკითხეთ გალ. 6:12,13. რაზე საუბრობს პავლე ამ მუხლებში? თუმცა პავლემ ადრე უკვე ახსენა თავისი ოპონენტების მოთხოვნები და მიზნები (იხ. გალ. 1:7; 4:17), მაგრამ მათ შესახებ ხმამაღლა პირველად საუბრობს გალ. 6:12,13-ში. იგი ხაზს უსვამს, რომ მათ სურთ "ხორცით განდიდება". სიტყვა "განდიდება" ბერძნულ ენაში სიტყვასიტყვით ნიშნავს "კარგი სახის მიღებას". სიტყვით "სახე" ბერძნები გამოხატავდნენ მსახიობების ნიღბებსაც. სხვა სიტყვებით, პავლე ამბობს, რომ ეს ადამიანები ჰგვანან მსახიობებს, რომლებიც ისწრაფვიან მოიპოვონ საზოგადოების კეთილგანწყობა და იცვლიან ნიღბებს. კულტურაში, სადაც სირცხვილის საფუძველს წარმოადგენს ღირსება და გრძნობები, აუცილებელი იყო ნორმების მიხედვით ცხოვრება. ამიტომ ცრუმასწავლებლები ცდილობდნენ საკუთარი

ავტორიტეტი აემაღლებინათ თავიანთი იუდეველი ძმების თვალში, როგორც იერუსალიმში, ასევე გალატიაშიც.
პავლე მიუთითებს მათი ქცევის ერთ-ერთ მოტივზე: სურთ თავი დააღწიონ დევნას. სიტყვა "დევნა" შეგვიძლია გავიგოთ მისი ყველაზე ცუდი ფორმითაც, მათ შორის შეგვიძლია ვიგულისხმოთ ფიზიკური ძალადობაც. მაგრამ მის შედარებით უფრო "რბილ" ფორმებს, როგორიცაა: დადანაშაულება, დაცინვა, საზოგადოებიდან გარიყვა, შეუძლია ისეთივე ზიანის მიყენება. პავლე (იმ დროს სავლე) და სხვა თავგამოდებული ფანატიკოსები იუდეაში ოდესღაც თავად ახორციელებდნენ სასტიკ დევნას (იხ. გალ. 1:13), მაგრამ არც დევნის უფრო მსუბუქი ვარიანტები ეთაკილებოდათ.
იუდეაში რელიგიური ლიდერები მრავალ რეგიონში ჯერ კიდევ იყენებდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ზეგავლენას. მათ ჰქონდათ ოფიციალური საბუთები რომიდან, ამიტომ ბევრი იუდეველი ცდილობდა, შეენარჩუნებინა მათთან კარგი ურთიერთობა. რაკი ეს ადამიანები წინადაცვეთდნენ წარმართებს და მათ თორას ასწავლიდნენ, ამით ადგილობრივ იუდეველებში ეძებდნენ კეთილგანწყობას. ასეთი ქმედება საშუალებას მისცემდათ, არა მხოლოდ შეენარჩუნებინათ მეგობრული ურთიერთობა, არამედ თავიანთი კავშირი გაემყარებინათ ზოგიერთ მორწმუნესთან იერუსალიმში, რომლებიც მათ მუშაობას წარმართებთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად უყურებდნენ ეჭვის თვალით (იხ. საქმე. 21:20,21). ეჭვგარეშეა, მათი ქმედება, გარკვეულწილად, იუდეველებისთვის დამოწმებას უფრო ეფექტურს გახდიდა.
რა შემთხვევაზეც არ უნდა ესაუბრა პავლეს, მისი აზრი გასაგებია: "და ყველას, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება" (1ტიმ. 3:12).
დაფიქრდით, რა მიზეზები გააჩნდათ ამ ადამიანებს, ექადაგათ მცდარი სწავლება. თუკი გავითვალისწინებთ ყველა მიზეზს, მაშინ მათი ქცევა საფუძვლიანად მიგვაჩნია. რას გვეუბნება ეს

იმის შესახებ, რომ "საუკეთესო" სურვილებმაც კი შეიძლება გადაგვახვევინოს გზიდან, თუკი ფრთხილად არ ვიქნებით? ბოლოს როდის მოიქეცით არასწორად კეთილი განზრახვებიდან გამომდინარე?

სამშაბათი
26 სექტემბერი
დავიკვეხო ქრისტეს ჯვრით
(გალ. 6:14)
"მე კი, თუ დავიკვეხო, მხოლოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რომლითაც სოფელია ჯვარცმული ჩემთვის და მე სოფლისთვის" (გალ. 6:14).
როცა გამოავლინა მოტივები, რომელთა მიხედვითაც იუდეველები აიძულებდნენ წინადაცვეთას, პავლემ გალატელებს კიდევ ერთხელ მოკლედ ჩამოუყალიბა სახარების უწყება. პავლესთვის სახარება ემყარება ორ ძირითად დებულებას: (1)ჯვრის ცენტრალური როლი (მუხ. 14) და (2) გამართლების დოქტრინა (მუხ. 15). დღეს განვიხილავთ პირველს.
რაკი ვცხოვრობთ XXI საუკუნეში, ჩვენთვის ძნელია გავაცნობიეროთ ის შოკი, რაც გამოიწვია პავლეს სიტყვებმა ქრისტეს ჯვრის შესახებ (იხ. გალ. 6:14). დღეს ჯვარცმა ჩვეულებრივი პატივსაცემი სიმბოლოა, რომელიც ადამიანთა უმრავლესობაში დადებით ასოციაციებს იწვევს. მაგრამ პავლეს დროს ჯვარცმით არ იქადნიდნენ, მას დამცირებითა და ზიზღით უყურებდნენ. იუდეველები შეურაცხმყოფელად მიიჩნევდნენ ჯვარცმული მესიის იდეასაც კი, ხოლო რომაელები ჯვარცმას იმდენად სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ, რომ მას რომაელი მოქალაქეების მიმართ არც კი იყენებდნენ.
და ამ გარემოებაში პავლე გაბედულად აცხადებს, რომ სხვა ვერაფრით დაიკვეხნის, გარდა ქრისტეს ჯვარცმისა!
როგორ შეცვალა ქრისტეს ჯვარცმამ პავლეს დამოკიდებულება სამყაროს მიმართ? იხ. გალ. 6:14; რომ. 6:1-6; 12:1-8; ფილიპ. 3:8.

მორწმუნესთვის ქრისტეს ჯვარცმა ყველაფერს ცვლის. იგი გვეხმარება, გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებას არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სამყაროს მიმართაც. წუთისოფელი - ცოდვის აწმყო ერა თავისი ყველა გამომდინარე შედეგებით (იხ. გალ. 2:16), ეწინააღმდეგება ღმერთს. ქრისტესთან ერთად სიკვდილით გავთავისუფლდით მონობისგან და უკვე აღარ ვცხოვრობთ ძველი ცხოვრებით, რომლითაც ვცხოვრობდით წუთისოფლისთვის. როგორც პავლე ამბობს, ადამიანსა და წუთისოფელს შორის გახლეჩა უნდა იყოს ისეთი, თითქოს ერთმანეთისთვის მოკვდნენ.
როგორ იმოქმედა ჯვარცმამ თქვენს დამოკიდებულებაზე წუთისოფელთან? როგორ შეცვალა მან თქვენი ცხოვრება? განსხვავდება თუ არა თქვენი ახლანდელი ცხოვრება იმ ცხოვრებისგან, სანამ თქვენ თავს ჩააბარებდით უფალს, რომელიც ჩვენი გულისთვის მოკვდა?

ოთხშაბათი
27 სექტემბერი
ახალი ქმნილება
პავლემ მიუთითა ქრისტეს ჯვარცმის ცენტალურ როლზე ქრისტიანის ცხოვრებაში და ახლა გადადის თავისი რწმენის მეორე ძირითად ელემენტზე - რწმენით გამართლებაზე. როგორც მთელი კვარტლის განმავლობაში ვსწავლობდით, პავლემ ერთმანეთს დაუპირისპირა წინადაცვეთა და სახარება (იხ. გალ. 5:2-4). მაგრამ მას არ სურს, რომ გალატელებმა დაასკვნან, თითქოს ღმერთისთვის წინადაუცვეთელნი უფრო სასიამოვნო არიან, ვიდრე წინადაცვეთილნი. ამაში არ მდგომარეობს პავლეს უწყება. ადამიანს შეიძლება გააჩნდეს ისეთივე მეკანონეობრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, რასაც აკეთებს და რასაც არ აკეთებს. სულიერი გადმოსახედიდან, წინადაცვეთის საკითხი თავისთავად არ არის მნიშვნელოვანი. ჭეშმარიტ რელიგიაში უპირველესია ადამიანის გულის მდგომარეობა და არა გარეგნული გამოხატულება. როგორც თავად იესომ თქვა,

ადამიანი გარეგნულად შეიძლება ლამაზად გამოიყურებოდეს, ხოლო შინაგანად სულიერად გახრწნილი იყოს (იხ. მათ. 23:27). რას ნიშნავს იყო ახალი ქმნილება? იხ. გალ. 6:15; 2კორ. 5:17. როგორ შეიგრძენით ეს პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე? ბერძნული სიტყვა "კტისის", რომელიც თარგმნილია როგორც "ქმნილება", შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც ცალკეულ "ქმნილებას" (ებრ. 4:13), ასევე მთლიანად "შექმნილ" წესრიგს (რომ. 8:22). ორივე შემთხვევაში სიტყვა მიუთითებს შემოქმედის ქმედებაზე. ამაზე საუბრობს პავლე. რომ იქცე "ახალ ქმნილებად", არ არის საკმარისი ადამიანური ძალისხმევა, იქნება ეს წინადაცვეთა თუ სხვა რამე. იესო ამ პროცესს უწოდებს "შობას" (იოან. 3:5-8). ეს ღვთიური აქტია, რომლის მეშვეობითაც ღმერთი იღებს სულიერად მკვდარ ადამიანს და შთაბერავს მასში სიცოცხლეს. ეს კიდევ ერთი მეტაფორაა, რომელიც აღწერს ხსნის აქტს, რასაც პავლე, ჩვეულებისამებრ, უწოდებს რწმენით გამართლებას.
ამ ახალი ქმნილების შესახებ მოციქული უფრო დაწვრილებით საუბრობს 2კორ. 5:17-ში. ამ მუხლში პავლე განმარტავს, რომ ახალ ქმნილებად გახდომა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ის, რომ უბრალოდ ჩაწერილი იყო საეკლესიო წიგნში. ეს არის ჩვენი ახლანდელი ცხოვრების შეცვლა. როგორც ტიმატი ჯორჯი აღნიშნავს, "ეს გულისხმობს მოქცევის მთელ პროცესს: სულიწმიდის აღმდგენ სამუშაოს მივყავართ მონანიებასა და რწმენამდე, მოკვდინებისა და აღდგომის ყოველდღიურ პროცესამდე, სიწმიდის მუდმივ ზრდამდე, ამას კი მივყავართ ადამიანისა და ქრისტეს ხატების შესაბამისობამდე" (Gალატიანს, პ. 438).
ხსნა ნიშნავს, რომ ღმერთის ზეგავლენით ადამიანი ახალ ქმნილებად იქცევა. ეს რადიკალური ცვლილება უშეცდომოდ გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს იყო გამართლებული.

ხუთშაბათი
28 სექტემბერი

დასკვნითი სიტყვები
(გალ. 6:16-18)
პავლე აკურთხებს მათ, "ვინც ამ წესის მიხედვით მოიქცევიან" (გალ. 6:16). თუკი გავითვალისწინებთ კონტექსტს, როგორ ფიქრობთ, რა წესზე საუბრობს პავლე?
სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც "წესი", სიტყვასიტყვით ნიშნავს "ღეროს", "დონეს" ან "ძელს", რომელსაც ქვისმთლელები ან დურგლები გასაზომად იყენებენ. თანდათანობით სიტყვამ მოიპოვა გადატანითი მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავდა წესებს ან სტანდარტებს, რისი მეშვეობითაც ადამიანი რაიმეს აფასებს. მაგალითად, როცა საუბრობენ ახალი აღთქმის კანონზე, ჩვეულებისამებრ, იგულისხმება ახალი აღთქმის 27 წიგნი, ისინი კი საკმაოდ ავტორიტეტულად ითვლება, რათა განსაზღვროს ეკლესიის წევრთა რწმენა და ქცევა. ამიტომ, თუკი სწავლება არ "შეესაბამება" ამ წიგნებს, იგი არ მიიღება.
"უფალ იესოს" რომელ "წყლულებს" ატარებს პავლე თავის სხეულზე? იხ. გალ. 6:17. რა აქვს მხედველობაში, როცა ამბობს, რომ არ უნდა "შეაწუხონ"? შეუძლია თუ არა გალ. 6:14-ს დაგვეხმაროს ვუპასუხოთ ამ შეკითხვას? იხ. გალ. 6:17; 2კორ. 4:10; 11:23-39.
სიტყვა "წყლული" ბერძულად არის "სტიგმატა" და მისგან მომდინარეობს ქართული სიტყვაც "სტიგმა" (დაღი). პავლეს დროს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მონების დადაღვა, რათა სცოდნოდათ, თუ ვის მიეკუთვნებოდნენ ისინი. გარდა ამისა, დადაღვას იყენებდნენ მთელი რიგი მისტიკური მიმდინარეობების ფანატიკოსები განსაკუთრებული ერთგულების ნიშნად. "როცა პავლე საუბრობს "უფალ იესოს ნიშნებზე" (ქართულ თარგმანში "წყლულებზე"), ეჭვგარეშეა, მას მხედველობაში აქვს თავის სხეულზე არსებული იარები, დევნისა და ვარამის ნაკვალევი (იხ. 2კორ. 4:10; 11:24-27). პავლეს მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ ქრისტესკენ მოქცეულ წარმართებს უნდა მიეღოთ წინადაცვეთის ნიშანი, როგორც მოწმობა, რომ ისინი იუდაიზმის ერთგულები არიან. მაგრამ

პავლეს ჰქონდა ნიშნები, რომლებიც აჩვენებდა, თუ ვისი მონა გახდა და მისთვის ერთადერთი იყო ქრისტესადმი ერთგულება… ნაიარევები, რომლებიც პავლემ მიიღო თავისი მტრებისგან თავისი უფლისადმი მსახურების დროს, უფრო მჭერმეტყველურად საუბრობდა ქრისტეს მიმართ მისი ერთგულების შესახებ" (მეშვიდე დღის ადვენტისტების ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 989).
რა ფიზიკური ან სხვა სახის "წყლულები" მიგიღიათ იესოში თქვენი რწმენის გულისთვის? სხვა სიტყვებით, რა დაგიჯდათ თქვენი რწმენა?

პარასკევი
29 სექტემბერი
შემდგომი გამოკვლევისათვის
"გოლგოთის ჯვარი ბრძოლაში იწვევს და საბოლოოდ, გაანადგურებს ამქვეყნიურ და ჯოჯოხეთურ ყველა ძალას. ჯვარს ემყარება მთელი ზეგავლენა და ჯვრიდან ვრცელდება ყველა მიმართულებით. ეს მიზიდულობის უდიდესი ცენტრია, რადგან ჯვარზე გასწირა ქრისტემ თავისი სიცოცხლე კაცობრიობის გულისათვის. ეს მსხვერპლი მოგვეცა იმ მიზნით, რომ ადამიანში მისი თავდაპირველი სრულყოფილება აღდგეს. უფრო მეტიც, იგი იყო შემოთავაზებული, რათა მისი ხასიათი სრულად გარდაქმნილიყო და გავმხდარიყავით უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ გამარჯვებულები. ისინი, ვინც ქრისტეს ძალით დაუპირისპირდება ღვთისა და ადამიანების უდიდეს მტერს, საბოლოოდ, ზეციურ სასახლეებში დაიკავებენ საპატიო ადგილებს, უფრო აღმატებულებს, ვიდრე ის ანგელოზები, რომელთაც არასოდეს შეუცოდავთ.
ქრისტე აცხადებს: "როცა ავმაღლდები მიწიდან, ყველას მოვუხმობ ჩემკენ". თუკი ჯვარი ადამიანში ვერ პოულობს დადებით გამოძახილს, იგი აყალიბებს ამ გამოძახილს. თაობიდან თაობამდე აწმყო დროის ჭეშმარიტება გვეხსნება მთელი თავისი სისრულით. ჯვარზე გაკრული ქრისტე იყო შუამდგომელი, ვისი

მეშვეობითაც ჭეშმარიტება და მოწყალება შეხვდა ერთმანეთს, სიმართლემ და სიმშვიდემ ერთიმეორე გადაჰკოცნეს. აი, ის საშუალება, რომელიც ცვლის სამყაროს" (ე. უაითი. ხელნაწერი 56, 1899 წ.//მეშვიდე დღის ადვენტისტთა ბიბლიური კომენტარები, ტ. 6, გვ. 1113).

კითხვები მსჯელობისათვის:

1. რით არის მნიშვნელოვანი თქვენთვის ის ფაქტი, რომ პავლე თავის მიმართვას იწყებს და ამთავრებს ღვთის მადლთან დაკავშირებული სიტყვებით? (შეადარეთ გალ. 1:3 და 6:8).
2. პავლეს განცხადების საფუძველზე, რომ იგი "ჯვარცმულია… სოფლისთვის" (გალ. 6:14), რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ქრისტიანებსა და წუთისოფელს ერთმანეთთან? რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ქრისტიანებს ეკოლოგიის, რასიზმის, აბორტისა და ასე შემდეგ საკითხებთან, თუკი ქრისტიანები მოუკვდნენ წუთისოფელს?
3. როგორ შეიძლება მიხვდეს ადამიანი, რომ იგი იქცა "ახალ ქმნილებად"?
4. შესწავლილი მასალის საფუძველზე, მოკლედ ჩამოაყალიბეთ პავლეს აზრი შემდეგ თემებთან დაკავშირებით: რჯული, რჯულის საქმეები, რწმენით გამართლება, ძველი და ახალი აღთქმები, ქრისტეს მსხვერპლი, ქრისტიანული ცხოვრება.

დასკვნა: ჭეშმარიტი რელიგია ნიშნავს გულის მდგომარეობას, მაგრამ ეს მდგომარეობა აუცილებლად გამომჟღავნდება ადამიანის ცხოვრებაში. როცა გული ღმერთს ჩაბარდა, რწმენაში აღზევებული ადამიანის ცხოვრება სულ უფრო მეტად აისახავს ქრისტეს ხასიათს. გული უნდა დაემორჩილოს ქრისტეს. თუკი ეს მოხდება, მაშინ გამოჩნდება მართალი ცხოვრების ნაყოფები.